1134
2005

პრილი

№5 (212) საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი ივლისი
ფასი 1.50 ლარი

#5, 2005

ზაზა თვარაძის ლიტრები

ARILI

საზოგადოებრივ-ლიტერატურული
ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი

მთავარი რედაქტორი
შადიმან შამანაძე

სარედაქციო საბჭო

მალხაზ ხარბედია
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
რატი ამაღლობელი
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბარი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

მენეჯერი - ნანა ჩხვიმიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამაზ ჩხაიძე
ელისო კალმახელიძე
მანანა კორძაძე

ტელ/ფაქსი: 98-84-00
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე

გახსოვდეს აფხაზეთი!

№5. ივლისი. 2005

მასტერკლასი

წერა შემიძლია, მაგრამ სხვა რაღაცეებიც შემიძლია.
ინტერვიუ ზაზა თვარაძესთან 1

პროზა

ნიკუშა ანთაძე
ახალგაზრდა სერიული მკვლელის მოგონებები 10

თეონა დოლენჯაშვილი
სიჩუმის სამი ნაპირი 22

ბესო ხვედელიძე
სოფელი პატივა 34

პოეზია

ვაჟა ხორნაული
წარღვნამდელი სიყვარულის მოციქულები 28

ზეინაბ სარაძე
ლექსები 32

ეკა ქევანიშვილი
ლექსები 46

პერსონა

პიერ პაოლო პაზოლინი
ვიტოლდ გომბროვიჩი 49

ჩესლავ მილოში
ვინ არის გომბროვიჩი? 53

მუზეუმი

ბორის გროისი
თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შესახებ 60

ჯანი ვატიმო
მუზეუმი და ხელოვნების აღძვა პოსტმოდერნის ეპოქაში 67

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა
და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერა შემიძლია, მაგრამ სხვა რაღაცებიც შემიძლია

ინტერვიუ ზაზა თვარაძესთან

დიდ, ძველებურ მაგიდასთან ვისხედით, გემრიელი ფეხების შემოსაწყობი რომ აქვს ხოლმე და ატმიან ღვინოს ვწრუპავდით (კარგი მასპინძელია ზაზა).

ის იყო საუბარს ვამთავრებდით, რომ ზაზას აივნიდან სამი მტრედი აფრინდა ფრთების ფართქუნით. "ვა, სამი მტრედი მჯდარა და გვისმენდა," - სიხარულით შესძახა ზაზამ. რა ვიცი, იქნებ მართლა ასე იყო? იქნებ ისიც მართალია, ხუმრობით რომ ამბობს, კაქტუსისებური ვარ, წელიწადში ერთხელ მაინც, როცა რაღაც ფანტაზია მოდის და ლექსი კარგი გამოვა, კაქტუსივით ყვავილი მეზრდება თავზეო.

- შენს ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, ჯერ ლექსები გამოაქვეყნე, მერე მოთხრობები. წერაც ამ თანმიმდევრობით დაიწყე? რამხელა იყავი?

- პირველი ლექსი რომ დავწერე 4 წლის ვიყავი. მე არ მახსოვდა, მამიდაჩემმა მითხრა, ერთი სტროფი დამიწერია. მერე სკოლაში რომ ვსწავლობდით, მამიდაჩემი რაღაცებს გვაწერინებდა, აი, ვთქვათ, დღევანდელი დღის ამბებს. ასე ვწერდით და მერე მივეჩვიე ამ წერას. წიგნებიც მიყვარდა. მწერლობაზე არ მიფიქრია. ფილოსოფიურზე მინდოდა ჩაბარება. დაახლოებით ერთდროულად დავიწყე მოთხრობებისა და ლექსების წერა. ერთხელ ისე მოხდა, რომ ანდრო ბუაჩიძე დავინახე, ქუჩაში მიდიოდა და მითხრა, შენი 4 ლექსი მიმაქვს გაზეთშიო. მაშინ გამოქვეყნდა პირველად. ჯერ ეს 4 ლექსი გამოქვეყნდა, მერე რამდენიმე მოთხრობა როსტომ ჩხეიძის ჟურნალში "კლდეკარი". სხვათა შორის, მე არ მიმქონდა. გაიგეს, რომ ვწერდი და მეუბნებოდნენ მოიტანეო. იმ პერიოდში, დაახლოებით 10 წლის განმავლობაში, არაფერი მიმიტანია. მერე "არილშიც" ხომ ვიყავი. იქაც ხან მახო მეტყოდა, ხან ზალიკო "ქომაგისთვის", "მნათობისთვის" იურა ბაქანიძე გამომართმევდა ხოლმე და ბეჭდავდა. წიგნის დაბეჭდვაც ეგრე მოხდა: გივიმ მითხრა, ალხაზიშვილმა, გამოგიცემ თუ გინდაო. კი-მეთქი. მივეცი ეს მოთხრობები და გამოაქვეყნა, მგონი 98-ში. მერე შოთა იათაშვილმა მითხრა, ლექსები გამოვაქვეყნოთო და ნაირა გელაშვილთან, "კავკასიურ სახლში" გამოსცა "ტანცზი სიცივეში". და ეს ბოლო "Tyrannosaurus Rex-ი, რომელიც მალხაზმა გამოსცა "არეტეში". ასე რომ, ლექსებს და მოთხრობებს - პატარ-პატარა რაღაცებს - ბავშვობიდანვე ვწერდი და ვფიქრობ, დიდი რაღაცის დაწერა აქ არც გამოვა. მე, მაგალითად, ვერ დავწერ.



- რატომ არ გამოვა?

- იმიტომ, რომ პატარა ქვეყანაა. დიდ რამეს ვერ დაწერ. სადაც რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება, იქ უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოებებიც იწერება. ჯერჯერობით აქ ასეა. საქართველო თუ გახდება რამე ქვეყანა და ვიღაცა პირდაპირ შეხედავს, დაინახავს პრობლემებს, მაშინ შეიძლება დაწეროს მართლა საინტერესო რაღაცა. ადამიანი აქ უფრო თავისი ცხოვრებით შემოიფარგლება.

23411

საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემები არ ტრიალებს, ფსიქოლოგია არ არის ჯერ საამისო. ამდენი ხანი საქართველოში ჯერ კომუნიზმი იყო. კომუნიზმის შესახებ კომუნიზმის წიაღში მყოფი კაცი ვერ დაწერს კარგად. იმიტომ, რომ უბრალოდ, არ გამოუხედავს იქიდან. ყველაზე კარგი წიგნი დიქტატურასა და ტირანიაზე ორუელმა დაწერა. ინგლისში სულ არ არის ეგეთი რაღაც, საერთოდ არ არსებობს არც დიქტატურა და არც ტირანია და ზუსტად იმან დაინახა, ვინც თავისუფალი იყო ამისგან. როცა ჭაში ხარ, იმ ჭიდან მარტო ჭის კედლებს ხედავ. შეგიძლია აღწერო დეტალურად ეს კედლები, მაგრამ ჭაზე ვერაფერს იტყვი.

- ანუ სხვა, უფრო დიდ ქვეყანაში რომ დაბადებულიყო ზაზა თვარაძე, მაშინ დაწერდა რომანს ან რამე დიდტანიან წიგნს, ვთქვათ, ინგლისში?

- არა, ეს ზაზა თვარაძე შეიძლება დაიბადოს ინგლისში, მაგრამ არ გაიზრდება ისევ ის ზაზა თვარაძე. იქ სულ სხვანაირი გაიზრდება. ჯერ ერთი, მეტი განათლება ექნება. ყველაფერს სულ სხვა თვალით შეხედავს. ადამიანი მარტო ის ხომ არ არის, რაც დაიბადა. ადამიანში 90 პროცენტი ის არის, რაც ისწავლა და შეიძინა.

- მაშ როგორ წერდნენ ოთარ ჭილაძე, ოთარ ჩხეიძე, ჭაბუა ამირეჯიბი?

- ჭაბუა ამირეჯიბს უზარმაზარი ბიოგრაფია აქვს. რა არ გააკეთა. იქ აჯანყება მოაწყო ციხეში, გაიქცა, მერე ოჯახიშვილობაც ხომ ძალიან მნიშვნელოვანია? ალბათ შესაბამისი აღზრდაც მიიღო ბავშვობაში, სანამ დაიჭერდნენ. მერე მისი ნაწერი მართლა განსხვავებულია სხვებისგან. რომ დააკვირდები, თავისუფალიც არის და არც ეშინია, რომ ცუდად გამოუვა. მწერალი კი არ არის, არამედ მართლა მწერალია. შეუძლია, რომ ისე თქვას, როგორც მიაჩნია და ამითია საინტერესო. ჩვენთან გახსნილი ცხოვრება არ არის. ყველა ადამიანი რაღაცა ფუტლიარშია თითქოს. ეს ქართველი კაცი იმას აკეთებს, რაც საჭიროა და არა იმას, რაც მართლა მისი გულიდან მომდინარეობს. შექსპირმა თქვა, რომ რაც საჭიროა, ადამიანს მარტო ის რომ მისცე, პირუტყვად გადაიქცევაო. ხოლო მამარდაშვილმა: ჩვენ კი არ ვცხოვრობთ და იმას კი არ გამოვხატავთ რაც ჩვენა ვართ, არამედ გამოვხატავთ იმას, რასაც ჩვენგან ელოდებიანო.

ეს იწყება ბავშვობიდან. ჯერ მშობლები გაიძულებენ, თავისდა უნებურად და არა რამე ბოროტი განზრახვით, რომ შენ ზუსტად ის გამოხატო, რასაც ისინი მოითხოვენ. ხშირი იყო ჩემ დროს, რომ შვილს პირდაპირ ეუბნებოდნენ, აი, ამას უნდა გაყვე ცოლად, ან ეს უნდა მოიყვანო, ან ექიმი უნდა გამოხვიდე, იქ უნდა ჩააბარო... მშობელიც კი იმას ფიქრობს, აღსაზრდელი იმ ფარგლებში მოაქციოს, რომელიც თვითონ მიაჩნია საჭიროდ. ამ საჭიროების მიხედვით გაზრდილი ხალხი გამოდის ბეჩავი, შურიანი და მკვლელი, რადგან თვითონ რომ ვერაფერს განახორციელებს, სხვის გაკეთებულსაც ვერ იტანს.

- შენ ხომ გინდოდა ფილოსოფიურზე ჩაბარება და ჩააბარე, მწერლობა გინდოდა და გახდი მწერალი?

- მართალი გითხრა, ფილოსოფოსი ვერ გამოვედი, იმიტომ, რომ ფილოსოფიური არ დამიმთავრებია, ფსიქოლოგიური დავამთავრე. ვერც ფსიქოლოგი გამოვედი იმიტომ, რომ ფსიქოლოგიაში არ მინდოდა მუშაობა, არც მიმუშავია. მწერალი კი იმიტომ არ გამოვედი, რომ ისეთი რამე ვერ დავწერე, რაც კმაყოფილებას ბოლომდე მომიტანდა...

- ჯერ ხომ წინ არის ყველაფერი?

- წინ რა ვიცი, რა არის, მე ვამბობ იმაზე, რაც ეხლაა. მე მაგაზე არა ვფიქრობ, რა გამოვედი. რაც ვარ, ისა ვარ. სხვებიც ეგრე არიან. კმაყოფილი იმითი ვარ, რომ რაღაც მინდოდა და დავწერე და იმითი, რომ ეს დაწერილი ვიღაცებს მოეწონათ. ვერ ვიტყვი, რომ გინდა თუ არა მწერალი ვარ. შემიძლია, რა, წერა, ნიჭიერი ვარ, მაგრამ ზარმაცი (იცინის). ჰო, წერა შემიძლია, მაგრამ სხვა რაღაცებიც შემიძლია, ვთქვათ, რედაქტირება შემიძლია, გიტარაზე დაკვრა შემიძლია.

- საკუთარ სტილზე, ხელწერაზე რას იტყვი?

- სტილი საინტერესო რამეა. მე თავიდან ვფიქრობდი, რომ მწერლები რაღაც გარკვეულ იდეებს ასხამდნენ ხორცს ნაწარმოებში. მერე ეგრე ვცადე და არაფერი გამოვიდა. მივხვდი, არასწორად ვფიქრობდი. კი არ ასხამ ხორცს (აი, ფოლკნერი ამბობს, რომ მე თვითონ არ ვიცი, რას ვწერო), შენში ხორციანად იბადება ეს, როგორც ნაყოფი. ნაყოფი ხომ არ არის ცალკე კურკა და ცალკე სხეული? - ეს ერთიანი სხეულია, რომელსაც თავისი სულიც აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ფორმაც. ესევე მწიფდება ფსიქიკაში რაღაც ნაყოფი, რომელიც იქცევა ან ლექსად, ან მოთხრობად, ან ხიდად ან სახლად. ჰოდა, ადამიანის ფუნქცია ის არის, რომ თავის თავშიც და სხვაშიც გზა მისცეს ასეთ გამოვლინებებს, - არ შეაფერხოს, არ მოეჩვენოს, რომ არ შეიძლება, არ არის საჭირო, ანდა ეს სირცხვილია ანდა მას ვინ ეკითხება.

ყველა ადამიანს თავისი რაღაცა აქვს, ნეტა ყველამ იპოვოს თავისი გამოვლინების ფორმები. მაშინ ქვეყანა აშენდება, იმიტომ, რომ ყველა შექმნის. როცა არავინ ქმნის და ყველა ანგრევს, ის ქვეყანა არ აშენდება. რატომ ანგრევს? - იმიტომ ანგრევს, რომ მისი ნიჭისამებრ არ წავიდა ცხოვრება. ყველას ხომ თავისი ნიჭი აქვს - იქნებ ფეხბურთელის ნიჭი აქვს კაცს და მუსიკოსობა მოინდომა ოჯახის გამო, ან თავისი ამბიციის გამო? - იმისგან კარგი მუსიკოსი ვერ გამოვა. ან შეიძლება რაღაცა ისეთი ნიჭი ჰქონდა, რომელიც პრაგმატულად განუხორციელებელი იყო ან არაფრის მომტანი. შეიძლება მექოთნის ნიჭი აქვს და მწერლობა უნდა - ეგეთი ბევრი ვიცი. ის მწერალი ვერ ხდება, იმიტომ, რომ არა აქვს მწერლობის ნიჭი, ღმერთმა მექოთნის ნიჭი მისცა და როდესაც ეს კაცი მწერალი ხდება, ის, როგორც წესი, კარგ რაღაცებს კი არ წერს, წერს ცუდ რაღაცებს, მაგრამ რამეში ხომ უნდა ნახოს კომპენსაცია? ამიტომ ეძებს სხვა რამეში. რაში? - ფულში, თანამდებობაში და გავლენაში. ეს იმდენად გავრცელებული ტიპია მწერლისა საქართველოში, რომ ყველამ იცის.

ლაპარაკიც კი არის იმაზე, რომ მწერალი უნდა მართავდეს და რაღაცა სისულელეები. მწერალი ისე კი არ უნდა მართავდეს, რომ თანამდებობა ეჭიროს, მწერალმა შეიძლება ისეთი სიმართლე თქვას გულიდან, რომ ეს ერმა აიტაცოს. ეს მართვაც არ არის, ეს არის რაღაცის გაზიარება. ასე რომ, მივხვდი, სტილი რა არის. კარგი სტილი ის არის, რომელიც არის პირდაპირი. ერთხელ წავიკითხე, სინკლერ ლუისს ეწერა სამი წინადადება. ეს არი ცუდი სტილიო, ესეც ცუდიაო, აი ეს, შუა კარგიაო. პირველი იყო რაღაცა პრიმიტიული, ნათქვამი წინადადება, მესამე იყო იგივე წი-

ნადადება ამაღლებულ და მაღალფარდოვან ტონში და შუაში იყო ჩვეულებრივი, როგორც ყველა ლაპარაკობს. აი, მარტივი განსაზღვრება სტილისა. ე.ი. ის არის კარგი, რომელიც პირდაპირ ამბობს იმას, რასაც ამბობს. ჩვენთან ამაშიც არის ერთი პრობლემა; ზოგიერთი ჩვენი ძველი მწერალი, მაგალითად, გამსახურდია, ბარნოვი, რობაქიძე ნაწილობრივ რაღაცნაირი სტილით წერენ, ყველამ იცის, ხო ეს. არადა, ყველაფერი რაც უფრო ბუნებრივია, თუნდაც შემწვარი ხორცი, უფრო ნაღდია. ეხლა, ბოლო ხანებში, ყველა მიხვდა, რომ ეს კაზმულობა რაღაც დებილობაა, მაგრამ რაღაცით ხომ უნდა ჩანაცვლდეს? ჯობია, პირდაპირი ლაპარაკით ჩანაცვლდეს და კიდეც ხდება ასე. მაგრამ, საუბედურად, დიდი სიღრმეები არც გამსახურდიასთან ჩანდა და არც ახლა ჩანს. ეს ტენდენცია იყო და ეხლაც არის, რომ როდესაც ვერ ამბობ საინტერესო რაღაცას, ცდილობ, ისე შეკაზმო, ვითომ საინტერესოა. ეს პოეზიასაც ეხება და პროზასაც. ლიტერატურაში მთავარი ის კი არაა, რამდენად მეტაფორულად იტყვი, მთავარი ის არის, რა ადგილას რას იტყვი. ყველა წინადადებას თავისი ადგილი აქვს. და როდესაც ასე ხდება, მაშინ გინდ მეტაფორა იყოს, გინდ ამაღლებული, გინდ დამდაბლებული, გინდ ბითური. ამას ცოტა მაღალი აზროვნება სჭირდება. ან უფრო სწორად, რაღაც ნიჭი.

- ესე იგი, ნიჭი განსაზღვრავს თავისებურად სტილს?

- სტილი აბსოლუტურად ნიჭიდან გამომდინარეობს. მაგალითად, ფორმალური გაგებით დოსტოევსკის ცუდი სტილი აქვს, მაგრამ მხატვრული გაგებით ძალიან ძლიერი. ფორმალურად სტილი არც არსებობს. ეს არის ლიტერატურათმცოდნეების საქმე, რომ მერე დაითვალონ, რამდენჯერ რა გააკეთა მწერალმა. მწერალი არ უნდა იყოს ტექნიკოსი. კი, უნდა ჰქონდეს ტექნიკა, რომ როცა დასჭირდება, რაღაცა ან ასე თქვას, ან ისე და მესამე კლასელივით არ იბლუყუნოს. მაგრამ კიდევ ვამბობ, სადაც საჭიროა. იქ უნდა თქვას ისე ან ასე. მაგალითად, ხშირად ვამბობ, რომ ჯოზეფ კონრადის სტილი ძალიან ხატოვანია, მეტყველებაა ხატოვანი. ალბათ იმიტომ, რომ ის პოლონელი იყო, ინგლისური მერე ისწავლა და რაც მოეწონა, ის აიღო. ჰერბერტ უელსის სტილი კი ძალიან უბრალოა. გემოვნების საკითხია ვის რა მოსწონს.

ერთხელ კონრადი და უელსი ზღვის პირას არიან წამოწოლილი და აფრიანმა ნავმა გაიარა. კონრადმა თქვა, აუ, რამდენნაირად გადმოვცემდი აფრიანი ნავის გავლას, ათასნაირად შემიძლია ეს გამოვხატოო. უელსმა კი უპასუხა, მე ამას ასე ვიტყოდიო - აფრიანმა ნავმა გაიარა. ისიც, თუ დამჭირდებოდა და თუ არ დამჭირდებოდა, საერთოდ არ ვახსენებდიო ამ ნავს. მე მგონი, ეს სწორი გაგებაა.

სტილი არის ზუსტად ნიჭის - გემოვნების და ნიჭის ფაქტორი და არა რაღაც დასწავლილი რამ. დასწავლილი არის ტექნიკა და აშკარად ემჩნევა ეს ბევრ მწერალს. ხშირად მეც ვწერ უხეშად, ისე, რომ ბუნებრიობის ეფექტი მეტი იყოს. ის მწერალი, რომელიც ამას ადვილად აღწევს, უფრო კარგი სტილისტია, ის მწერალი კი, რომელიც ძალიან ბევრ სტილურ საშუალებას ხმარობს, არ არის კარგი სტილისტი. ის უფრო ხელოსნურად აკეთებს ამას. შეიძლება ხელოსნურადაც არ აკეთებს, მაგრამ გემოვნებაში იჭედება. გემოვნების საკითხზე ძნელია ლაპარაკი, მაგრამ ხომ არ შეიძლება 2500 წლის მანძილზე რაღაცა არ გამოიკვეთოს? დიდი მწერლები მაინც პირდაპირები არიან.

- შენზე ვინ მოახდინა ყველაზე დიდი გავლენა?

- ერთი პერიოდი "დათა თუთაშხიას" სტილითაც კი ვწერდი რაღაცებს. რაც კი წავიკითხე, ყველაფერმა მოახდინა გავლენა. სისულელეც რომ წამიკითხავს, იმასაც მოუხდენია გავლენა, მაგრამ ისე, რომ გითხრა, მისაბაძად რა მიმაჩნია, უკვე ვთქვი - ესაა უელსის, სტივენსონის სტილი. დოსტოევსკიც, მაგრამ არაფრისდიდებით მისაბაძი არაა ნატურალისტების სტილი ან ზედმეტად რომანტიზებული სტილი, თუმცა კი ნატურალიზმი დღეს მაინც ძალიან მოდაშია. მოდაში კი არ არის, ფაქტობრივად აქედან ვერ გამოდიან.

- ლიტერატურულ მოდურობაზე რა აზრის ხარ, როგორ გავლენას ახდენს სტილზე?

- მოდურობა ჯობია არ გაითვალისწინო. მოდურობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სტილი. სტილი არის თვითონ მწერლის მთელი შინაგანი სამყარო და მოდურობა რაღაცა ფერუმარილივით არი - თუ აიღებ, მე მგონი, წააგებ. მოდურობა უფრო თემატიკაშია, ვიდრე სტილში. რომ გითხრა მართალი, რაღაც ჩამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყალიბებული სტილები აქ არ არის - "ატმის სკოლა" და რაღაც ეგეთები. ერთი შეგიძლია, გამსახურდიას მიბაძო ან ჯავახიშვილს - მორჩა და გათავდა. აქაც ვიცი, რომ ჯობია იმას მიბაძო, პირდაპირი რაც არის. მოდურობა უფრო ნაკლები რამეა. მოდურ თემატიკას მე პირადად ვერც ვეგუები, ვერც ვიტან. ეხლა რაღაც კონკურსებიც არის. შეგიძლია ფული იშოვო, მაგრამ უნდა დაწერო ბოზებზე, ნარკოტიკებზე, რაღაც ამდაგვარზე. თავისთავად, შეიძლება არც ის არის ცუდი, არც ეს, შეიძლება ორივე ცუდია, მაგრამ მაგაში არ არის საქმე. მთავარი ის არის, რომ ეს აქტუალური თემატიკა პირადად ჩემთვის ისეთი მიუღებელია, რომ მეტი არ შეიძლება. ვერც დავფიქრდები, რომ სპეციალურად მაგაზე რამე დავწერო. არ მაინტერესებს. პლანს რომ მოწევ, ეგ არ ნიშნავს იმას, რომ პლანზე წერო. ეგრე, იმდენი ღვინო მაქვს დალეული, რომ ღვინოზე უნდა ვწერო.

- რამე განსაკუთრებულ პირობებს ითხოვ წერის დროს?

- მარტო უნდა ვიყო. მარტო უნდა ვიყო - მეტი არაფერი. როცა ვეწევი, სიგარეტიც უნდა მქონდეს, თორემ გამიჭირდება. მაგრამ წერის დროს არის ისეთი მომენტები, როცა არც სიგარეტი გახსოვს და არც არაფერი. მაგალითად, სასმელი არ არის ჩემთვის საჭირო, არც საჭმელი. ეს, რამდენიმე საათი, როცა უკვე რაღაც გაქვს მომწიფებული გონებაში, თორემ თუ ისე დაჯექი, რამე დაწერო და არა გაქვს მუხტი, რომელიც თავისთავად გაწერინებს, მაშინ სიგარეტიც გინდა და ყველაფერიც, რომ მიაღწიო მუხტის წამოსვლის მომენტს და მერე არაფერი აღარ გჭირდება.

- როგორ მდგომარეობაში ხარ როცა წერ, შეგიძლია აღწერო?

- ჰო, რაღაცა ატაცებული ხარ. ერთხელ, დედაჩემი შემოვიდა, კაცო, რას შვრები, არ უნდა ადგეო? - ლოგინში ვწერდი. - რა იყო-მეთქი? - რა იყო და ღამის 10 საათიაო. არადა, დილის 10 საათზე რომ გამეღვიძა, რაღაცა მომივიდა აზრად და დავიწყე წერა. მეგონა, 1-2 საათი გავიდა. გასულა 12 საათი. არც მიჭამია, არც წყალი დამილევია, არ ავმდგარვარ ლოგინიდან. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ მუზები ყოველ წუთში მოდიან, არამედ იმის, რომ ესეთი რაღაცაც მომსვლია. იქიდან რა გამოვიდა არც მახსოვს. იმ მომენტში თუ იმ პერიოდში, როცა წერ, არც არის სავალდებულო, რომ მაგარი რაღაც გამოგივიდეს. შეიძლება უცებ წამოვარდე, გაიარო, გამოიარო... დადიხარ, რაღაც გახსენდება, ოჰ, წამოიძახებ, მერე ხარხარებ, რაღაცა მოგდის, იცინი, როცა ჩაავლებ რაღაცას... მართლა დიდი მწერლები ალბათ გიჟივით დახტოდნენ აქეთ-იქეთ. პლატონი ამბობს, ეგენი გიჟები არიან, მაგათ რა უნდათ სახელმწიფოშიო. ის იგულისხმება, რომ თუ პოეტია კაცი, ყოველთვის პოეტია.

- დიდხანს დაატარებ დასაწერ მოთხრობას, ლექსს თუ ყოველთვის სპონტანურად წერ, როცა მოგივა მუზა?

- ყოველთვის სპონტანურად ვწერ. ძალიან მეზარება რამის დაწყება, იმიტომ, რომ ვიცი, დიდი ენერგია მიაქვს. თუ მეორე დღეს გაქვს გასაგრძელებელი და ერთ დღეში ვერ მოასწარი, ძნელია, ძალიან დამღლელია. მერე, ვთქვათ, მთელი დღე რაღაცა წერე, რომ ამთავრებ, საშინელი გრძნობაა ეს კმაყოფილების გრძნობა, რაღაცნაირად იცლები. თუ წლების მანძილზე ხშირად წერ, უკვე ფიზიკურად იცლები და იფიტები. იმიტომ, რომ რაღაცა გამოდის გარეთ, წარმოსახვები გამოდის. ეს ხომ არ არის გონების ჩვეულებრივი აქტივობა, რაღაცნაირი ზეაქტივობაა და გფიტავს. რომ ამბობენ, ეგნატე ნინოშვილი შიმშილით მოკვდაო, შიმშილით კი არ მოკვდა, ის ეტყობა განუწყვეტლივ წერაში იყო და მართლა არ ჭამდა, თორემ საჭმლის მეტი რა ჰქონდა. ეტყობა, ბედისწერასავით ჰქონდა ესა და თან ავადმყოფიც იყო საწყალი, ჭლექი ჰქონდა თუ არ ვცდები. წერის მომენტში, რამდენადაც აგზნებული ხარ და ძლიერად მოდის ემოციები, მერე, რომ დაასრულებ, გადის ეს ყველაფერი და არ არის გასაკვირი, რომ შემოქმედი ადამიანები ხშირად ლოთობენ. იმიტომ, რომ იმ დროს არაფერი გაინტერესებს, აიმ შუა პერიოდებში.

- ბევრს კითხულობ?

- ახლა აღარ ვკითხულობ. ბავშვობაში ვკითხულობდი. ლიტერატურას უფრო ინგლისურს და ამერიკულს ვკითხულობდი. მერეც ბევრს ვკითხულობდი, მაგრამ ისეც არა ვარ, ყველაფერს რომ კითხულობენ. რაც მიყვარდა, იმას ბევრჯერ ვკითხულობდი და ეხლაც თუ რამეს წავიკითხავ, ისევ იმას ვკითხულობ, რაც მახსოვს. ისევ იმ სიამოვნებას განვიცდი, რაც იყო. ბოლო წლებია საერთოდ არა-

ფერს ვკითხულობ. უბრალოდ, სურვილი არა მაქვს.

- Tyrannosaurus Rex-იზე მინდა გკითხო, ლექსების ბოლო კრებულზე. ამავე სახელწოდების ლექსში სიგიჟეზე ლაპარაკობ. მაინც რა სიგიჟეა ეს, ყველა მწერალს აქვს ან უნდა ჰქონდეს?

- ეს უფრო ადამიანური გრძნობაა და არა მწერლური. ბავშვობიდანვე არ მინდოდა ვყოფილიყავი ისეთი, როგორიც ყველა იყო. ამიტომ ვცდილობდი, რომ სხვანაირი ვყოფილიყავი და მივხვდი, განსხვავებულობა დიდი ბედნიერება არ არი, თუმცა არც დიდი უბედურებაა. სხვათა შორის, ადვილია, რაღაც იგიჟო, მაგრამ ძნელია მართლაც ის იყო, რაც ხარ. ყველა ინდივიდს აქვს გარკვეული შეკერილი პერსონა. ინდივიდი არის ის, ვინც არის და პერსონა არის ის, რასაც წარმოადგენს და გამოაჩენს გარეთ. გამომეტყველებაც, ის მიზნები, ამოცანებიც, რომელიც დასახული გაქვს, შენი პერსონისეულია. გარკვეულწილად ეს აუცილებელია, რადგან ყველამ რომ ის გააკეთოს, რაც თავში მოუვა, ანარქია იქნება, ხო? და საზოგადოებაც ბუნებრივად იღებს ამას, არ რეაგირებს ამა თუ იმ პიროვნების პერსონალურ ქცევებზე. ეს გარკვეული კონფორმიზმი აუცილებელია, მაგრამ აქ დოზებზეა ლაპარაკი. რამდენადაც მეტი არაფერი შეგიძლია და მარტო ცარიელა პერსონა ხარ, ვთქვათ, დირექტორად დაგნიშნეს და დირექტორის მეტს არაფერს წარმოადგენ, ეს არის პიროვნების და ინდივიდის კრახი, იმიტომ, რომ მარტო ნიღაბია და მეტი არაფერი.

ეს სიგიჟე შეგვიძლია ორნაირად გავიგოთ: როდესაც ადამიანი არღვევს ზედმეტად გაბატონებულ ჩარჩოებს, რომელიც თავისთავად დასარღვევია და უმრავლესობა ასეც იქცევა, შეიძლება ესეც სიგიჟედ მოვნათლოთ; მეორე მხრივ, რომ გადააჭარბებ მართლა უკვე დასაშვებ ნორმებს, ისიც სიგიჟეა და არის მესამე სიგიჟე, როცა კაცი მართლა გაგიჟდება. ადამიანის ცხოვრება თავისთავადაც გარკვეულ სიგიჟეს უკავშირდება. თვითონ ის ფაქტი, რომ ადამიანი დაიბადა არარაობიდან, უცებ გაჩნდა და წარმოდგენა არა აქვს საიდან მოვიდა, ესეც სიგიჟეა, სხვა გაგებით სიგიჟე. ამაზე რომ დიდხანს იფიქრო, ტვინი აგერევა, ანდა პირიქით - ძალიან ღრმა რაღაცას მიხვდები. მერე, რომ უნდა მოკვდე, ესეც ხო აბსოლუტური აბსურდია?! - თუ გაჩნდი, რატო უნდა მოკვდე? თუ უნდა მომკვდარიყავი, საერთოდ რატო გაჩნდი? თავად ეს სამყაროა სრული სიგიჟე და კიდევ ვიმეორებ, რამდენადაც გაყვები ამ სიგიჟეს, ან გადაიჩეხები, ან რაღაცა რელიგიურ სიღრმეს მიწვდები.

ჩესტერტონი ამბობს, ანარქისტებს ეუბნება: ეს ანარქია, რომელიც თქვენ მიგაჩნიათ რაღაც უდიდეს სიგიჟედ და რაღაცებს აფეთქებთ, ამ ქვეყნიერებისთვის ძალიან ჩვეულებრივი რამეაო. ყოველთვის ყველა ანგრევდა და აფეთქებდა რაღაცას, მაგრამ ნამდვილი სიგიჟე, ნამდვილი ანარქია ის არის, რომ (ჩესტერტონი კათოლიკე ქრისტიანი იყო) მოვიდა იესო ქრისტე და ისეთი ანარქია მოახდინაო, რომ აბსოლუტურად დაანგრია მთელი ეს დაკანონებული ჩარჩოები, ყველანაირი ადამიანური გათვლები, განზომილებები - სუყველაფერი დაანგრიაო. აი, მართლაც, ნამდვილი რევოლუცია, ანარქია და სიგიჟე ეს არის, რომლის ჩაკეტვაც ახლა ძალიან უნდათ, ადამიანურ განზომილებებში და რაღაცა ჩარჩოებში. აბა შარვალი ჩავიცვათ, აბა კაბა გავიხადოთ, თვალები არ შევიღებოთ და ათასი სისულელე. თვალების შეღებვაზე რომ ყოფილიყო ეს ამბავი, მაშინ ადამიანი უკვე წინასწარ თვალებშეღებილი დაიბადებოდა...

- სიზმრებზე მინდა ილაპარაკო, შენ მოთხრობებში ბევრი სიზმარია.

- სიზმრები მაქვს. ბევრი მოთხრობა პირდაპირ სიზმარში ვნახე. სიზმრად ვნახე ბევრი ის ამბავი, რაც მერე მოთხრობად ვაქციე. სიზმარში ნანახი სიუჟეტი ხშირად იმდენად დასრულებული იყო თავისი ფორმით, მშვენივრად ხორცშესხმული, რომ შემეძლო მარტო ის დამეწერა და უკვე ემგვანებოდა რაღაც მოთხრობას.

სიზმრები ყოველთვის მაინტერესებდა. სიზმართმეტყველი არა ვარ, არც მიყვარს ეგეთი ხალხი. სიზმარი მაინტერესებს როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი. ჩვენ რატომღაც ნაკლებ ყურადღებას ვანიჭებთ სიზმარს, მაგრამ ადამიანი ნახევარს თუ არა, მესამედ ცხოვრებას მაინც ატარებს ძილში. ამ ძილის დაახლოებით 1/3 სიზმარს უყურებს. ე.ი. კარგა ძალი ჩვენი დროისა სიზმარშია. ამ სიზმარში ბოლო-ბოლო რა ხდება: ეს არის დიდი შეკითხვა, რომელზეც ჯერ არ არსებობს აბსოლუტურად სწორი პასუხი, მაგრამ ერთი რამე შეგვიძლია ვთქვათ -

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმარში ვერაფრით მოიტყუებ თავს. კი, შეიძლება მოიტყუო, მაგრამ იქვე შედიხარ სიზმარში, შენ თვითონ. ეგეთი სიზმრებიც არსებობს, როცა თავადაც ახდენ რაღაც ზემოქმედებას, მაგრამ როგორც წესი, ჩვეულებრივ, სიზმარში შენ ზუსტად ისა ხარ, ვინცა ხარ. იქ შიშიც ზუსტად ისე მოდის, როგორც უნდა მოვიდეს, სიხარულიც და ყველაფერი. ე.ი. რაღაცა გარკვეული აზრით სიზმარში უფრო ახლოსა ხარ იმ პიროვნებასთან ანუ ინდივიდთან - პერსონის გარეშე, რომელიც სინამდვილეში შენა ხარ. ამდენად, ეს სიზმარი საინტერესო იმითაც არის, რომ შეიძლება შენი თავის შესახებ რაღაცები გაიგო და არა მარტო შენი თავის შესახებ. შეიძლება ურთიერთობაში ვიღაც ადამიანზე რაღაც იმედებს ამყარებ, რაღაცა გჭირდება და ამიტომ რაღაც მეტს დებ შიგ, ან არ დებ არაფერს და ფეხებზე გკიდია. სიზმარმა შეიძლება გაჩვენოს, ეს პიროვნება შენთვის რას წარმოადგენს - ან მეტია, ან ნაკლებია, ანდა სულ სხვაა, ამოუხსნელი ვინმეა. ამ გაგებით სიზმარი დიდი რეალობაა და არ მგონია, რომ ისე უნდა მოვიშოროთ, როგორც ღამე ნანახი რაღაც. სხვა საკითხია რაღაც შემაძრწუნებული სიზმრების არსებობა. ისინი სწორედაც უნდა მოიშორო, რომ არ გმართავდეს. მეორე მხრივ, ვფიქრობ, რომ როცა გძინავს და სიზმარს ხედავ, გამახსოვრდება ის სიზმრები, რომლის დროსაც ბოლოს გეღვიძება ცოტათი მაინც. რა ვიცით, რამდენი რამე მოდის სიზმრიდან. სიზმარი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ყოველთვის. ვთქვათ, იმავე დოსტოევსკის მერზლიავოვი სანამ თავს მოიკლავს, სიზმარი ესიზმრება - ერთი, მეორე და, იღვიძებს, იღვიძებს და კიდევ იღვიძებს. რომ ჰგონია გაიღვიძა, თურმე ისევ სიზმარშია. მერე კიდევ გაიღვიძა და კიდევ სიზმარში ყოფილა და აქედან ის ჩანს, რომ ადამიანის ცხოვრება სიზმარია, რომ ერთხელ გაღვიძება არ გეყოფა, რომ კიდევ უნდა გაიღვიძო და კიდევ. და რომ გაიღვიძებ, შეიძლება კიდევ ვერ გაიღვიძო. მეორე მხრივ, იმ სიზმარში ის ზუსტად იმას ხედავს, რაც სწორედ მისი უბედურებაა და რითიც იწყება ის, რომ ბოლოს თავს იკლავს.

- "დამინებულ ლექსში" ამბობ: "მოკლედ, ლექსი არ უნდა იყოს ძალიან რთული, /ის უნდა იყოს მაქსიმალურად დამინებული,/ მაგრამ ამავ დროს დამინებას უნდა თან ახლდეს რაღაც თილისმა./ სწორედ ეს არის პოეზია"... და ა.შ." მართლა ეს არის კარგი პოეზიის რეცეპტი?

- ეს უფრო შაყირია მე თუ მკითხავ. იმიტომ, რომ ეს ყველამ იცის. ლექსი, სინამდვილეში, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს რთული, მაგრამ შეიძლება იყოს რთულიც და თილისმა ახლდეს ან არც ახლდეს. ყველანაირი შეიძლება იყოს ლექსი.

ლექსი არ არის სიტყვები - არ არის რითმები, არ არის მეტაფორები და საერთოდ, არაფერი არ არის! ლექსი არის რაღაც ნაკადი, რომელიც სადღაც დაიწყო და აქ დამთავრდა, მაგრამ თვითონ ის არსად წერია არც ამ სიტყვებში, არც მის ქვეშ მდებარე რაღაც მინიშნებებში, არსად არ არი, არაფერში არ არი. ეს ნაკადი უხილავია. როგორც წესი, ყველა პოეტს შეუძლია რაღაცა ხატოვნად თქვას, მაგრამ ერთი ლექსია, - მეორე არ არის ლექსი. აქ რითმები და მეტაფორები არაფერს ნიშნავს, აბსოლუტურად არაფერს. მაგრამ ის რაღაც ნაკადი, რომელიც არ ჩანს, მაგრამ იგრძნობა, როგორც კი რაღაცით შეიბღალება, გინდაც ულამაზესი მეტაფორით შეიბღალოს, ანდა შეწყდება და მერე ისევ გაგრძელდება (ეგეც იგრძნობა), ის ლექსი აღარ ვარგა. აქ შეიძლება ეგ ნაკადი საერთოდ არ არი. ლექსების უმრავლესობაში, ეხლა რასაც ვკითხულობ, ეგ არ არი. არ არი არავითარი პოეზიის ნაკადი. არც ჩემ ლექსებში არ არი. აქა-იქ თუ გაკრთება, რამდენიმე სტრიქონში ან სიტყვაში.

- ლექსების წერა უფრო გიყვარს თუ მოთხრობების - რომელს ანიჭებ უპირატესობას?

- ეგ არა მაქვს, გინდა თუ არა ან ლექსები ვწერო, ან მოთხრობები, მაგრამ ხომ გითხარი, მოთხრობების წერა მეზარება. დიდი დრო უნდა. ამიტომ ბოლო ხანებში უფრო ლექსებს ვწერ.

- ე.ი. სიზარმაცის გამო?

- ჰო, მაგის გამო. ან შეიძლება სიზარმაცე არაფერ შუაშია და მე მგონია ასე.

- კრიტიკაზე რას იტყვი, ვინმეს თუ გაუკრიტიკებია შენი მოთხრობა ან ლექსები?

- არა! ჯერ ერთი, სად არის კრიტიკა, არ არის. ისე, ჩემზეც დაუწერიათ, ჩემი რაღაცაც განუხილავთ ორ-სამ წერილში და რა ვიცი, იქ ცუდი არაფერი უთქვამთ. არ უთქვამთ, რომ ეს არ გამოსდის ან ეს... ეგეთი რამე არ ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარყოფით აზრს აქ არავინ გეტყვის, ეს ისეთი ქვეყანაა, საერთოდ, არავინ არაფერს გეტყვის. თუ მოეწონათ, შეგაქებენ, თუ არ მოეწონათ, გაჩუმდებიან. თუ ვინმემ წაიკითხა საერთოდ, ეგეც დიდი ამბავია. როცა მაქებენ, მიხარია, მაგრამ ის არ მქონია, ვიღაცას ეთქვას საქმიანად, რომ აი, ეს არ ვარგაო. თუმცა, კი. ბოლოს ერთი მოთხრობა დავწერე. ბესო ხვედელიძეს უნდა დაებეჭდა და ბესომ მითხრა, რომ ბიჭო, აი, ამ ადგილას რაღაც იყო საჭირო და არ არიო; რომ წავიკითხე, ვნახე, იმ ადგილას მართლა რაღაცის ჩამატება იყო საჭირო. გამიხარდა. ავდექი, სასწრაფოდ ჩავწერე ის რაღაცა და გამოვიდა უკეთესი. ეგეთი რამე პრესაშიც რომ იწერებოდეს, შე დალოცვილო, მაგას რა ჯობია, მაგაზე კარგი რა არის? ზუსტად ეგ გეხმარება, რომ დაინახო რას ვერ აკეთებ და როცა დაინახავ, თუ მთლად რეგვენი არა ხარ, შეეცდები გააკეთო, ხო?

– წელან თქვი, მუსიკა მიყვარსო...

– სტუდენტობაში მიყვარდა "ბლექ საბათი" და ის რიტმები მქონდა ხოლმე თავში – რაღაც პარანოიდული რიტმები. ლექსებიც დამიწერია იმ საზომით, რაც იქ იყო. რაღაცა წლების მანძილზე ცოტა დეპრესიული ვიყავი – 19-20 წლის ასაკში, მანამდეც და მერეც. დოკ უოტსონის ფირფიტა ვიშოვე – ერთი ამერიკელი, ქანთრის ბებერი მომღერალია და მითხრეს, რომ ბრმა არიო. ისეთი ვინმეა, როგორიც რობერტ ბერნსი ან ვაჟა-ფშაველა. ისეთი მომღერალია, ბუნებაზე რომ მღერის, თაგვზეც რომ იმღერებს, შეყვარებულზე, მატარებელზე... სიხარული მოდის, რომ მღერის და ამან მიშველა. ვიფიქრე, ეს კაცი თუ ბრმაა და ესე უხარია, როცა არც ბრმა ვარ და არც არაფერი, მე რატომ უნდა ვიყო მოღუშული და უბედური-მეთქი? და ამ აზრმა, კიდევ რამდენიმე რაღაცასთან ერთად ძალიან მიშველა. ჰოდა, მაგისთვის მღერის ეგ კაცი, რომ გიშველოს. იმიტომ კი არ მღერის, რომ გინდა თუ არა, შენ გიშველოს, იმიტომ მღერის, რომ ემღერება და ზუსტად ეგ არის შემოქმედება. ეხლა იმას რომ დაეწყო, გინდა თუ არა ვაჟა-ფშაველა ვარო და ვაჟა-ფშაველას სტილში ეწერა ლექსები, შეიძლება უკანასკნელი და უვარგისი პოეტი ყოფილიყო, მაგრამ რაც მართლა მოსდიოდა სულიდან და გულიდან და რისი ნიჭიც ჰქონდა და ეხლაც აქვს – ღმერთმა კარგად ამყოფოს თუ ცოცხალია – ის გამოავლინა. გიტარას უკრავდა, მღეროდა და წარმოიდგინე, რამდენ ადამიანს ეხმარებოდა.

ერთხელ, ბაბუაჩემმა მითხრა ბავშვობაში, აი, რუსთაველს უწერია, "ბოროტსა სძლია კეთილმან", შენო გიფიქრია, რამდენი ადამიანი გადარჩა ამითო? საბოლოო ჯამში, ეს ბოროტი-კეთილი რა არი? – ბოროტი ის არი, რაც სიკეთისკენ მიდის და სიკეთე სიცოცხლეა, მარტივად რომ ვთქვათ. რომელი ჯობნის ბოლობოლო? – ვხედავთ, რომ უნდა მოვკვდეთ, მაგრამ ამ დროს სადღაც, ვიღაც გეუბნება, რომ არ მოკვდები, იმიტომ, რომ მე გადაგარჩენო.

– ბაბუა ახსენე. რამე ამბავი, ფრაგმენტი შეგიძლია გაიხსენო ბავშვობიდან, რაც სამუდამოდ ჩაგრჩა, დაგამახსოვრდა და დღემდე მოგყვება?

– მახსოვს, რომ ბოთე ბავშვი ვიყავი, სულ ვფიქრობდი, – ეს 4 წლის რომ ვიყავი. მახსოვს, ერთხელ საშინელი სიზმარი მესიზმრა და მერე, წლების მანძილზე დაძინების მეშინოდა... მახსოვს, რომ ერთი გოგო მიყვარდა, ისევ სადღაც 4 წლის ასაკში, საბავშვო ბაღში, ლიანა ერქვა და ლოყაზე ვაკოცე. რომ ვაკოცე, ამ გოგომ ლოყაზე ხელი იტაცა და შესძახა (რუსი იყო, რუსულ ბაღში დავდიოდი), რომ უიმე, მასწავლებელო, მაკოცაო. მასწავლებელმა რაღაც განმარტება მომცა, კი არ დამტუქსა, განმარტება მომცა, რომელიც აბსოლუტურად არ მახსოვს, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ ძალიან შემრცხვა. არ ვიცი, რატომ შემრცხვა. ე.ი. რაღაც ისეთი რამე მოხდა, რაც არ უნდა ხდებოდეს. ეხლაც არ ვიცი, რა არი ცუდი იმაში, რომ ვთქვათ, 4 წლის ბავშვმა მეორე ოთხი წლის ბავშვს აკოცოს ლოყაზე (იცინის).

კიდევ, ნელი ვიყავი. ნელა ვმოქმედებდი და ერთი ბიძაშვილი მყავდა, რომელიც ძალიან ჩქარი იყო. სულ დარბოდა, დახტოდა, ხან თავში მიწას ჩამაყრიდა, ხან რაღაცა და ვერაფრით ავუღე ალღო. თან გოგო იყო, თან ჩემზე პატარა. რეაქციები არ მქონდა ხოლმე ადეკვატური. როცა თავში მიწას ჩაგაყრიან, შენ უნდა ადგე და ქვა თხლიშო ამ დროს, მე კი სულაც არ მქონდა სურვილი, რომ ქვა მეთხლიშა. რა ვიცი, ვიბნეოდი. ეგეთი ტიპი ვიყავი და მიყვარდა მარტო ფიქრი, განმარტოება. ეხლა ეგეთი აღარა ვარ. ყოველ შემთხვევაში, ეგეთს არ ვგავარ.

– სხვა ქვეყანაში ცხოვრებაზე გიოცნებია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

– კი. უკვე სკოლიდან... და მერე სტუდენტობისას. არა მარტო ვოცნებობდი, მესიზმრებოდა ხოლმე და სერიოზულად მქონდა გადაწყვეტილი, რომ გავქცეულიყავი. მაშინ ესე იყო, რომ არ გიშვებდნენ. ვითომ დიდი ვინმე ვიყავი, რომ არ გავეშვი, მაგრამ არავის უშვებდნენ. ვიღაცები იყვნენ, ვინც იშოვა საგზური, საგზურით წავიდნენ და დარჩნენ. ზოგი ჩაჯდა ნავში და ნავით უნდოდა თურქეთში გადასვლა, ზოგი გადავიდა, ზოგი ვერა, ზოგმა თვითმფრინავი მოიტაცა... ყველას არა, მაგრამ იყო ხალხი, ვისაც უნდოდა აქედან გაღწევა და მეც ვიყავი მათ შორის. და, პრაქტიკულად, მთელი წლები მაგით ვცხოვრობდი, წასვლაზე ფიქრში, მაგრამ ვერანაირი გზა ვერ მოვიფიქრე. მერე, როცა უკვე შეიძლებოდა წასვლა, ჯერ ერთი, არც ფული მქონდა და აღარც სურვილი. ის დრო წავიდა... "ჩემო იარალი"... ეხლა გინდა წადი და გინდა ნუ წახვალ.

ესაუბრა
ინა არჩუაშვილი

ნიკუშა ანთაძე

ახალგაზრდა სერიული მკვლელის მოგონებები



ძველ ბინაში

ბინა გვქონდა დაქირავებული, ერთი წლის წინასწარ გადავიხადე. პირველად მიყვარდა გოგო ასე ძალიან, იმასაც ვუყვარდი. იმ ბინაში ერთად ვცხოვრობდით, მაგრამ მხოლოდ ექვსი თვე. მერე, როგორც ჩანს, მოგვბეზრდა ერთმანეთი... წამოვედი და ბინა დავუტოვე, თუმცა ვერ ვივიწყებდი, ძალიან ხშირად ვფიქრობდი მასზე... რომ გავიგე, ვიღაც ახალი კაცი ჰყავსო, სისხლმა ტვინში ამასხა. მაგ დროს ვიმალებოდი, პოლიცია მეძებდა მკვლელობაზე, მაგრამ მაინც ვერ შევძელი, რომ რაღაც არ მომემოქმედა. მაყუჩიანი იარაღი ვიშოვე და ძველი ბინისაკენ გავწიე. არ ვიცი, რას ვაპირებდი... გასაღები მქონდა. წამოსვლის წინ, როცა დავშორდით, ჩემი გასაღები დავუტოვე და ალბათ არც უფიქრია, რომ მე კიდევ ერთი მექნებოდა.

მესამე სართულზე ავირბინე. ვნერვიულობდი. არ ვიცი, რა მინდოდა... კარები ფრთხილად გავაღე და შევედი. საძინებლიდან რაღაც ხმები მომესმა. მივხვდი, რომ მარტო არ იყო. უფრო საშინლად გავმწარდი.

ლოგინში იწვნენ და გაოგნებული სახეებით მიყურებდნენ. იარაღი ამოვიღე... ჯერ ბიჭს ვესროლე, მერე გოგოს, მერე ისევ ბიჭს და ბოლოს ისევ გოგოს. ორივე მოკვდა. კარი გარედან ჩავკეტე გასაღებით და წამოვედი.

* * *

მოდით, ჩემს ნამდვილ სახელს და გვარს არ გეტყვით. შეგიძლიათ უბრალოდ დვალი დამიძახოთ. ისე, ზოგი კლიშასაც მეძახის. მოკლედ, როგორც გინდათ. ერთი თვის წინ 22 წელი შემისრულდა. დაბადების დღეს ციხეში შევხვდი. უკვე შვიდი თვეა რაც აქ ვზივარ. როგორც ჩემზე ამბობენ, სასტიკი სერიული მკვლელი ვარ... თუმცა ამას არ ვეთანხმები... მე უსასტიკესი ვარ...

უცნობი

მეძინა. რაღაც ხმაურმა გამომაღვიძა. თვალები გავახილე და ირგვლივ მიმოვიხედე. უეცრად ჩემი ტანსაცმლის კარადა გაიღო და იქიდან ვიღაც უცნობი გამოვიდა. გრძელთმიანი, წვერგაუპარსავი კაცი, შავებში გამოწყობილიყო, ხელში იარაღი ეჭირა. რაღა დასამალია და ცოტა არ იყოს შემეშინდა. თუმცა არაფერი შევიმჩნიე. უცნობმა კარადის კარი ღიად დატოვა და ოთახს ყურადღებით მოავლო თვალი. როგორც ჩანს, საინტერესო ვერაფერი აღმოაჩინა, რადგანაც იარაღი ქამარზე მიმაგრებულ ბუდეში ჩაიდო და თითქოს გაეღიმა კიდეც. მერე მე გამომხედა, თავი დამიკრა, კარადაში შებრუნდა და კარი ფრთხილად მოიხურა. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიწექი გაკვირვებისაგან პირდაღებული და მერე, მგონი, ასევე ჩამეძინა. დილით ისღა მახსოვდა ბუნდოვნად, რომ ვიღაც იარაღიანი, წვეროსანი უცნობი მესიზმრა.

* * *

თუმცა ამ შემთხვევამ ჩემს ფსიქიკაზე ძალიან იმოქმედა. მაინც ბავშვი ვიყავი... არადა ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. მერე უარესები მომივიდა...

სახლის სახურავზე

სახლის სახურავზე იდგა, ოთხსართულიანი სახლის. ქვემოთ უამრავი ხალხი ირეოდა, მთელი უბანი გარეთ იყო. მას არავინ იცნობდა, არავინ იცოდა, ვინ იყო და როგორ აღმოჩნდა ამ სახლის სახურავზე. ჩუმად იდგა, ხელები გაეშალა და თვალები დაეხუჭა. მხოლოდ ერთი ნაბიჯი აშორებდა გადმოვარდნამდე. ხალ-

ხი თანდათან მრავლდებოდა, მაგრამ ვერავინ ბედავდა ზემოთ ასვლას. არც პოლიციის გამოძახებაზე ფიქრობდნენ. იდგნენ და თითქოს ელოდებოდნენ რა მოხდებოდა. მეც იქ ვიყავი. მეც ველოდებოდი. უეცრად თვალები გაახილა, დაიხარა, თასმები შეიხსნა და ფეხსაცმელები გაიხადა. იქვე მიაწყო. მერე გასწორდა, ერთი ცისკენ აიხედა და ქვემოთ გადმოეშვა.

მისი ფეხსაცმელები, მგონი, ახლაც სახურავზე აწყვია.

უცნაური ამბავი

კუნაპეტი ღამე იდგა. ძმაკაცის დაბადების დღიდან მოვდიოდი. ტაქსი ვერ გავაჩერე და ფეხით გავუყევი გზას შინისაკენ. ქუჩაში არავინ იყო. სასტიკად ბნელოდა, მხოლოდ მთვარე თუ გამოანათებდა ხოლმე შიგადაშიგ ღრუბლებიდან. ცოტათი ციოდა კიდევაც. უეცრად ზემოდან რაღაც ჩამოვარდა და პირდაპირ ჩემ წინ დაეცა. ავიხედე, ხუთსართულიანი სახლის მხოლოდ ერთ ბინაში ბუუტავდა მკრთალი სინათლე. მეორე სართულზე. ჯიბიდან სანთებელა ამოვიღე, ავანთე, დავიხარე და ახლადჩამოვარდნილ საგანს დავხედე. შიშისგან სუნთქვა შემეკრა... ეს მოჭრილი ხელი იყო. სისხლი წვეთავდა... ქვაფენილი წითლად შეღებილიყო.

როგორც ჩანს, მთვარესაც აინტერესებდა რა ხდებოდა და ღრუბლებს ამოფარებული ჩუმად იჭყიტებოდა. სანამ ამ ხელს ვაკვირდებოდი, მეორე სართულიდან კიდევ რაღაც გადმოაგდეს.

ეს მოჭრილი ფეხი გახლდათ. ამჯერად უკვე შუქი ეცემოდა და კარგად დავაკვირდი. ორი თითი აკლდა. ძალიან ავნერვიულდი და ავკანკალდი. ფეხები არ მემორჩილებოდნენ, რომ იქაურობას გავცლოდი. ამ დროს სადარბაზოდან ვიღაც კაცი გამოვიდა, მგონი შავები ეცვა. ვერც სახე გავარჩიე კარგად. ხელში მოზრდილი პარკი ეჭირა. პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა. გაუნძრევლად ვიდექი ერთ ადგილზე და ვერაფერს ვაკეთებდი.

რომ მომიახლოვდა, დაიხარა, ჯერ მოჭრილი ფეხი აიღო, მერე ხელი და პარკში ჩაყარა. შემდეგ გამომხედა, ტუჩებთან საჩვენებელი თითი მიიტანა, რაც, ალბათ, იმას ნიშნავდა, ჩუმად იყავიო და ღამის სიბნელეში ჩაიკარგა. ერთ ხანს მისი ნაბიჯების ხმა მესმოდა და მერე ისიც მიწყდა. რამდენიმე წუთი ასე ვიდექი. თანდათან დაწყნარდი და სახლისაკენ განვაგრძე გზა. ჩემდა გასაკვირად, იმ ღამით ძალიან ტკბილად მეძინა და ფერად სიზმრებში ადამიანებს ვხედავდი, რომლებსაც სხეულის სხვადასხვა ნაწილები აკლდათ.

კარები

სახლში მარტო ვიყავი. ღამის სამი საათი იყო. მშობლები სოფელში იყვნენ წასული. ნათესავი გარდაეცვალათ. ტელევიზორში საშინელებათა ფილმს აჩვენებდნენ ვამპირებზე. რაღაცაზე ჩხუბი მოსვლოდათ და ერთმანეთს სისხლს წოვდნენ.

ძალიან საინტერესო ფილმი იყო, მაგრამ ბოლომდე ვერ ვუყურე. გადამწყვეტ მომენტში შუქი წავიდა. ფანარი მოვიძიე და სამზარეულოსაკენ წავედი, ვფიქრობდი, მაცივარში რამე ტკბილეულს მივაგნებ და შევჭამ-მეთქი. შემოსასვლელი გადავკვეთე და უეცრად რაღაც ფხაკუნი შემომესმა. გავჩერდი და სმენა დავძაბე... თითქოს ვიღაც კარების კლიტეს აწვალებდა გარედან. კი შემეშინდა, მაგრამ გამბედაობა მოვიკრიბე. სასტუმრო ოთახში შევედი, საწერი მაგიდის უჯრიდან მამაჩემის იარაღი ამოვიღე და უკან გამოვბრუნდი. ფხაკუნი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. კარებს მივუახლოვდი და იარაღი გადავტენე. გასაღები გადავატრიალე. ფანარი პირში მქონდა გაჩრილი, მომართული იარაღი კი მარჯვენა ხელში მეჭირა.

კარი სწრაფად გამოვაღე და გარეთ გავიხედე. ბნელი სადარბაზო ჩემი ფანრის შუქმა გაანათა. ირგვლივ არავინ იყო. მხოლოდ პატარა, საყვარელი კნუტი შევნიშნე. როგორც ჩანს, დედა დაეკარგა და თავშესაფარს ეძებდა. მე კი გამიხეთქა გული და... არა, ამას ვერ ვაპატიებდი. სახლში შემოვიყვანე. მაშინ მეშვიდე სართულზე ვცხოვრობდი. ამასობაში შუქიც მოვიდა. იქვე შემოსასვლელში ბოთლს წავაწყდი. შიგ სწორედ ის ესხა, რაც მჭირდებოდა.. კნუტს ნათი გადავასხი, ცეცხლი წავუკიდე და ფანჯრიდან გადავაგდე.

მასწავლებელი

მეათე კლასში ვიყავი. მიყვარდა სკოლაში სიარული.

ძირითადათ იმიტომ, რომ მეგობრებს ვხვდებოდი და მერე შატალოზე მივდიოდით ერთად. სწავლას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ ვცდილობდი თავი არ შემერცხვინა.

ყველაზე მეტად ტექნიკურ საგნებს ვერ ვიტანდი. ერთხელ ფიზიკაში საკონტროლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვქონდა, მთელმა კლასმა გადაიწერა.

შემდეგ გაკვეთილზე ნიშნები გამოგვიცხადეს. მოხუცი მასწავლებელი გვყავდა, ლიანა ერქვა, თუ არ ვცდები. ცაცია იყო. ყველამ ოთხები და ხუთები მიიღო, მე კიდე - ორი. გადაწერის დროს შეცდომები დამეშვა და თანაც შპარგალკა ჩამრჩენოდა რვეულში. ძალიან მეწყინა ორიანი. ვთხოვე, არ ჩაეწერა ჟურნალში, მაგრამ უარი მითხრა და ჩამიწერა. სიბრაზისაგან გავწითლდი, თავი ვეღარ შევიკავე, ჯიბიდან ფიქსატორიანი დანა ამოვიღე და მასწავლებელს მარცხენა ხელში ჩავარტყი მთელი ძალით. სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა და სადაც ჩემი ნიშანი ეწერა, ის ადგილი ჟურნალში წითლად შეღება.

* * *

რა თქმა უნდა სკოლიდან გამრიცხეს. ძლივს გადავურჩი "მალალეტკებში" ჩავჯდომას, მამაჩემმა ძალიან ბევრი ფული გადაიხადა.

ზღვაზე

ქობულეთში ვისვენებდი. პირველად ვიყავი მშობლების გარეშე.

მე და ჩემ ორ ძმაკაცს გვერდიგვერდ ოთახები გვქონდა აღებული. ჩემი შეყვარებული ნუცაც ამ სასტუმროში ცხოვრობდა. ოღონდ, სამწუხაროდ, მარტო არ იყო, დედა და პატარა ძმა ახლდნენ. მაინც ყოველდღე ვხვდებოდით პლაჟზე, მერე კაფეებში ვპატიჟებდი, საღამოობით კი - დისკოთეკებზე.

მოკლედ, სულ ერთად ვიყავით რა.

ერთ მშვენიერ მზიან დღეს კენჭებზე ვიწექი და ვირუჯებოდი. შიგადაშიგ შეყვარებულს ვუცქერდი, რომელიც იქვე, ნაპირთან ახლოს ცურაობდა.

უცებ შევნიშნე, რამდენიმე ბიჭი მიუახლოვდა. ერთ-ერთი მათგანი განსაკუთრებულად

ცუდად უყურებდა. წყალიც კი შეაწუწა. ნუცამ თავი აარიდა და გაცურა. მერე საერთოდ ამოვიდა წყლიდან, ჩემს გვერდით გაშალა პირსახოცი და დაწვა.

ეხლავე მოვალ-მეთქი ვუთხარი და იმ ბიჭისკენ წავედი. არ მინდოდა ჩხუბის წამოწყება და გარჩევები. თან ძმაკაცებთან ერთად იყო, მე კიდე არავინ მახლდა. ამიტომ მივედი და პირდაპირ ვეუბნები:

- ძმაო, შევეჯიბროთ.

- რაა? - უხეშად მიპასუხა.

არ შევიმჩნიე და გავაგრძელე.

- გავცუროთ რა, მაზიანზე.

- ბაზარი არაა, - გაეღიმა, - ისე, რო იცოდე, საქართველოს სამგზის ჩემპიონი ვარ ცურვაში.

- მე ნოლგზის, - მივუგე ირონიულად, - ას დოლარზე.

- მოსულა, ჩაბარება როდის?

- დღეს საღამოს, - ხელი ჩავურტყი და გავცურეთ.

რა თქმა უნდა, გამასწრო. შორს გავედით. ნაპირი თითქმის აღარ ჩანდა. იმ ბიჭს ვანიშნე, მოიგე-მეთქი. გაჩერდა, მე კი ღრმად ჩავყვინთე. დიდ ხანს შემეძლო სუნთქვის შეკავება. მის ზურგს უკან ამოვყვინთე. ხელები ყელში წავავლე და იქამდე მეჭირა ასე, სანამ არ დაიღრჩო. ხელი გავუშვი და ერთი ათი-თხუთმეტი წუთი ზურგზე ვიწექი. ის ნელ-ნელა იძირებოდა. საქართველოს სამგზის ჩემპიონი. ალბათ, უკვე ფსკერზე იქნებოდა, როცა უკან გამოვბრუნდი და განგაში ავტეხე. არ ვიცი, რა დაემართა, ჩაყვინთა და აღარ ამოუყვინთავს-მეთქი. მე წინ ვიყავი, ის უკან იყო და კარგად ვერ ვხედავდი-მეთქი. მაგის ძმაკაცები ძალიან დაბნეულები ჩანდნენ, თუმცა ჩემთვის არაფერი უკითხავთ და არც მე დავიწყე ახსნა-განმარტებები. უსიტყვოდ გავუწოდე ერთ-ერთ მათგანს ას დოლარიანი და ჩემი სასტუმროსკენ გავწიე წყნარად.

ქობულეთში თვის ბოლომდე დავრჩი. მშვენიერი ზაფხული იყო.

* * *

ეხლა ტყეში ვარ. უკვე ორი დღეა, რაც ციხიდან გამოვიქეცი. ალბათ, მალე მომაგნებენ, მაგრამ არ გვინდა ამაზე ლაპარაკი. ჩემი ჩანაწერების ბლოკნოტი თან გამოვიყოლე, რაღაც ძველი ფანქარიც მაქვს და მგონი ჯობია წერა განვაგრძო..

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბედური შემთხვევა

ზაფხული იყო. ცხელი ზაფხული. წყნეთში ვიყავით, ძმაკაცის აგარაკზე. ორსართულიანი სახლი ჰქონდა დიდი მანსარდითა და გრილი ვერანდით. თუმცა იმ დღეს ისე ცხელოდა, ვერანდაზე გაჩერებაც შეუძლებელი გახდა. მეორე სართულზე ჯოკერს ვთამაშობდით და მუსიკას ვუსმენდით. მგონი, ემინემს. თამაში მალე მომბეზრდა და ადგილი ერთ-ერთ გოგონას დავუთმე, რომელიც ოთხეულში ვერ მოხვედრილიყო. ფანჯრის რაფაზე ჩამოვჯექი. ხელში დანას ვათამაშებდი. მართლაც ძალიან ცხელოდა. უეცრად დანა შემთხვევით ხელიდან გამივარდა.

სწრაფად დაეშვა ქვემოთ. ამ დროს სახლს მოხუცი მემაწვნე ქალი მოსდგომოდა. ის იყო, აპირებდა დაეყვირა, "მაწონი, მაწონიო", რომ ჩემი დანა ყელში მოხვდა. ძალიან დამწყდა გული... მაწვნის ქილებით სავსე ჩანთა ხელიდან გაუვარდა და სულ დაემსხვრა. არადა, როგორც მერე გავიგე, მთელ წყნეთში ეს ყველაზე კარგი მაწონი ყოფილა.

* * *

ზუსტად ვერ ვიხსენებ, მაგრამ მამაჩემმა, მგონი, მაშინაც ბევრი ფული დახარჯა. რავი, მემაწვნის შვილებს დიდი პრეტენზიები აღარ გაჩენიათ.

სასტიკი მკვლელობა

მოკალი. ბოლო დროს ძალიან მიშლიდა ნერვებს. იმ ღამით მაინც განსაკუთრებულად გამაგიჟა და მოვკალი. გულში გავუყარე დანა. მერე კი გაცოფებულმა ხელები, ფეხები, ფეხის რამდენიმე თითი და თავი მოვაჭერი. სულ სისხლში ვიყავი ამოსვრილი. სააბაზანოში გავედი და ცოტა მოვწესრიგდი. სარკეში ჩავიხედე და ჩემი თავის შემეშინდა, ისე საშინლად გამოვიყურებოდი. ოთახში დავბრუნდი. მხოლოდ ერთი პატარა ნათურა ბუუტავდა. სხეულის მოჭრილი ნაწილები ხალიჩაზე ეყარა. ფანჯარა ღია იყო და გარედან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. ბნელოდა. მთვარე ღრუბლებს ამოფარებოდა. უეცრად ჩემ თავზე გავბრაზდი. კარგი, მოვკალი - მოვკალი, ნაწილებად რაღას ვჭრიდი-მეთქი. ახლა ამის შეგროვება და გადაყრა არ გინდოდა?!

გაბრაზებული ერთ-ერთ მოჭრილ ხელს დავწვდი და ფანჯრიდან მოვისროლე. რამდენიმე წამში ერთი ფეხიც მივაყოლე. ამან ცოტათი დამაწყნარა. რაღაც დიდი, ტომარასავით პარკი ვიპოვე, ყველაფერი შიგნით ჩავყარე, ჩემი შავი ქურთუკი მოვისხი და ქვემოთ ჩავედი. სადარბაზოს მახლობლად ვიღაც ყმაწვილი შევნიშნე. გაუნძრევლად იდგა ერთ ადგილზე და მომჩერებოდა. მივუახლოვდი, დავიხარე, ჩემი გადმოყრილი ხელი და ფეხი ავიღე და პარკში ჩავყარე. თან ამ ყმაწვილს ავხედე, საჩვენებელი თითი ტუჩებთან მივიტანე, ვანიშნე ჩუმად იყავი-მეთქი და იქაურობას გავეცალე.

* * *

ერთი პირობა კი ვიფიქრე, ის ბიჭიც მომეკლა, მაგრამ მერე გადავწყვიტე, რომ არ ღირდა. იქნებ კიდევ ერთი დიდი მკვლელი ეზრდებოდა ჩვენ ქვეყანას მისი სახით.

ამ ამბიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მოხდა ის შემთხვევა, ჩემს ყოფილ გოგოსთან და იმის ახალ ბიჭთან დაკავშირებული.

მერსედესი

ამ გოგოს ბავშვობიდან ვერ ვიტანდი. საზიზღარი ტიპი იყო. ცამეტი წლიდან უკვე რაღაცნაირად ქალურობდა და ეზოშიც აღარ ჩამოდიოდა ისე ხშირად. ჩვიდმეტი წლისა გათხოვდა კიდეც. ორსულად იყო. ისე მოხდა, რომ ქუჩაში შემხვდა. გადავკოცნე და მოვიკითხე. გადასასვლელზე ერთად გვიწევდა გადასვლა. უეცრად შევნიშნე, რომ ვერცხლისფერი მერსედესი მოქროდა ძალიან სწრაფად. იმ წამსვე დამებადა ჩემებური, საინტერესო იდეა. გოგოს უკნიდან, ვითომდა შემთხვევით ხელი ვკარი და ისიც პირდაპირ მანქანის ბორბლებქვეშ აღმოჩნდა.

დაიღუპა. ჩემზე ეჭვი არავის აუღია, ყველამ ჩათვალა, რომ უბედური შემთხვევა მოხდა. მე კი არც ერთი პანაშვიდი არ გამიცდენია.

სუბოტექსი

იჩხირავდნენ. სუბოტექსს. ჩემი უბნელი, ჩემ თვალწინ გაზრდილი ოთხი, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ბიჭი. მთელ დღეებს იმაზე ფიქრში ატარებდნენ, ფული სად ეშოვათ, ბოლოს ძლივსძლიობით შოულობდნენ, ყიდულობდნენ ერთ აბს და ერთად იჩხირავდნენ. ვერ ვუძლებდი იმათი გამოშტერებული, გამოთაყვანებული სახეების ყურებას. ძალიან მწყდებოდა მათზე გული, მაგრამ ვიცოდი, რომ აღარაფერი ეშველებოდათ.

ერთხელ ჩემს სადარბაზოში წავასწარი. ოთხივე ერთად იყო. რაღა თქმა უნდა, გაჩხერვას აპირებდნენ. ამოვიღე იარაღი და ოთ-

ხივეს სამ-სამი ტყვია ვესროლე გულში.

სუბოტექსის დედა...

* * *

ეჰ, მგონი მომაგნეს. ძაღლების ყეფა და რაღაც საეჭვო ხმები მესმის. ალბათ, მომკლავენ. მე არავითარ შემთხვევაში არ ჩავბარდები და ალბათ მესვრიან. შეიძლება, მეც მოვახერხო ერთი-ორის დაჭრა მაინც. კარგი გრძელი დანა მაქვს. არ ვიცი, რა მოხდება... იქამდე კი ჯერ ჩუმად ვზივარ და ამ ჩანაწერს ვაკეთებ. თუ ჩემი მოგონებები ამით მთავრდება, ესე იგი, მომკლეს, ხოლო თუ არა... გაგრძელება იქნება...

ახალგაზრდა სერიული მკვლელის მოგონებები 2

77.

ბავშვობის ძმაკაცთან ვიყავი. ნიკუშასთან. სანამ მე სხვაგან გადავიდოდი, ერთ სადარბაზოში ვცხოვრობდით. ოთხ სართულიან სახლში. იმ დღეს მასთან ვაპირებდი დარჩენას. ლუდს ვსვამ~ით და ფეხბურთს ვუყურებდით. მანჩესტერი თამაშობდა, ჩემი საყვარელი გუნდი. შესვენების დროს ნიკუშამ არხების გადათვალიერება დაიწყო. სადღაც საინფორმაციო გამოშვებას წააწყდა და გააჩერა.

პირდაპირი ჩართვა იყო ქალაქის ერთ-ერთი პრესტიჟული რესტორნიდან. მაგიდებს შორის პოლიციელები დარბოდნენ, ექიმებს საკაცეებით გაჰყავდათ დაშავებულები, ჟურნალისტი გოგონა კი სხაპასხუპით ლაპარაკობდა:

- მოკლულია თოთხმეტი და დაჭრილია შვიდი ადამიანი.

ამათგან ორი დაღუპული ქალია. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ეს ყველაფერი ახალგაზრდა, გამხდარმა, შავგვრემანმა ბიჭმა ჩაიდინა, რომელიც რესტორანში უეცრად შევარდა გინებით და ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლა ატეხა. ისროლა რამდენიმე დანაც. უკვე მიმდინარეობს მუშაობა მის ფოტოროობოტზე. ეჭვმიტანილის ადგილზე დაკავება ვერ მოხერხდა. მან მოასწრო შემთხვევის ადგილიდან მიმალვა. იმედი ვიქონიოთ, რომ...

ტელევიზორს ლუდის ბოთლი ვესროლე. აფეთქდა. ნიკუშამ თავი ჩაღუნა და უკომენტაროდ გავიდა ოთახიდან. თვალები დავხუჭე და ჩავფიქრდი. ალბათ ერთი საათი მაინც ვიყავი ასე.

ყველა მკვლელობა გავიხსენე, რაც კი ჩამედინა. სულ 76 გამოვიდა. ერთიღა რჩებოდა 77-მდე. ბავშვობიდან მიყვარდა ციფრი შვიდიანი. ვხვდებოდი, რომ მალე დამიჭერდნენ... გადავწყვიტე 77-ე მკვლელობაც განმეხორციელებინა. თუმცა ვინ უნდა მომეკლა? გარეთ ვერც გავიდოდი, ძაღლები ყველა ქუჩის კუთხეში იყვნენ ჩასაფრებულნი. უეცრად მაგარი აზრი მომივიდა.

ნიკუშასთვის არაფერი მითქვამს, ისე გამოვედი სახლიდან და არც ისე გრძელი კიბით (სახლი ოთხ სართულიანი იყო), სახურავზე ავედი...

ქვა

ბავშვობაში ერთი გოგო მომწონდა უბანში, თიკო. ის კიდე სხვისი შეყვარებული იყო, ლევანის. ჩემი მეზობლის. ბევრი ვიფიქრე, რა მექნა და ბოლოს ლევანის შეშინება გადავწყვიტე.

ერთ დილას ადრე გავიღვიძე და ეზოში გავედი. მოზრდილი ქვა ვიპოვე და ზედ წინასწარ გამზადებული ფურცელი შემოვახვიე, რომელზეც ეწერა: თიკოს თავი დაანებე, თორე დაგერხევა!!!

მერე მისი საძინებლის ფანჯარასთან მივედი და ქვა ვესროლე.

ფანჯარა ხმაურით ჩატყდა, მე კი ჩუმად მოვტყდი იქიდან.

ჩემს სადარბაზოში დავიმალე. რამდენიმე წუთში სირენების ხმა მომესმა. კინაღამ გული გამისკდა. პოლიცია მეგონა, მაგრამ სასწრაფო აღმოჩნდა. თეთრ ხალათიანები ლევანის სადარბაზოში შეცვივდნენ. ვერც ვიფიქრებდი, ეს ყველაფერი ჩემს გამო თუ ხდებოდა, თუმცა რამდენიმე წუთში საკაცით ლევანი გამოიტანეს. თავი შუაზე ქონდა გადახსნილი. ბევრს ეცადნენ, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ეს ამბავი ასე თუ დამთავრდებოდა, ვერც კი წარმომედგინა, მეგონა ქვა უბრალოდ იატაკზე დავარდებოდა. ეგ წაიკითხავდა და თიკოს თავს დაანებებდა. თუმცა პირდაპირ თავში მოხვდა. ძალით ნამდვილად არ მინდოდა.

თვენახევრის შემდეგ თიკო ჩემი შეყვარებული გახდა. ლევანი არცერთს აღარ გვახსოვდა.

ფეხბურთი

ფეხბურთს ვთამაშობდით. მაზიანზე. უბანი უბანზე. ექვსამდე. ოთხი-ოთხზე, მეკარეების ჩათვლით. იმათ უბანში ვიყავით. პატარა მოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანი ჰქონდათ. ჯერ მარტი იყო, თანაც საკმაოდ სუსხიანი, მაგრამ მაინც შორტები და მოკლესახელოებიანი მაისური მეცვა. სუფთა საფეხბურთო განწყობაზე ვიყავი და წაგებას, ალბათ, ვერ შევეგუებოდი. არადა, აშკარად ჩვენზე ძლიერები იყვნენ. თხუთმეტ წუთში უკვე ოთხი გოლი გაგვიტანეს, ჩვენ კი საპასუხოდ მხოლოდ ერთი. ვცდილობდი შეტევა წამომეწყო, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. ჩემი მოთმინების ფიალა ნელ-ნელა ივსებოდა. მეხუთე რო შეგვიგდეს, თავი ვეღარ მოვთოკე. გეტრები ჩავიწიე, შიტოკებში შენახული დანა ამოვიღე და გავშალე. ირგვლივ უამრავ გაკვირვებულ სახეს მოვკარი თვალი, მაგრამ იმ წუთში არაფერი არ მაინტერესებდა. ჯერ იმას დავარტყი, ვინც ბოლო ბურთი გაგვიტანა, მერე მეკარეს მივვარდი და მუხლში გავუყარე.

დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. მე კი გაშმაგებულმა, გაშლილი დანით ხელში, ხუთი გოლი შევაგდე ცარიელ კარში, რომლის მარჯვენა ძელთანაც დაჭრილი მეკარე ეგდო. ბოლოს ბურთიც გავხეთქე და შინ გამარჯვებულები დავბრუნდით.

მასწავლებელი

მეათე კლასში ვიყავი. მიყვარდა სკოლაში სიარული. ძირითადად იმიტომ, რომ მეგობრებს ვხვდებოდი და მერე შატალოზე მივდიოდით ერთად. სწავლას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ ვცდილობდი თავი არ შემერცხვინა.

ყველაზე მეტად ტექნიკურ საგნებს ვერ ვიტანდი. ერთხელ ფიზიკაში საკონტროლო გვქონდა...

* * *

უი, უკაცრავად, ეს შემთხვევა მგონი უკვე მოყოლილი მაქვს.

ბავშვებს ვიტაცებ

ძაღლი იყო. გავიცანი თუ არა, მაშინვე შევატყვე. მაგათ ერთი შეხედვით ვცნობ ხოლმე რა. ეს ძაან მონდომებით ცდილობდა დაემალა, რას წარმოადგენდა სინამდვილეში, მაგრამ ჩემი მოტყუება მაინც ძნელია. ასაკით ტოლები ვიყავით. მაგრად ჩაგვიძმაკაცდა. ვხვდებოდით, რომ ჩემზე მუშაობდა და იასნია, არაფერი შეგვშლია. პირიქით...

ერთი მიტოვებული საწყობი მეგულებოდა. სწორედ იქ შევკრიბე მთელი საძმაკაცო. ოპერაცია უნდა დაგვეგეგმა.

უკვე ყველაფერი მოფიქრებული მქონდა. გრძელი სიტყვით გამოვედი. ვილაპარაკე, რომ გადაწყვეტილი მაქვს ძალიან დიდი ფულის შოვნა, რომელსაც, რა თქმა უნდა, თანაბრად გავიყოფთ და რომ ამ ფულს ვიშოვით ბავშვების მოტაცების გზით.

შვიდ ბავშვს ვიტაცებთ-მეთქი, 14-15 წლის გოგონებს. ამ საწყობში დავმალავთ და გამოსასყიდს მოვითხოვთ-მეთქი. ყველას რაღაც როლი ერგო ამ საქმეში, მაგასაც. ფული მივეცი და დავაბარე, დაახლოებით იმ დროისთვის, როცა უკვე საწყობში გვეყოლებოდა ყველა ბავშვი, უნდა მოეტანა ბევრი საკვები, ერთიორი კვირის სამყოფი ათი კაცისთვის. მაინც-დამაინც კმაყოფილი არ დარჩა დავალებით, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა...

ოპერაციის დღეს ყველაფერი კარგად ჩატარდა. სამი მანქანით ვმოძრაობდით. ქალაქის სხვადასხვა წერტილებიდან მოვიტაცეთ შვიდი გოგონა. მანაც ხუთიანზე შეასრულა თავისი დავალება. ზუსტად დანიშნულ დროს მიადგა საწყობს, ოლონდ პოლიციის ოცდახუთი მანქანის თანხლებით. მოპირდაპირე შენობების სახურავებზე სნაიპერებიც კი ისხდნენ. სასწრაფოდ შეამტვრიეს საწყობის კარი და წარმოიდგინეთ მათი გაკვირვება, როცა შიგნით არავინ დახვდათ...

მე ამ დროს კინოში ვიჯექი. შვიდ ბავშვთან ერთად, რომლებიც ვითომდა მოვიტაცეთ. ჩემი ძმაკაცის დეიდაშვილის კლასელები იყვნენ. დახმარება ვთხოვეთ და დაგვთანხმდნენ. წინასწარ გვყავდნენ გაფრთხილებული, თუ სად და როდის უნდა მდგარიყვნენ. ჩვენ ჩავივლიდით და მანქანაში ჩავისვამდით...

მშვენიერი დრო გავატარე კინოში. ფილ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

მიც კარგი იყო.

ის, რა თქმა უნდა, იმ დღესვე გააგდეს სამსახურიდან. ჩვენთანაც აღარ გამოჩენილა. გვეშალებოდა. იცოდა, რომ ვერ გადამირჩებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ ქუჩაში ვნახე. უბნის სასტავს ჰყავდა გამოჭერილი. ფეხქვეშ გაეფინათ და მაგრად ცემდნენ. ალბათ, სასიკვდილოდ. საერთოდ, ყველა ბოზი ძაღლის ბოლო ასეთია, მითუმეტეს, თუ თავიდანვე ბოზობით იწყებს...

ერთი, ორი, სამი...

მე და ნიკუშა ვიყავით. სკამზე გვყავდა მიბმული. პირში ჩემი იარაღი ედო.

- ან იტყვი, ან სამამდე ვითვლი, - დავიღრიალე მე.

უარის ნიშნად თავი გააქნია.

- ერთი, ორი, სამი...

ჩახმახს გამოვკარი...

* * *

ახლა შუაღამეა. რატომღაც გამომეღვიძა. თავში ეს ამბავი მიტრიალებდა. რის გამო მოხდა ან როგორ დამთავრდა, არ მახსოვს, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ მოხდა.

77..

თერთმეტი წელი ვიცხოვრე ამ სახლში, თუმცა სახურავზე არასდროს ვყოფილვარ. პირველი, რაც თვალში მომხვდა, ძველი, გახუნებული ფეხსაცმელები იყო. მაშინვე გამახსენდა, ვისაც დაეტოვებინა... თავის დროზე მასაც ისეთივე გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული, როგორიც იმ დღეს მე. მას გამოუვიდა. დარწმუნებული ვიყავი, მეც გამომივიდოდა. მე თვითონ ვიქნებოდი ჩემი უკანასკნელი მსხვერპლი და 77 მკვლელობით დავტოვებდი ამ ქვეყანას...

პიროგა

- ძალიან გთხოვ რა, აი, პროსტა ძალიან, არავინ აღარ მოკლა რა. იმაზე ფიქრი აღარ შემიძლია, რომ შენ ვიღაცეებს კლავ. - ცრემლები მოიწმინდა, - ამის გამო მაინც ვერ დაგშორდები, იმიტომ, რომ ძაან მიყვარხარ, მაგრამ ეს ერთი რაღაც შემისრულე რა.

მაშინ ერთად ვცხოვრობდით. მართლა გვიყვარდა ერთმანეთი.

- კარგი, - ჯერ ბოლომდე არ მქონდა შეტოპილი, ვფიქრობდი, რომ შემეძლო შეჩერება. - შენი გულისთვის მე ყველაფრს გავაკეთებ.

ჩამეხუტა.

- მართლა?

- პირობას გაძლევ, არასდროს არავის აღარ მოვკლავ.

- მიყვარხარ, - უფრო მაგრად ჩამეხუტა და მაკოცა. - და კიდე იცი რაა, ეს ნივთი მოაშორე რა აქედან.

იმ დილით რაღაც ნაჯახი ვიპოვე სახლში. მაგაზე მეუბნებოდა. მაგიდაზე დამეტოვებინა შემთხვევით.

- ეეს? ამას საერთოდ გადავაგდებ! - წამოვიყვირე, ნაჯახს დავავლე ხელი და პირდაპირ ფანჯრიდან გადავუშვი.

გამაყრუებელი კივილის ხმა... ბედი არ მაქვს რა... ხო შეიძლებოდა ქვემოთ არავინ ყოფილიყო?! ვიღაც კაცი... ზურგში დაეცა. რაღა მაინცდამაინც ჩემი ფანჯრის ქვეშ დაიხარა ზონრის შესაკრავად და რაღა მაინცდამაინც იმ დროს?! არა, ნამდვილად არა მაქვს რა ბედი...

ჩანგალი

დილაადრიან ბიჭებმა გამაღვიძეს. მეძახდნენ, ჩხუბი გვაქვს და ჩამოდიო. უცბად ჩავიცვი, ხელ-პირი დავიბანე და ქვემოთ ჩავირბინე. სისწრაფეში დანას ვერ მივაგენი და ჩანგალი გავიყოლე თან. საქმე გავარჩიეთ და ჩხუბამდე აღარ მივიდა. მე ბიჭებს გამოვემშვიდობე და ჩემი შეყვარებულის სანახავად წავედი. მთელი დღე ეცალა და გადაწყვეტილი გვქონდა, საღამომდე ერთად ვყოფილიყავით. ბევრი ვიბოდიალეთ, რესტორანში ვისადილეთ და ბოლოს, როცა უკვე მზე ჩავიდა და მთვარემაც ამოყო თავი, მისი სახლისკენ გავუყევით გზას



ნელ-ნელა, ფეხით. ის იყო უკვე მის ქუჩაზე შევუხვიეთ, რომ გვერდით ვიღაც ბიჭმა ჩაგვიარა. მოულოდნელად ჩემს შეყვარებულს ჩანთა გამოსტაცა ხელიდან და გაიქცა. ძალიან სწრაფად გარბოდა. მივხვდი, რომ ვერ დავეწეოდი. ჯიბეები მოვიჩხრიკე. იარაღი არ მქონდა წამოღებული, არც დანა. ერთადერთი, რაც ხელში მომხვდა, ჩანგალი იყო. დილის მერე ჯიბეში მედო. ამოვიღე და იმ ბიჭს ვესროლე. ბედად უეცრად უკან გამოიხედა და ჩანგალი პირდაპირ მარჯვენა თვალში მოხვდა. მგონი ქალაქის ყველა უბანში გაიგეს მისი ღრიალი...

უგონოდ დაეცა ძირს. მე სასწრაფოდ მივუახლოვდი, ჩანთა ავიღე, შეყვარებულს ხელი გადავხვიე და გზა განვაგრძეთ.

მერე, მახსოვს, ბებიაჩემი მთელ სახლში დაეძებდა, ახალ დანა-ჩანგლის კომპლექტს ერთი ჩანგალი აკლიაო.

მეოთხე ოთახი

"ოთხი ოთახი" ნანახი გაქვთ? მაგარი ფილმია ძაან. რაც იქ ხდება მეოთხე ოთახში, ტარანტინოს გადაღებული რომელიცაა, ფაქტობრივად ჩვენც იგივე მოგვივიდა.

ბაკურიანში ვიყავით ძმაკაცები. სასტუმროში. ჩვენი ოთახის ნომერი ოთხიანი გახლდათ, თუ არ ვცდები. საოცარი დამთხვევაა. ჰოდა, იმ დღეს მაგრად დავთვერით და ერეკლემ თქვა, მოდი რამე საკაიფო ვქნათო. მერე სანთებელა ამოიღო და ვინც ამას ათჯერ ზედიზედ აანთებს, ჩემ პორშეს ვჩუქნიო გამოაცხადა. მაშინვე "ოთხი ოთახი" მომაგონდა. უეჭველი ამასაც იქიდან ახსოვდა.

ოღონდ თუ ვერ აანთებს, მაშინ ნეკა თითი მოეჭრებაო.

მე, გიომ და ნიკუშამ ჯერ ერთმანეთს გადავხედეთ, მერე ერეკლეს.

მინდოდა პორშე და ჩემი ნეკა თითი დავიკიდე. სანთებელა გამოვართვი. ერეკლემ გრძელი დანა ამოიღო და ჩემ თითს დაადო. ავნერვიულდი, მაგრამ ბოლომდე დავიკიდე და დავიწყე.

ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა და... ათი. ბოლომდე გამიმართლა.

ის სანთებელა ახლაც შენახული მაქვს, პორშე კი მალევე დავლეწე.

მარშუტკა

ციხეში ჯდომა მირჩევნია რა, მარშუტკაში ჯდომას. რაღაც საზიზღარი სუნი მაინც არ დგას. მიუხედავად ამისა, ხანდახან მაინც მიწევდა მარშუტკით მგზავრობა. იმ დღესაც სადღაც მივდიოდი. საერთოდ, როგორც წესი, ფულს არ ვიხდიდი ხოლმე. არც იმ დღეს გადავიხადე და პირდაპირ ჩავედი.

უეცრად გავიგონე, რომ მძღოლმა შეიგინა. ვერ მოვითმინე. ჯიბიდან ორმოცდაათთეთრიანი ამოვიღე, ქამრიდან კი იარაღი.

ხურდა ფული ავაგდე, იარაღი ზუსტად დავუმიზნე და გავისროლე. შუბლში მოხვდა. თავი საჭეზე ჩამოუვარდა. მელოტ კეფაზე ყვითელი მონეტა მოჩანდა.

* * *

არ ჯობდა ჩუმად ყოფილიყო? ვინმემ არ თქვას, რომ მე ვარ დამნაშავე ამ ამბავში. მარშუტკის მძღოლებო! ფრთხილად იყავით. უფრთხილდით ჩემნაირებს.

სისხლიანი საღამო

უკვე ძალიან ღრმად შევტოპე. საკუთარ თავს ველარ ვაკონტროლებდი. იმ საღამოს ნიკუშასთან ვაპირებდი ასვლას ფეხბურთის საყურებლად. მანჩესტერი თამაშობდა. იქამდე კი ქუჩებში დავბოდიალობდი უაზროდ. მომშივდა. იქვე ერთი დიდი რესტორანი შევნიშნე და შესვლა გადავწყვიტე. შესასვლელში დაცვამ გამაჩერა. უნდა გაგჩხრიკოთო. არადა სამი სასროლი და ორი დანა მედო. უარი ვუთხარი. მაშინ აქ ვერ შემოხვალო. ძაან ნერვებზე ვიყავი და მოთმინების ძაფი წყდებოდა. მეთქი, გეუბნები არაფერი მაქვს და სიტყვაზე არ მენდობი-თქო და არაო, იმ ნაბიჭვარმა. ჰოდა, მაშინ, შენი დედაც მოვტყან-მეთქი. ამოვიღე და ვესროლე. მაგასაც, დაცვის სხვა წევრებსაც და ხალხსაც. თან ვიგინებოდი და თან ვისროდი. უმისამართოდ. ტყვიები რომ გათავდა სასროლებში, დანები ამოვიღე. ერთი ვიღაცას გავუყარე, ერთი ვისროლე და მერე მოვხიე. თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი. ცხოვრებაში არასდროს ჩამიდენია ასეთი უაზრობა. რამდენი უდანაშაულო ადამიანი მოვკალი. ასე სირბილით მივედი ნიკუშას სახლამდე. იქ ცოტა დავწყნარდი და ფეხბურთსაც ვუყურე...

77...

ქვემოთ უამრავი ხალხი ირეოდა. მთელი უბანი გარეთ იყო. ბევრი, ალბათ, ვერავინ მცნობდა. უკვე დიდი ხანი იყო გასული მას შემდეგ, რაც იქიდან გადავედი. ალბათ ხვდე-

23411

დეპიუტი



ბოდნენ, რატომაც ვიდექი სახურავზე. ხელები გავშალე და სახე ნიავს შევუშვირე. ხალხი თანდათან მრავლდებოდა. ზემოთ ამოსვლას ვერავინ ბედავდა. იდგნენ და თითქოს ელოდებოდნენ, რა მოხდებოდა. დავიხარე, თასმები შევიხსენი, ფეხსაცმელები გავიხადე და იქვე მივაწყვე. იმ ძველების, გახუნებულების გვერდით. სირენები გამაყრუებლად კიოდნენ. ყველაფერი წამებში მოხდა. სახურავზეც მოესწროთ ამოსვლა. სასწრაფოდ მომვარდნენ, ძირს დამაგდეს და ხელბორკილები გამიკეთეს. მერე იყო სასამართლო,

127 წელი მომისაჯეს. მერე კი ციხე.

ეჰ, ვერ მოვახერხე 77-ე...

* * *

ციხეში წყნარად ვცხოვრობდი. არავინ მაწუხებდა და არც მე

ვაწუხებდი ვინმეს. ასე რომ, იქ არავინ მომიკლავს. ძირითადად ვწერდი და ვკითხულობდი. პირველად სწორედ ციხეში დავიწყე ამ მოგონებების წერა. თითქმის ერთი წელი ვიჯექი, მერე კი გავიქეცი. რამდენიმე დღე ტყეში ვიმალებოდი. კინაღამ მომაგნეს, მაგრამ მოვახერხე თავის დაღწევა. ახლა სად ვარ, ვერ გეტყვით. აქ არაფერი მემუქრება, ვერავინ მიპოვის...

შემოდი

ციხის ფორმა მეცვა. დაღლილობისა და შიმშილისაგან ფეხზე ძლივს ვიდექი. თან წვიმდა. მაღაზია რომ დავინახე, გამიხარდა და სასწრაფოდ მისკენ წავედი. "შემოდი", ეწერა საკმაოდ დიდ აბრაზე, ჭკვიანური სახელი იყო სასურსათო მაღაზიისათვის. შევედი. ყველაფერი იყიდებოდა, რაც მე მჭირდებოდა. დახლთან ორი კაცი იდგა. მამა-შვილს ჰგავდნენ. ორივემ ეჭვის თვალით გამომხედა. მივუახლოვდი.

- თუ შეიძლება ერთი ბოთლი შამპანური მომეცით, - ვუთხარი ახალგაზრდას.

შეტრიალდა, ერთ-ერთი თაროდან ბოთლი ჩამოიღო და გამომიწოდა. გამოვართვი და პირდაპირ თავში გავუქანე. უგონოდ დაეცა. მეორე, რომელიც წესით მამამისი უნდა ყოფილიყო, აკანკალებული მიყურებდა, თან ცდილობდა ქამრიდან იარაღი ამოეძვრინა. მაშინვე დანა ამოვიღე და ვესროლე. ყელში მოხვდა.

რაღაც ქილებით სავსე თაროს შეეჯახა და შელეწა. ქამრიდან იარაღი ამოვაცალე და ვესროლე. ახალგაზრდა მგონი უკვე მკვდარი იყო, მაგრამ მასაც ვესროლე ყოველი შემთხვევისათვის.

მაღაზია უპატრონოდ დარჩა, ჩემს ხელში... ყველაფრის აღება შემეძლო... ირგვლივ მიმოვიხედე და ის იყო, რაღაცას დავადგი თვალი, რომ უეცრად საშინელებას მივხვდი... ეს არ უნდა მექნა... 77-ს გადავაჭარბე...

* * *

ასე რომ, ჩემთვის ახალი მიზანი დაისახა - 777...

ახალგაზრდა სერიული მკვლელის მოგონებები 3

* * *

თბილისის ერთ-ერთ სამშობიაროში ბავშვი დაიბადა. ძალიან საყვარელი. როგორც ამბობენ იღიმოდა და საოცრად მეტყველი თვალებით იყურებოდა...

ბოლო წუთის მერე

გრძელი, თვალუწვდენელი დერეფანი. თეთრი კედლები, თეთრი იატაკი და თეთრი ჭერი. ძალიან თეთრი. ორივე მხარეს ჩამწკრივებული თეთრი კარებები. თეთრი სახელურებით...

ჩემი სიკვდილი

ქალაქის ქუჩებში ვმოძრაობდი მანქანით. გვერდზე ნიკუშა მეჯდა. ჩვენი "მერსედესი" ერთი შეხედვით არაფრით განსხვავდებოდა სხვებისაგან, მაგრამ მეორე შეხედვით, ალბათ, ბევრი არ მოიძებნებოდა ქალაქში მანქანა, რომლის საბარგულშიც დიდ პარკში გახვეული გვამი იდებოდა.

მეძებდნენ. კი საიმედოდ ვიმალებოდი, მაგრამ, მაინც ნებისმიერ წუთში შეიძლება მომხდარიყო რაღაც გაუთვალისწინებელი და...

მაინც მაგარი აპასნი ხალხია ძაღლობა. ციხეში დაბრუნება სასტიკად არ მინდოდა... ეს, მგონი, ერთადერთი და თანაც საუკეთესო გზა იყო თავის დასაღწევად...

გვამი ერთი შეხედვით მე ვიყავი, მეორე და უფრო დაკვირვებული შეხედვით კი, გიორგი ჩალაძე (სახელი და გვარი მის საბუთებში ვნახე). საოცრად მგავდა, ფაქტობრივად ჩემი ორეული იყო. ძალიან დიდ ხანს ვეძებდით ვინმე ეგეთს და აი, საბოლოოდ ვიპოვეთ კიდეც. მოვკალი, სახეც დავუსერე ცოტათი. ალბათ, მეც ზუსტად ასეთი ვიქნებოდი მკვდარი. ჟაკეტის ჯიბეში ჩემი პასპორტი და საფულე ჩავუდე. მტკვარში ვუპირებდი გადაგდებას, პოლიცია იპოვიდა, ამოიცნობდა მასში სასტიკ სერიულ მკვლელს და მეც გარდაცვლილად ჩავითვლებოდი.

ყველაფერი გეგმის მიხედვით შევასრულე, მერე კი ჩემს სამალავში შევიკეტე და რამდენიმე დღე საინფორმაციო გამოშვება არ გამომიტოვებია არც ერთ არხზე. ბოლო-ბოლო, აი ეს მოვისმინე ერთ-ერთი ჟურნალისტისგან:

- დღეს მტკვარში იპოვეს გვამი, 20-25 წლის ახალგაზრდა კაცისა. იგი მოკლულია ცეცხლსასროლი იარაღიდან სამი გასროლის შედეგად, დასერილი აქვს სახეც. ჯიბეში აღმოაჩნდა რამდენიმე პირადი ნივთი, მათ შორის პასპორტიც. როგორც გაირკვა, ეს უნდა იყოს ყველასათვის კარგად ცნობილი სერიული მკვლელი, ზედმეტ სახელად დვალი, იგივე კლიშა, რომელსაც 70-ზე მეტი მკვლელობა ჰქონდა ჩადენილი, 127 წელი ჰქონდა მისჯილი სასამართლოს მიერ, რომელმაც გაქცევა მოახერხა ციხიდან და რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით იძებნებოდა... ახლა ის უკვე აღარ არის, ლეგენდარული სერიული მკვლელი სრულიად აღარ არსებობს და დარწმუნებული ვარ, ამიერიდან ჩვენს ქალაქში სიწყნარე დაისადგურებს...

ბოლო სიტყვებზე ძალიან გამეცინა.

ბოლო წუთის მერე ..

შავებში ვიყავი გამოწყობილი. ქამართან მიმაგრებულ ბუდეში სასროლი მედო. ერთხანს გაკვირვებული დავდიოდი თეთრ დერეფანში, თუმცა, როცა დავრწმუნდი, რომ არც დასაწყისი უჩანდა და არც ბოლო, სადმე შესვლა გადავწყვიტე. ერთ-ერთ კარს მივუახლოვდი, ყოველი შემთხვევისთვის იარაღი ამოვიღე და სახელური ჩამოვწიე...

მივიწევ 777 - სკენ

ზუსტად 699 ადამიანის მოკვლა მქონდა გადაწყვეტილი. იოლი ხომ არაა? 699... ეხუმრებით ამხელა ციფრს? აბა ერთი დაითვალეთ 699-მდე... მეც ვკლავდი და ვკლავდი... ზოგს როგორ და ზოგს როგორ... ზოგს რის გამო და ზოგს რის გამო, ზოგს სულაც უმიზეზოდ... თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა...

ბოლო წუთის მერე ...

საძინებელ ოთახს გავდა, ის კი, საიდანაც მე შევედი, ტანსაცმლის კარადას. კარი ღიად დავტოვე, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი წინ და იქაურობას თვალი მოვავლე. პატარა ბიჭი იწვა ლოგინში, როგორც ჩანს, ჩემს შემოსვლაზე გამოეღვიძა.

პირდაღებული მიცქერდა. ოთახში საინტერესო ვერაფერი შევნიშნე, აქ არაფერი მესაქმებოდა. იარაღი თავის ბუდეში ჩავაბრუნე და გამეღიმა, ერთი ამბავი გამახსენდა ჩემი ბავშვობიდან... მერე იმ ბიჭს გავხედე და კარადაში შევბრუნდი...

მათხოვარი

ჩემ ძმაკაცს რაღაც საქმე ჰქონდა ბანკში და გავყევი. ის გადავიდა, მე კი მანქანაში დავრჩი. ფანჯარა ჩამოვწიე და ქუჩას დავუწყე თვალიერება. ერთ-ერთი შენობის კედლის ქვეშ მათხოვარი ჩამომჯდარიყო. დაახლოებით ჩემხელა ბიჭი. ბინძური, შავი ფეხები ერთმანეთზე ჰქონდა გადადებული და თითქოს თვლემდა. უეცრად ორი ბიჭი მიუახლოვდა, კარგად გამოწყობილი, ქუჩისბიჭური გარეგნობის ახალგაზრდები იყვნენ.

- შეიძლება? - ჰკითხა ერთ-ერთმა ირონიულად, დაიხარა და მათხოვრის წინ დაყრილი ხურდები მოკრიფა.

იმან თვალები გაახილა და უკმაყოფილო, ცრემლიანი თვალებით ამოხედა.

- ჰა, რას გვიყურებ ბიჭო, - დაუღრიალა მეორემ და მთელი ძალით გაუქანა მუშტი სახეში.

ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა.

სასწრაფოდ გადმოვედი მანქანიდან, იარაღი ამოვიღე და მათკენ წავედი.

დამინახეს, მიხვდნენ, რომ მაგარ შარში გაებნენ და სასწრაფოდ მოხიეს იქიდან. არ გავკიდებივარ. თითქოს გული მიგრძნობდა, კიდევ შევხვდებოდი სადმე. სახეგასისხლიანებულ ბიჭს ჩემი ცხვირსახოცი გადავუგდე და ბანკში შევედი. ასლარიანი ათ თეთრიანებად გადავახურდავე და უკან გამოვბრუნდი. სულ იმ ბიჭს დავუყარე გარშემო. გაოცებული მიყურებდა. მერე ისევ მანქანაში ჩავჯექი და ძმაკაცს დაველოდე.

ის ბიჭები, მათ ბედად, საბილიარდოში შემხვდნენ იმავე საღამოს. რაღაცაზე შარი მოვდე და ორივე მოვკალი ცემით. სულ ბილიარდის კიები და ბურთები ვურტყი. ნამდვილად ღირსები იყვნენ, ეგ მართლა მათხოვრები.

ბოლო წუთის მერე ....

ისევ თეთრ დერეფანში ამოვყავი თავი. დაბნეული ვიყავი. არ

ვიცოდი, რა მექნა. ნუთუ ყველა კარი ბავშვების საძინებლებში შედის... შეუძლებელი იყო. გადავწყვიტე, კიდევ ერთხელ მეცადა ბედი და კიდევ ერთ კარებს მივუახლოვდი...

გზა თბილისისკენ

400 ცხენის ძალა აქვს, მშვენიერი სალონი და უკანაც საკმაოდ დიდი ადგილი ყველაფრისათვის... ქალაქში "ბეემვეთი" ვმოძრაობდი, "ემპიატით". იმ დღესაც მცხეთაში ვიყავი, გავათენე ბიჭებთან ერთად. უკანა გზაზე მაგარი მთვრალი დავჯექი რულზე. უკვე თენდებოდა. თბილისისკენ გამოვწიე. აზრზე არ ვიყავი, რა სიჩქარით მოვდიოდი. რამდენჯერმე რულზეც კი ჩამეძინა. უეცრად რაღაცას შევასკდი და მერე გადავუარე. დაახლოებით მიეხვდი, რაც მოხდა, ვიღაცას დავეჯახე და ალბათ, მოვკალი კიდეც. არ გავჩერებულვარ. თხუთმეტ წუთში იგივე განმეორდა, კიდევ ვიღაც აღმოჩნდა ჩემი მანქანის ბორბლებ ქვეშ. რა ჩემი ბრალია, რას დადიოდნენ ასე ადრიანად გადასასვლელებზე?! თუმცა ეს ჯერ კიდევ არ იყო დასასრული. ხომ იცით, თუ ორჯერ ზედიზედ მოგივა რამე, მესამესაც უნდა ელოდო. ეს მაშინაც გავიფიქრე და გადავწყვიტე მაქსიმალურად ფრთხილად ვყოფილიყავი, თუმცა... უკვე თითქმის სახლთან, სიჩქარეს ცოტათი მოვუმატე და სულ რაღაც წამით გამეფანტა ყურადღება... მოხუცი ქალი იყო... მანქანა გავაჩერე, გადმოვედი, კარგად დავაკვირდი და ბებიაჩემი აღმოჩნდა...

მოდით წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ მის ხსოვნას...

ბოლო წუთის მერე .....

სადაც აღმოვჩნდი, სულაც არ გავდა საძინებელს. საერთოდ სხვა რაღაც იყო... მისი აღწერის უფლება არ მაქვს... აქ არც კარგია და არც ცუდი... აქ მოხვედრას არავის გისურვებთ! მაინც შეიძლება ითქვას, რომ ცოტათი გამიმართლა. მგონი პირველად ცხოვრებაში. საერთოდ, მთავარია თეთრ დერეფანში გააკეთო სწორი არჩევანი... შეიძლებოდა უფრო საშინელ ადგილას მოვხვედრილიყავი, აქ იმის იმედი მაინც მაქვს, რომ კიდევ ერთ შანსს მომცემენ...

მოგილური

ჩემთვის ვიჯექი ტოტალიზატორში. უცებ ვიღაც ტიპი მოდის და მეკითხება, ზარს ვერ გამაშვებინებო. კი-მეთქი. ამოვიღე ჩემი ახალი ტელეფონი და მივეცი. ეგრევე მოხია. გავეკიდე და დავიჭირე. სადარბაზოში შევათრიე და პირდაპირ ყბაში გავუყარე დანა. თან ვღრიალებდი, ესეთი რაღაც აღარასოდეს აღარ გააკეთო-მეთქი, თან ვურტყამდი. თავი რომ მოვთოკე, უკვე მკვდარი იყო. ამ ღრიალს რაღა აზრი ქონდა-მეთქი, გავიფიქრე, ტელეფონი ავიღე და წამოვედი. უკვე ტაქსში ვიჯექი, ჩემი დანა რომ გამახსენდა. ერთი კვირის წინ ჩამო-

მიტანეს. ძალიან დამენანა ესე უაზროდ დაკარგვა. ვიღაც დამპალი ტიპის ყბაში ჩარჩა...

ᲑᲝᲚᲝᲣ ᲬᲘᲜᲐ ᲬᲣᲗᲘ

სასიკვდილოდ ვიყავი დაჭრილი. საავადმყოფოში გადამიყვანეს.

ვხვდებოდი, რომ ვერ გადავრჩებოდი. არ მინდოდა ასე სიკვდილი... რეანიმაციის პალატაში ვიწექი ექიმებით გარშემორტყმული და თვალების გახელასაც კი ვერ ვახერხებდი წესიერად...

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა...

გარეგნობა ძალიან შევიცვალე. თმები გავიზარდე და წვერიც მოვუშვი. უკვე თავისუფლად ვახერხებდი ქალაქში მოძრაობას.

მაინც ვფრთხილობდი, მაგრამ ისე ძაან აღარ მეშინოდა. იმ დღეს, ერთ-ერთ რესტორანში ვიჯექი. ნიკუშასთან და ერეკლესთან ერთად. შეკვეთილი გვქონდა და ველოდებოდით. ჩვენი მაგიდა კარებთან იდგა ახლოს, კარებთან კი ორი შეიარაღებული მცველი იდგა. ყველას ჩხრეკდნენ ვინც კი შემოდიოდა. უეცრად შევნიშნე, რომ ვიღაც ბიჭს მათთან შელაპარაკება მოუვიდა. პატარა ბიჭი იყო, ოცი წლისაც არ იქნებოდა. საიდანღაც მეცნო... მეხსიერება დავძაბე... სახეზე კარგად დავაკვირდი და გამახსენდა... ნუთუ ის არი?.. დაუჯერებელი იყო, მაგრამ... ეს ის ყმაწვილი გახლდათ, ერთ მთვარიან ღამეს, ჩემს მიერ ფანჯრიდან გადმოყრილ მოჭრილ ხელს და ფეხს რომ უცქერდა გაოგნებული... მაშინ გავიფიქრე, იქნებ კიდევ ერთი სასახელო მკვლელი გაეზარდოს ჩვენს ქვეყანას-მეთქი და მგონი არც შევმცდარვარ... დაცვა მის გაჩხრეკვას მოითხოვდა, ის კი უარს ამბობდა. ხელი ქამრისკენ წაიღო... ჩემი ამბავი გამახსენდა... მეც ზუსტად ასე არ მომივიდა, იმ საღამოს, მერე თავის მოკვლას რომ ვაპირებდი და რომ დამიჭირეს... მივხვდი ახლა რაც მოხდებოდა... ნიკუშას და ერეკლეს ვუყვირე, დაწექით-მეთქი, მაგრამ უკვე გვიანი იყო... სროლა ატეხა... პირველი ნიკუშა დაიჭრა ფეხში, მეორე ერეკლე, ისიც ფეხში, ბოლოს კი მეც მომხვდა... ოღონდ გულთან ახლოს... მერე აღარაფერი მახსოვს რა მოხდა, რეანიმაციაში მოვედი გონს...

ᲑᲝᲚᲝ ᲬᲣᲗᲘ

მთელი ჩემი ცხოვრება დამიდგა თვალწინ. მეზობელი ლევანი, ფიზიკის მასწავლებელი, საქართველოს სამგზის ჩემპიონი ცურვაში, მოხუცი მემაწვნე, მარშუტკის მძღოლი, ბებიაჩემი...

ერთადერთი გოგონა, რომელიც მიყვარდა და რომელიც მე თვითონ მოვკალი... კიდევ ბევრი რამე... მივხვდი, თუ რა მოკლე იყო ის გზა, რომელიც მე გავიარე და რა უაზრო... არადა, კიდევ რამდენი საინტერესო მკვლელობის ჩადენა შემეძლო... თვალები უკანასკნელად გავახილე და მოვკვდი...

ᲑᲝᲚᲝ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ .....

მომცეს კიდევ ერთი შანსი! თავიდან დავიბადები. პატარა

არჩევანის საშუალებაც მქონდა... ერთი მშვენიერი ცოლ-ქმარი ავირჩიე... რამდენიმე საათში თავიდან დავიბადები და აღარაფერი მემახსოვრება...

* * *

თბილისის ერთ-ერთ სამშობიაროში ბავშვი დაიბადა. ძალიან საყვარელი. როგორც ამბობენ იღიმოდა და საოცრად მეტყველი

თვალებით იყურებოდა...

გოგონა იყო...

ᲛᲐᲠᲢᲘ, ᲐᲠᲘᲚᲘ, ᲛᲐᲘᲡᲘ 2005

თეონა დოლენჯაშვილი

სიჩუმის სამი ნაპირი

ნატა

მაგიდაზე ხილს ვაწყობდი. დეკემბრის დღე იყო, სამკუთხოვანი კომპოზიცია და სარკმლიდან შემოჭრილი ცივი შუქი ოთახის ჩრდილში. ეს სეზანის ნახატებს მახსენებდა და რილკეს წერილებს, რომლებშიც ის კლარა რილკეს პარიზის საშემოდგომო სალონებსა და სეზანის მხატვრობაზე უამბობდა. ნატურმორტებზე, სადაც ვაშლები მკვახეა და არ იჭმება. ღვინის ბოთლები კი ძველი ქურთუკის გამობერილ ჯიბეებშია ნატარები... მოკლედ, ვფიქრობდი, ვხატავდი, ჩემთვის ვიყავი, არავის და არაფერს ველოდი. მაგრამ როდესაც არ ელი, სწორედ მაშინ მოვლენ ხოლმე. და ისიც მოვიდა...

დიდი ხნის უნახავი მყავდა. ვერც კი გავიხსენე ბოლოს როდის ვნახე. უბოდიშოდ შემოაბიჯა და ძველისძველ, ხავერდგადაკრულ სოფაზე დაეშვა. სეზანის ვაშლებივით მჟავე სიფათი ჰქონდა, ჩაშავებული თვალის უპეები, გაუპარსავი ლოყები... რაღაც უნდა მეთქვა, მაგრამ გავჩუმდი და სიჩუმის არაბუნებრივად დაჭიმული პაუზის შესავსებად სახელოსნოს გაუქმებული, განჯინად ქცეული მაცივრიდან კონიაკის მუქი ბოთლი გამოვიღე. ჭიქები და... "არაფერი არ გინდაო," - ჩაიბურტყუნა, თან მოიფიქრა და სველი ქუდი მოიხადა. გარეთ ალბათ წვიმდა და მას აშკარად რაღაც უჭირდა. და რაში მენაღვლებოდა მისი გასაჭირი. როდესაც მე მიჭირდა, ფეხი დაკრა და ბარსელონაში გაიქცა. აქ პურის რიგები იდგა. ის კიდევ ბარსაში დასახლდა და ცოლიც მოიყვანა - შავი, გამხდარი გოგო, მარია თუ მანუელა. ალბათ ისე იყო, როგორც უნდოდა, მაგრამ მაინც დაბრუნდა. დაბრუნდა ცოლით, ბავშვითა და საგრადა ფამილიას ქვის ნატეხებით. მე ჩემი ნატეხები მქონდა წარსულის უმაქნისსა და მტვრიან უჯრებში მიმოფანტული, დროდადრო წვეტიანი და ბასრი ნაპირებით რომ მჩხვლეტდნენ და მისი დაბრუნების ამბავი დიდად არ გამხარებია. თან ჩემთან უკვე ნიკა იყო და მეგონა, რაღაცები ჩემს ცხოვრებაშიც იქნებოდა... იქამდე, სანამ სალონში არ შემოეხეტებოდა და ბავშვობის უიმედოდ გულუბრყვილო სურათებს ხელთავიდან არ დაატრიალებდა, თუნდაც ასეთს: ის - წლებისგან დაღლილ სავარძელში ჩაყვინთული, მე - გამჭვირვალე ჭიქებითა და მორკალულნაპირებიანი საფერფლით ხელში.

სწორედ ასე ვიდექი, ვუყურებდი და აღარ მომწონდა. წლებს თავისი საქმე გაეკეთებინათ. თმა შესთხელებოდა, მომნუსხავი მზერა კი ისე შეცვლოდა, როგორც გზები და ხაზები - რბილ ხელისგულზე. "დავბერდი, არა?"- ისე მკითხა, ზუსტად მიხვდა, რასაც ვფიქრობდი. "ჯერ ადრეა,"- უფრო ჩემთვის ვთქვი და საფერფლე მაგიდაზე დავდე. სიგარეტს მოუკიდა და კედლებზე გამოფენილ მხატვრობას დაკვირდა. თითქოს იმ წლებს სწავლობდა, უიმისოდ რომ ვიცხოვრე. უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა. იმ ამბის დასრულების შემდეგ, გამოუცდელობითა და ბავშვური სისულელით სიყვარული რომ ვუწოდეთ, ჩვენი შეხვედრა ათასჯერ მაინც მქონდა წარმოდგენილი და ამ წარმოსახვით შეხვედრებში განცდებსა და სენტიმენტებს ადგილი არ ჰქონიათ. არც მისი თანაგრძნობა და ჩემი სალონის კედლების თვალიერება ყოფილა გათვალისწინებული. დრო იყო, ჩემს შიგნით დაწერილი სიტყვები მიმეხალა და იმ კარებზე მიმეთითებინა, რომელიც წლების წინ საკუთარი ხელით გაიხურა... მაგრამ დამასწრო და უცნაური რამ თქვა:

- ძალიან მინდოდა ისევ მენახე. აი, ასე... შენ შენს ნატურმორტებს ხატავ და დროც ნელა გადის. არადა, ცხოვრება ძაან მოკლეა. შენც ხომ იცი... დეკემბრის დღესავით მოკლე.

მართლაც შეცვლილიყო. პათეტიკა და სიკვდილის შიში. ექიმებს თურმე დღეები ჰქონდათ დათვლილი. რა უნდა მეთქვა. ასეთი რამ ჩემს სცენარებში არ ეწერა...

გიო

გარბარეკის მუსიკა თუ მოგწონსო, თურმე ამას მეკითხებოდა. თავი დავუქნიე. თვალს ვერ ვაშორებდი. გამხდარიყო და თმები ქერად გადაეღება. სახეზე თბილი და იდუმალი იერი მისცემოდა, მაგრამ მე ისე უფრო მომწონდა. თაროებზე იკებანები და ნაირფრად მოჭიქულ-მომინანქრებული ჭიქები ეწყო. ძალიან ლამაზი ჭიქები იყო და შიგ ჩასხმულ წყალსაც სხვადასხვაგვარი გემო დაჰკრავდა - თაფლის, რძის, იელის, დაჩამიჩებული ვაშლისა თუ გადამალული ჩურჩხელების. გარბარეკი თავის საქსაფონს უკრავდა და ვიფიქრე, რომ მეთორმეტე სართულზე გაწყობილი ეს მანსარდა ერთადერთი ადგილია, სადაც დრო კი არ მიდის, ერთ წრეზე ტრიალებს. ისე უცვლელად და ფორმალურად ტრიალებს, როგორც ისრები - საათის ციფერბლატზე.

ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. ვისხედით და ერთმანეთის სიჩუმეს ვუსმენდით. მინდოდა მადლობა მეთქვა ამ სიჩუმისთვის და კიდევ იმისთვის, მის თვალებში სიბრალულის დამთრგუნველი თევზები რომ არ დაცურავდნენ. სხვას არავის შეეძლო ასეთი დუმილი. თითქოს უბრალოდ ძველი ნაცნობი ვესტუმრე და ისიც ძველი კონიაკით გამიმასპინძლდა, თითქოს არც განშორება ყოფილა, არც ღალატი და ესპანური ქარის წისქვილები, ზედ ფრთები რომ მივალეწე, თითქოს ისევ ოცი წლისანი ვიყავით და ცხოვრებაც ისე იოლი ჩანდა, როგორც ჭიქაში ჩასხმული წყალი.

ისევ ისე მიყვარდა. ეს ერთადერთი სინამდვილე იყო, რომლის დავიწყებაც არ მსურდა. და სულ ტყუილად... დიდი ხნის წინ წავედი და ყველაფერი დამთავრდა...

ზუსტად მახსოვს. მაშინაც ასე ვისხედით. მე უკვე ამსტერდამის ბილეთი მქონდა აღებული. მას ნავთის ქურა აენთო და ზედ ლურჯი ჩაიდანი შემოედგა. დამშვიდობება მინდოდა, მაგრამ არ გამოვიდა. თავჩაქინდრული იჯდა და ძველ, ჩეხურ ფოტოჟურნალებს ფურცლავდა. ჟურნალებში ცარიელი სატელეფონო ჯიხურებისა და ტანგოს მოცეკვავე წყვილების ფერადი ფოტოები დაებეჭდათ. ფოტოებმა ძალიან გამაღიზიანა. ნატა მათ ისე ჩასცქეროდა, თითქოს საშინლად მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინა, ვთქვათ, პასუხი ყველა კითხვაზე. მე ოთახში დავაბოტებდი, ბოლოს შემცივნულ ლოყაზე ვაკოცე და ქუჩაში გამოვედი. გარეთ სუსხიანი ქარი ქროდა და მთელი გზა იმაზე ვფიქრობდი, რატომ არ დგას თბილისის ქუჩებში სატელეფონო ჯიხურები. ფერადი, შემინული ჯიხურები, სადაც შეხვალ და ამ ქარს დაემალები, ერთმანეთზე გადახლართული სატელეფონო ხაზები შენს ცრემლებსა და შიშებს შორს წაიღებენ, ხოლო სიყვარულს თბილ კაბინაში შეინახავენ. დრო გავა, გამოივლი და დაგხვდება...

არაფერიც არ დამხვედრია. ან რა უნდა დამხვედროდა. ამსტერდამი და ბარსელონა დიდი ქალაქებია. იქ ნატასნაირი გოგოები არ ცხოვრობენ. მათთან გაცილებით ადვილია. გინდა, ან არ გინდა. მიდიხარ, ან რჩები. მაგრამ მათთან დრო არ ჩერდება. დავიწყებაც არ გამოდის. სიჩუმეც მარტო დაღლილ ღამეში თუ ჩამოდგება...

მარია

ყოველ ღამით ერთი და იგივე რამ მესიზმრება. თითქოს კოსტა-ბრავოში ვარ, ბავშვობის სახლში. ვერანდაზე ვზივარ და ხელსახოცებზე ცისფერ ყვავილებს ვქარგავ. ვიცი, რომ სახლში მარტო ვარ, მაგრამ ოთახის სიღრმიდან ნაბიჯების ხმა მესმის. კოსტა-ბრავოში დიდი სახლი გვაქვს და ჩრდილოეთის ოთახებისა, სადაც ბებიაჩემი გარდაიცვალა, ყოველთვის მეშინოდა. სიზმარშიც ვშფოთავ. ოთახებში კი ფეხის ხმა ძლიერდება...□ ვერანდაზე თავით ფეხებამდე შებურული ქალი გამოდის. ქალი მიახლოვდება, საბურველს იხსნის და ვხედავ, რომ ეს ქალი მე ვარ.

უცნაური სიზმარია, არა? ყოველ ღამით მესიზმრება და იმ ქალის თუ ჩემი ნაბიჯებიც კი მაქვს დათვლილი. მარტივი ფსიქოლოგიაა. სიზმარშიც ვმეორდები. რაც თბილისში ჩამოვედი, მართლა მგონია, რომ ორი ვარ. ერთი იქ დავრჩი, ბარსელონაში, მეორე კი აქ, გიოსთან და ანასთან ერთად განვაგრძობ ცხოვრებას. თუმცა, რა ცხოვრებას. გიო მთელი დღეები წასულია. ანას ძიძა ასეირნებს. მე სახლში ვზივარ და ქუჩას გავცქერი...

ზოგჯერ ტანგოს შემსწავლელთა კლუბში მივდივარ. მოცეკვავეებს ვუცქერი, ფეხების ბაკუნით რომ ურტყამენ დავიწყების წრეებს მაღალსარკეებიანი დარბაზის ჩაფიქრებულ სივრცეებში. ერთი, ორი, სამი. წვრილი წე-

პროზა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი, მკვეთრად მოტრიალებული თავი, არაფრისმთქმელი გამოხედვა. ერთი, ორი, სამი. დაღლილი ვნება, მოხრილი მუხლი, ჩრდილი თვალის კუთხეში. ერთი, ორი, სამი. ხშირი სუნთქვა, ჩამოშლილი თმა, ტკივილის მოლოდინი... სარკეები წყვილების მოსხლეტილ მოძრაობებს ირეკლავენ, აკორდეონის ნაღველი და გულის ცემის რიტმი კი რაღაც უცნაური, მტანჯველი სიამოვნების ჭაში მაგდებს, რომლის გრილად დაგუბულ წყლებში ადრე დამარხულ საიდუმლოთა აჩრდილები იკვეთება. უბრალოდ, უფრო ღრმად უნდა ჩაყვინთო, ასე წრიულად, რიტმულად მოძრავი სხეულით აამღვრიო, აშალო და ჩაწვდები. მე კი მიახლოებასაც ძლივს ვბედავ, ისიც კი არ შემიძლია მომრგვალებული ხელისგულით თუ პეშვით რამდენიმე წვეთი ამოვიღო და გამომშრალ ყელში ჩავიწურო... კუთხეში ვზივარ და ვუცქერი: ერთი, ორი, სამი, ძლიერი მკლავი, გაშლილი ზურგის ხაზი, ცარიელი ქუჩა. ერთი, ორი, სამი. თეთრი კაბა, გვიანი ღამე, გასაღებების აცმულა. ერთი, ორი, სამი. აკრძალული ალერსი, შიშველი ყელი, დამანგრეველი ქარების სეზონი...

ამას წინათ კინოში წავედი. ალმადოვარის "ესაუბრე მას" გადიოდა. მერე მაკდონალდსში ვივახშმე. კოკა-კოლას ყველა ქვეყანაში ერთნაირი გემო აქვს. ეს რაღაცნაირად მწარე იყო. კუთხეში ვიჯექი და ვტიროდი. მე და გიოს საუბარიც კი არ გამოგვდის. არადა, უფლება რომ მომცეს, იქნებ მისი გადარჩენაც შევძლო, როგორც იმ ფილმში...

გუშინ დილით კიდევ ტელეფონი აწკრიალდა. ახალგაზრდა ქალი რეკავდა. ჯერ მეგონა, რომ გიო უნდოდა, მაგრამ მე მიკითხა და მშვენიერი ინგლისურით მაუწყა, რომ ჩემი მეუღლე ძველ სიყვარულს დაუბრუნდა, ყოველდღე მის სამხატვრო სალონში ზის და თუ ამ სიტყვების სიმართლეში ეჭვი მეპარება, შეიძლია ახლავე მივიდე მისამართზე... რა თქმა უნდა, იმ გოგოს მისამართიც მითხრა, ტელეფონიც და მათი სიყვარულის ჩემთვის უცნობ ისტორიასაც დაწვრილებით მიამბობდა, რომ მომესმინა.

ასეთი ქალების არ მჯერა, მაგრამ გიო რომ მოვიდა მაინც ვკითხე, ნატა ვინ არის-მეთქი. ჯერ ჩუმად იყო. მერე, ექიმიაო - მიპასუხა. მაშინვე ყველაფერს მივხვდი. ღამითაც არ სძინებია. იწვა და თვალდახუჭული უყურებდა სიბნელეს. მე დილისკენ წამთვლიმა და მაშინვე ის სიზმარი დამესიზმრა - კოსტა-ბრავოს ძველი სახლი და თავფეხშებურული ჩემი ორეული.

უცნაური ქალაქია ეს თბილისი. ერთი წელიც არ არის, რაც აქ ვცხოვრობ და უკვე ისე დამიმსგავსა... აბა, სხვა რა შეიძლება, კაცმა იფიქროს. გადაწყვეტილება, ყავას რომ ვსვამდი, მაშინ მივიღე. სწრაფად ჩავიცვი და ტაქსი გამოვიძახე. ვცდილობდი არ მეფიქრა. უბრალოდ, იმ ნატას ნახვა მინდოდა. მეტი არაფერი.

მეთორმეტე სართულზე ცხოვრობდა. ლიფტში ფული უნდა ჩაგეგდო, ზემოთ რომ აეყვანე. ავედი და კარებთან რომ დავდექი, შემეშინდა. რატომ მოვდიოდი, რა უნდა მეთქვა, თვითონ რა უნდა ეპასუხა? ან, მართლაც გიო რომ დამხვედროდა იქ... მაგრამ უკვე გვიან იყო და ზარის ღილაკს თითი დავაჭირე.

კარი გამიღო. საბედნიეროდ, მარტო იყო. გაოცებული მიყურებდა. სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა: ლამაზი ტანი და დიდი თვალები. ყველაზე მეტად ამ თვალებმა მომხიბლა, მომეჩვენა, რომ გიოსაც ჰგავდა და ვიგრძენი ვეღარ შევიძულებდი. მარია ვარ-მეთქი, ისე ვუთხარი, თითქოს ვალდებული იყო, ჩემი ვინაობა თავადაც გამოეცნო.

ნატა

კარებთან იდგა და ისე იღიმებოდა, მარტო უცხოელებს რომ შეუძლიათ. თეთრი პალტო ეცვა. ასეთი ქათქათა თეთრი ფერისას ჩვენთან საქორწინო კაბებს იცმევენ. ამას კიდევ ამ ატალახებულ ამინდში ჩაეცვა და წვრილი თითებით ტყავის ხელთათმანს აწვალებდა.

ბუხართან ჩამოჯდა. მე ფორთოხალი დავჭერი და ყავა მოვადუღე. პატარა, სუსტი გოგო ყოფილა. მარტო ტუჩები ჰქონდა სქელი და ვნებიანი. საუბრისას სიტყვებს ამრგვალებდა და ისინიც თითქოს რბილი ბურთებივით უცვივოდნენ ბაგეებიდან. ცოტა უცნაურიც ჩანდა. "სწორედ ასეთ ხელსახოცებს ვქარგავ სიზმარშიო", - მაგიდაზე დაფენილ ცისფერყვავილებიან სუფრაზე მიმითითა.

წარმოდგენა არ მქონდა რაზე უნდა გვესაუბრა. ისიც იბუზებოდა და უხერხული და მოუხეშავი წუთების გასაფანტად ნახატებზე ფერებს იმახსოვრებდა. "ჩემი საყვარელი მხატვარი მიროაო,"- მამცნო ბოლოს. კატალონიელი სხვას ვის იტყოდა... "თბილისი თუ მოგწონს-მეთქი", - რაღაც ხომ უნდა მეკითხა. "კიო", - თავი დამიქნია, - "მე კი არა, ეს ქალაქი ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობს ჩემშიო“.- რაღაც პოეტურად მიპასუხა. შეიძლება, ასეც იყო, მაგრამ მე მხატვარი ვარ და ყველაზე უკეთ კომპოზიციების შექმნა და დანახვა შემიძლია. ეს კი ძალიან შორს ჩანდა, აქაურობიდან, ამ ქალაქიდან შორს. ერთადერთი, ვისაც აქ გადმოჰყავდა, გიო იყო და ახლა ისიც ხელიდან ეცლებოდა...

გიოს როდესაც ახსენებდა, მისი სიტყვები ნესტიანდებოდნენ და მრგვალი ცრემლებივით იღვრებოდნენ. სუნთქვაშიც იგრძნობოდა, სიგიჟემდე რომ უყვარდა. ალბათ ამიტომ მოვიდა. ამგვარად მაუწყა, გიო მარტო არ არისო. წესით, უნდა გამხარებოდა, მაგრამ ჩემს თავთან მარტო რომ დავრჩი, გული მომეწურა. გიოზე ზრუნვა ამიერიდან არა მხოლოდ ოფიციალურად მეკრძალებოდა. ეს სუსტი და უცნაური კარმენსიტა ჩემს სარკესავით დაბზარულ სიყვარულს მთლიანად ისაკუთრებდა და იქიდან ერთ პაწაწინა ნატეხსაც აღარ მიტოვებდა...

მეორე დღეს გიო რომ მოვიდა, კარი არ გავაღე. კარის შიგნითა, თბილ მხარეს ვიდექი და სულგანაბული ვუსმენდი, როგორ უცემდა გული...

გიო

ისევ ირაკლი მირეკავდა: “ქიმიოთერაპიის ახალი კურსი დავიწყოთო“. სისულელეა ეს ყველაფერი. მე და ირაკლი ათი წელი ერთ მერხზე ვიჯექით და ახლაღა შევამჩნიე, რომ თვალთმაქცობა უსწავლია. “ დამიჯერე და მოგარჩენო,“- მიმტკიცებდა. ერთი ირაკლი გოქაძის გადარჩენილები მანახა... მთელი ბავშვობა ფეხბურთელობაზე ოცნებობდა და ახლა, თეთრ ხალათში გამოწყობილი, სასწაულის მოხდენას აპირებს.

ვისაც გადარჩენა შეეძლო, იმან კარი აღარ გამიღო. აღარ გამიღო და მორჩა. დაი-



პროზა

ღალა... ან ჩემზე მალე მიხვდა, სიყვარულს სიკვდილთან რომ არაფერი ესაქმება...

გასულ კვირას ანკა სასეირნოდ წავიყვანე. მზიურში ჩავედით. სველი ხეები გაზაფხულს ელოდნენ. ნიავს ნუშის მომწარო სურნელი მოჰქონდა, სწორედ ისე, როგორც მარკესის რომანებშია. ის გამახსენდა, მე და ნატა ერთმანეთს ფრანციასთან რომ ვხვდებოდით. ახლა ეს კაფე, ისევე როგორც ბევრი რამ ჩვენი წარსულიდან, აღარ არსებობს. მაშინ კიდევ შუქი არ იყო და იმ ბნელ, მოულოდნელ ღამეებში ფრანციას პარაფინის სანთლებით ანათებდნენ. ნატა ლექციებიდან მოდიოდა. ხელში სახატავი ფურცლებით სავსე ჩანთა ეჭირა, თმაც ჩანთიდან ამოჩრილი ფუნჯის ბოლოსავით გაენასკვა და გონებაში პატარა-პატარა ესკიზებს ალაგებდა. საოცარი საღამოები იყო. მშიერი, ბნელი, ბედნიერი საღამოები. საათობით ვისხედით. ნატა ამბობდა, ყველაფერი ზემოთ იწერებაო თუ რაღაც ამდაგვარს ამბობდა. მაშინ ხომ არ ვიცოდით, რომ "ზემოთ მწერალი" ძალიან მკაცრი ვინმე აღმოჩნდებოდა...

ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, მე და ანა მზიურიდან რომ ამოვედით და იმ აღარარსებულ ფრანციასთან თათას შევეფეთე. თათა აშკარად ჩქარობდა, მაგრამ ჩემთან სალაპარაკოდ მაინც მოიცალა. ძალიან ბევრი ილაპარაკა. რაღაცებს ვუსმენდი, რაღაცებს - არა. მერე ნატა ახსენა და მეც მოვისმინე, რომ ნიკა ჩამოსულა და ბათუმში წაუყვანია. ეს სახელი მანამდეც მსმენოდა: ვიღაც ნიკა, რამდენიმე წელი ნატას სიყვარულის მოლოდინში რომ გაატარა. უბრალოდ, მოლოდინში...

ასე სჯობს.

მარია

ძიძა გავისტუმრე და ბავშვს ვაძინებდი, გიო რომ დაბრუნდა. სადღაც ცხრა საათი იქნებოდა. ტელევიზორთან იჯდა და ეწეოდა. სახლში არ ეწევა ხოლმე, მაგრამ ახლა რაღაც დაძაბული იჯდა და მეც არაფერი მითქვამს. სამზარეულოში გავედი. წყალი არ მოდიოდა. ჯერ კიდევ დილით შეწყდა. ვახშამიც ვერ მოვამზადე და გიოს გავძახე, ჩაის აგიდუღებმეთქი. პასუხი არ გამცა. მისაღებში გამოვედი. დივანზე იწვა. თეთრი, ფურცელივით თეთრი სახე ჰქონდა. თვალები დაეხუჭა... შეიძლება აღარც სუნთქავდა, ან ძალიან სუსტად...

ძალიან მალე მოვიდნენ და წაიყვანეს. ირაკლი მეუბნებოდა, ყველაფერი კარგად იქნებაო. ვკანკალებდი და დამამშვიდებელი აბები მომცა. პალატაში არ შემიშვეს. სუსტად განათებულ ჰოლში ვიჯექი. დედას ვურეკავდი. როცა ცუდად ვარ ამას მექანიკურად ვაკეთებ ხოლმე და საბრალო დედაჩემს ჩემი სატელეფონო ზარების ცეცხლივით ეშინია...

რამდენი ხანი ვიჯექი საავადმყოფოს იმ აძაგრულ და გაყინულ ჰოლში არ მახსოვს. აბებმა კი არ დამამშვიდეს, რეალობას მომწყვიტეს. გაბრუებული უკვე ვეღარ ვხვდებოდი სად ვიყავი - სიზმარში თუ ცხადში. საავადმყოფოს ტალანები კოსტა-ბრავოს სახლის ვერანდას დამსგავსებოდნენ. ექიმების ნაბიჯებს ვითვლიდი და ველოდებოდი, როდის მომიახლოვდებოდა თავიდან ფეხებამდე შებურული ქალი, რომელიც სიზმარში ყოველთვის მე ვარ. ქალი მართლაც მოვიდა, თავსაბურავი ნელა მოიხადა და დავინახე, რომ მას ახლა ნატას სახე მიეღო. ჩემს წინ იდგა და უცნაურად დიდი, წყლიანი თვალებით მიყურებდა...

ნატა

ლილიკოს ვაშლის ნამცხვარი, ესპრესო და სანაპიროს მარილიანი ქარი, - ასეთია დილის რაციონი. ამ დროს ჩემი მასპინძლის მწვანე ბაღში ვზივარ და ქვის აუზში მოცურავე თევზებს ვუცქერი. აუზი კი არა, დიდი აკვარიუმი უფროა. პირველად ვნახე, ზღვის პირას მცხოვრებ ადამიანს ეზოში თევზების აკვარიუმი მოეწყოს. აქაურებს ზღვა და მისი ატრიბუტიკა იმდენად აქვთ მოყირჭებული, მისგან ყოფითი რომანტიკის შექმნა აზრადაც არ მოსდით, მაგრამ ლილიკო სულ სხვა ამბებშია გახლართული. ნამდვილი ქალთევზაა, თითებით სანაპიროს კენჭებს დაატარებს და თვალებში ზღვის ვარსკვლავები უკრთის. ჩვენს გაღვიძებამდე მთელი სახლის გადატრიალებას, უზღვავი რაოდენობის ტკბილეულის მომზადებასა და სამი ჭიქა ყავის დალევას ახერხებს. მეოთხეს ჩემთან ერთად მიირთმევს და სანამ მე გაზაფხულის ქარში ვთბები, ქუჩის პირას გამართულ კაფეტერიაში გადარბის, უგემრიელეს ნამცხვრებს მზეში გამომცხვარი დღეებივით ჭრის და ყიდის.

ლილიკოს მღელვარე ნატურას თუ არ ჩავთვლით, აქაურობა მშვიდი ალაგია. მშვიდი, მელანქოლიური და ოდნავ მომთენთავიც. ქარებიც კი სხვაგვარად ქრიან. ამ ქარებს დავიწყების ბლანტი სურნელი სდევთ და აუზის ფილებზე დაწყობილ წიგნებში ამბებს აშრიალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ. დღეებიც ერთმანეთს ჰგავს: დილას - საუზმე, შუადღეს - სანაპირო, საღამოს - კლუბი. კლუბები კოქტეილის მომწარო არომატითა და საღებავის სუნითაა გაჟღენთილი. საკურორტო სეზონის გახსნამდე ნაჩქარევად გადაღებილ კედლებში მაგნიტოფონით აჟღერებული მუსიკა მართობს და მიხარია, ადგილობრივ მუსიკოსთა თვითშემოქმედებას რომ არ ვეწირები. სანაპიროზე ჯერ ისევ ცივა. მე მაისურსა და ჯინსის ქურთუკს ვერ ველევი, ლილიმ კი უკვე ორჯერ იბანავა და მარჯნის რიფებივით გაჩეჩილი თმა ღრუბლებში ფრაგმენტულად გამოჭრილ მზის სხივებზე გაიშრო.

ცივ წყალს არც ნიკა ეპუება. ძალიან შორს გადის და სანაპიროდან წერტილივით მოჩანს. ამ დროს ლილი ენას არ აჩერებს. მისი აზრით მე რაღაცნაირად გარინდული გოგო ვარ, სევდიანი, დაბინდული და გაურკვეველი. გაურკვეველში რაღას გულისხმობს, ვერ ვხვდები. შეიძლება იმას, აქ ჩამოსვლამდე მთელი ჩემი ცხოვრება თავდაყირა რომ დავაყენე, ახლა კი მშვიდად ვზივარ და ღრუბლებიდან თეთრ ცხოველებს ვძერწავ...

იმ ამბების გახსენებას ისევ ღრუბლებში ცქერა მირჩევნია, მაგრამ წარსული ჭრელ კენჭებზე გადავლილი ზღვის ქაფივით რომ არ ქრება... ვერც პროვინციული კლუბის ფასადივით გადაღებავ და ვერც ლილიკოს მოდუღებული შოკოლადივით დაატკბობ. ამიტომ მომწონს სანაპიროს ქარები. ისინი დავიწყების რბილ ბურუსში მხვევენ და ამაო ქროლვით მაბრუებენ... შორს მიაქვთ გუშინდელი დღე, ცივი, თბილისური ზამთარი, მოწითალო შუქში გახვეული სტუდია, ნატურმორტები და სიყვარულის ნამსხვრევები...

ლილი კიდევ ოპტიმისტია. სჯერა, რომ მოღრუბლული, საწვიმრად გამზადებული ციდან მზე გამოანათებს. სჯერა, რომ მე და ნიკა ბედნიერები ვიქნებით. არ სჯერა, რომ სიყვარული კვდება. თან რამდენჯერმე... ნიავს პლაჟზე გამართული, დაცარიელებული ბუნგალოებიდან შემწვარი თევზის სუნი მოაქვს. "სიზმარია, ყველაფერი სიზმარია," - მღერის ვიღაც და სინამდვილეს ლილიკოსავით ამარტივებს. გაიღვიძებ და ახალ დღეს დაიწყებ...

ჯიბის ტელეფონი რეკავს.

მარიაა. მარტო მარია. ესპანელი. მიშველეო, - ხრინწიანი ხმით მეხვეწება. გიო ძალიან ცუდადაა და მოდიო. ტირის და ხმაც თითქოს უჩერდება. მეც ვჩერდები. მერე ვდგები და წასასვლელად ვემზადები. ოთახში ნიკა შემოდის, სველ თმას თეთრი პირსახოცით იმშრალებს და "რას შვებიო", მეკითხება. "თბილისში ვბრუნდები"-მეთქი. "რატომო,"- იძაბება. "გიო ავად არის და იმიტომ,"- ვპასუხობ და ჩანთაში ტანსაცმელს ვყრი. "წახვალ და ჩემთან ველარასოდეს დაბრუნდები, იცოდეო,"- ამას როცა ამბობს, ვხედავ, როგორ ულურჯდება ტუჩები...

ლილიკოს პროგნოზი მართლდება. ღრუბლებიდან მზე გამოდის და მთელი გზა წითელი, ყვითელი, ალისფერი ჩრდილები მომდევენ. თბილისში ეს ჩრდილები მუქდება, საავადმყოფოს დერეფანში - თეთრდება. პალატის შესასვლელთან მარია ზის და სქელ ტუჩებს იკვნეტს. კარების შიგნითა, თბილ მხარეს გიო წევს და მე სულგანაბული ვუსმენ როგორ უცემს გული... მე ოპტიმისტი ვარ. მჯერა, რომ გიო კარგად იქნება; რომ გიო და მარია ბედნიერები იქნებიან; რომ ზაფხულის საღამოებში სამივენი ჩემს სალონში ჩამოვჯდებით და ერთმანეთის სიჩუმეს მოვუსმენთ.

პოეზია

ვაქა ხორნაული

წარღვნამდელი სიყვარულის მოციქულები

სამყაროში პირველად ანთებული
გაზაფხულის ხალისით გაბრწყინებულ
ვარსკვლავთა სიახლოვეს,
ცისა და დედამიწის გასაყართან,
ერთმანეთს ადევნებულ რუხი ტალღებივით
გამოჩნდნენ მგლები...

თვალებში - თითქოს ნაპერწკლები,
შუბის წვერს მოწყვეტილი.

ძუნძულში - მათრახის მოქნილობა
და მოუდრეკელობა ჯილაგისა,
სიმტკიცე მგლური ბუნებისა,
ზერხემალში
გაუწყვეტელ სხივად გაყრილი.

ყმუილში - სისუფთავე სხვაგვარი,
აპრილის მზეზე მოელვარე
ყინულს რომ გაგახსენებს,
და კიდევ რაღაცა -
სიტყვებით ძნელად გადმოსაცემი,
გამკვეთი ქვისა და ფოლადისა,
არწივის მზერის შემაკრთობელი,
ჰაერისთვის ბზარების გამჩენი.

სისუსტე, რომელსაც
ლაჩრობას ვერ დაარქმევ -
შიში ყველაზე დაუნდობელი,
ყველაზე ორგული მტრის -
ადამიანისა!..

სისუსტე - ომში წასულ
შვილის დედასავით ფხიზელი,
უფსკრულის თავზე გაკიდებულ
ბაწარზე გამვლელი,
მხოლოდ სიყვარულის,
კლანჭების და
კბილების იმედით!

მგელი მგელია,
რომელიც ქვის ხანის დროინდელი
ჩრდილითა და ნაბიჯებით
მოსულა დღემდე.

ესაა მისი სიამაყე
და მისი სიმდიდრე:
წინაპრის მუხლი და ჯიგარი,
სიბრძნე -
ყმუილით და დუმილით ნათქვამი
და სოროს კუთხეში
ყველაზე თბილი
და ნათელი ადგილი მიწისა -
ოდნავ ჩაზნექილი,
წინაპრის წოლისაგან გაჩენილი.

მგელი არ მოშლის მგლობასა -
ეს უფლის სიტყვებია,
რომლებიც მერე მისმა შვილმა,
მის კალთაში დაბრძენებულმა,
უკვდავების წყაროს წვეთებივით
უბოძა ქვეყანას...

მგელი მგელია
და მუდამ სჯერა,
რომ წავარნებზე
მისი კვალი არ წაიშლება,
რომ მისი გვარის
არც ერთ თაობას
უკანასკნელი მოჰიკანი
არ ეყოლება!

იყო დრო,
წარსულის რომელიღაც მხარეში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგელი ადამიანს არ ემტერებოდა,
უღრანის სიღრმეებში
თოფის ჭექა არა სმენოდა.
"სად ელვა-ქუხილის ხმა,
სად კიდევ თოფისა...
პირველი ზეცისკენ გაგახედებს
და ღმერთს დაინახავ.
ხოლო მეორე დასახიჩრებას,
ან სიკვდილს გიქადის".

უღრანის სიღრმეების
ბინდი თბილი და აუმღვრეველი
თვალებში ედგა, როგორც ძველისძველი
სევდა სამყაროსი...

როდესაც მზიანი დღე
და კრიალა ცა დაუძახებდა,
ლეკვებთან ერთად მაღალი წიფლების
და ბერმუხების სამეფოდან გამოდიოდა,
პირმზითების სურნელებით,
სითბოთი და ფერებით ხარობდა
და ყვავილების ოქროსფერ წრეში
მოკამკამე წყალს ეწაფებოდა.

მაგრამ მას შედეგ, რაც ადამიანმა
მოკლა მგელი და ტყავი გახადა,
ბუნაგი აუწეწა და ლეკვები,
დაწიოკებული, ობლად დარჩენილი,
ტომარაში ჩაყარა გინებით,
მერე მგლის ტყავისა და
ლეკვების ფულით
ცოლს მძივი და საკაბე უყიდა,
ხოლო შვილს -
ჭოგრიტი, თოფი და ხანჯალი, -
აი, მას შემდეგ
მგლის თვალების ნათელი ბინდი
სხვა ელვით განათდა
და, უღრანიდან შურისძიების
საბედისწერო ბილიკით წამოსულს,
როგორც უშიშარი
და ბრძენი მეგზური,
სიკვდილი მოუძღოდა,
რომ ყველაზე მშიშარა და
სასტიკი მტრისთვის -
ადამიანისთვის გაეცა პასუხი:
ხან ფარეხიდან, ხან ბაკიდან,
ხან საგრილებლიდან
მოსტაცა ბატკანი,
ცხვარი თუ ჭედილა.
ეს არ იკმარა
და, თავის ძმებთან ერთად,
უღლისაგან კისერგახეხილი
ხარი წაიტაცა
და, როცა თათებზე
მისი სისხლი ეშხეფებოდა,
როცა ხარის თვალებში
მზე ქრებოდა და ცა შრებოდა,
ის მაშინ წართმეულ-აწიოკებული



ეროვნული ბიბლიოთეკა

და მერე ბაზარში გაყიდული
ლეკვების მავედრებელ
და ცრემლიან სახეებს ხედავდა.

"ბატკანი - ლეკვების წილ!
ცხვარი - ლეკვების წილ!
ჭედილა - ლეკვების წილ!
ხარი - ლეკვების წილ!"

ადამიანი უფრო აიმღვრა,
უფრო შორსსასროლი იარაღით
შეიჭრა უღრანში
და უფრო დახუნძლული
მგლის ტყავებით
და ფერმკრთალი, ობოლი ლეკვებით
არაერთხელ გამოჩნდა ბაზარში.

არც მგელმა დაუთმო -
ტყვიით ყურგახეულმა და დაკოჭლებულმა
ტკივილის ჩუგლუგებით
მოკლული სიხარული
გულის ქვესკნელში
მხოლოდ ერთხელ გაელვებული
მწარე ყმუილით გამოიტირა
და ცხენი მოუკლა,
რომელიც ცოლზე მეტად
უყვარდა კაცს,
და მერე მისი შვილი
ღორღიან ფერდობზე დაითრია
და მთელი ტანი
ჭრილობებით აუბრიალა...

"ცხენიც - ლეკვების წილ!
შვილი ვერ მოგიკალი
და ვერც საიმისოდ გავიმეტე,
რომ დათვებისა და
ტურების ბაზარზე გამეყიდა!"

როგორ გაგრძნობინებს
წუთისოფლის
სისასტიკეს და მშვენიერებას
პროფილი მგლისა,
ვარსკვლავების ფონზე დანახული!

ვით კლდის ნატეხები,
ფეხადგმულნი და ბინდისფერანი,
თვალებით
სიკვდილის ისართა მსროლელნი,
დასალიერზე მიძუნძულებენ მგლები.
მიძუნძულებენ უხმაუროდ, დაწალიკებით
და მათ სამყაროს შემოქმედი
ეჭვითა და საყვედურით
არც ახლა უყურებს.

მგელი მგელია,
ცირკი და გალია
უცხოა მისთვის.

უცხოა მგლისთვის
მელიის ხრიკები და ხლართები,
მაჩვის და ყვავის ფილოსოფია,
ლირიკა თხებისა,
ვირის ეპოსი
და თხუნელას ლოგარითმები.

და ლომის დიქტატურაც
უცხოა მისთვის...

ძაღლივით ყირაზე გაჭიმული
არ ირბენს წრეზე.

ლეკვები თვალწინ რომ მოუკლან,
თავს არ დიმციერებს
და ცას არ შეუშვერს
უკანა ფეხებს, კუდსა და უკანალს.

როგორც ჯამბაზი, ტაშის გულისთვის
ჰაერში მოქანავე თოკზე არ ისეირნებს.

მისთვის კლოუნი და მაიმუნი
ერთმანეთის საფერნი არიან,
თუმცა მაიმუნი
უფრო მშვიდი და სერიოზული,
უფრო მომთმენი, მიმტევებელი,
ფიქრიანი და სევდიანია.

როგორც ჯოჯოხეთი
სიყვარულით მოკლული გულისთვის,
როგორც სამოთხე ავაზაკისთვის, -
უცხოა მგლებისთვის,
უცხოა და სასაცილოა
ცირკი თუ გალია.

ადამიანმა მაშინაც შესცოდა,
როდესაც ხით და ქვით ნაშენები
სახლი დაიწუნა,
როდესაც მისი სავანის კედლები
რკინითა და ოქროთი დამძიმდა.
მგელს მსგავსი რამე
არასოდეს ჩაუდენია -
მისი ბუნაგი დღესაც ისეთია,
როგორიც მაშინ, სამყაროს შექმნისას,
და მისი ბეწვები
ქარაფის ნაოჭსა თუ ასკილის ეკალზე
დღესაც ისე ლამაზად ბზინავენ,
როგორც მაშინ, როდესაც ცისქვეშეთში
იბადებოდა სიკვდილ-სიცოცხლის
პირველი ლოცვები და საგალობლები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც პირველი დარდი და სიხარული
ნისლის სამოსიან მგზავრებივით
გამოჩნდნენ საწუთროში...

მამაზეციერს მგლების მიზეზით
სადარდებელი არასოდეს მომატებია,
არც მოემატება.
სამაგიეროდ, ორფეხა ნადირების
გამო იტანჯება...

მგელს უფლის ვენახებში
ერთი ვაზიც არ წაუქცევია,
ერთი ნაკადულიც არ აუმღვრევია.
ორფეხა ნადირებმა აჩეხეს,
ორფეხა ნადირებმა მოწამლეს,
ორფეხა ნადირებმა შეუნთეს ცეცხლი
ვენახებს უფლისას...

მგელს ურჩევნია, რომ ხაფანგმა
ძვლები დაუმსხვრიოს
ფოლადის კბილებით.
მგელს ურჩევნია, ტყვია დაახალონ,
ვიდრე თუნდაც ერთი წუთით
ატაროს ნიღაბი...

მგლის სახე ნიღაბს ვერ მოირგებს,
როგორც მზე და ყვავილი,
როგორც მდინარე და ელვა,
როგორც სიყვარულის სიმღერა.

უფალი უყურებს მგლებს
და თვალწინ უდგას
სურათი განსაცვიფრებელი,
მდუმარე უსასრულობაში
სიცოცხლის შექმნისა...

"ესენი მაშინაც ასე დადიოდნენ -
უხმაუროდ, დაწალიკებით
და მაშინდელი,
მზის პირველი ამოსვლისას
შობილი ნათება,
თუ მზის პირველი ჩაბრძანებისას
შობილი ჩრდილი
არ გახუნებულა მათ გამოხედვაში.

რა მშვენიერი ჟამი იყო,
რა დღესასწაული...

დაუსრულებელი დაბადების
სიხარული ისმოდა სივრცეებში.

ესენი მაშინაც ასე დადიოდნენ,
ასე ყნოსავდნენ მიწას და ჰაერს,
ასე კითხულობდნენ
თოვლისა და წვიმის ნაკვალევზე
სიბრძნეს ცისას და დედამიწისას".

როდესაც დაღლილობის
რბილი აბლაბუდა
ნაბიჯებს შეანელებს,
საკუთარ ჩრდილებს დაიფენენ
მიწაზე ნაბდებად,
შეისვენებენ და მერე ისევ,
როგორც წვეთები ზეხმელის ტოტზე,
მიდიან ერთმანეთის იმედით
და რაღაცას -
ძალიან შორეულს,
და რაღაცას -
ძალიან მშობლიურს,
სიცოცხლესავით
ერთადერთს და აუცილებელს,
მაგრამ ჩვენგან
დიდი ხნის დაკარგულს,
გვაგრძნობინებენ მგლები -
ბუნების ყველაზე უცნაური,
ყველაზე თავისწვერა,
ჯიუტი შვილები,
შეუდარებელი
მზვერავები და პარტიზანები,
სისხლის აღების დიდოსტატები,
ხევსურის ფარივით პირქუშნი და ბინდისფერანი,
წარღვნამდელი სალოცავებიდან
გამოყოლილი
სიყვარულის მოციქულები.

პოეზია
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზეინაბ სარაძე

* * *

ვსაუზმობთ.
მიყვება ჩემი ქალიშვილი
წუხანდელ სიზმარს:
სადღაც მეჯლისზე ყოფილა თურმე
და მათრობელა მუსიკის ფონზე
მშვენიერ პრინცთან ცეკვავდა დიდხანს,
ძალიან დიდხანს, გაღვიძებამდე.

ვუსმენ და მიკვირს:
ნუთუ
დეზოქსირრიბონუკლეომჟავით
სიზმარიც გადადის დედიდან შვილზე?

* * *

სწორედ იმიტომ,
დიაღ, დიაღ, სწორედ იმიტომ,
რომ სინათლეზე სწრაფად მოძრაობს,
ის მეცხადება მხოლოდ გუშინ,
მხოლოდ წარსულში,
როცა დღეს ვუხმობ.



* * *

სანაპიროზე მივდივარ ტაქსით.
და გამოენთო მანქანისკენ,
არ ვიცი, მტრედი, არ ვიცი, გვრიტი.
და შეენარცხა მანქანის კაპოტს.
და განუტევა, ცხადია, სული.
მძღოლი შეწუხდა, შეწუხდა ერთობ.
დაამუხრუჭა მანქანა
და მწუხარებით ჩაკიდა თავი.
- გზა გააგრძელეთ... გულწრფელად გეტყვით:
მე ამ ჩიტის შემშურდა კიდეც.
დიახ, შემშურდა, თან იცით, როგორ?!

* * *

და ბოლოს მითხარ: მივდივარ! გტოვებ!
და გასაღები ისროლე ჩემკენ.
და გასაღები მოხვდა სამელნეს.
და დაითხია მელანი ივი,
იგივ ნაღველი.
(ნახე რუსთველი, ნესტანის წიგნი.)
მეც წიგნსა ვწერდი სათაურად
„ცხოვრება ჩემი“.
და შავმა სითხემ გადაფარა
მთლიანად ტექსტი.
მხოლოდ აქა-იქ იკითხება კიდევ რაღაცა:
აქ „ოცდაშვიდი თებერვალი“,
იქ „შვიდი მარტი“,
„მთა“ და „ბილიკი“, სადღაც „ივლისი“,
„ყანა“, „ტბისპირი“,
ეტყობა, წელი: „1“, „9“, „7“, და კიდევ „7“,
„სტალაქტიდები“...
სხვა არაფერი... სხვა არაფერი...

* * *

ამ გულსაბნევს კი ვეღარ გაჩუქებ.
უნდა მომიტევო, ელენ!
ხედავ ქარვაში ჩაყოლილ
უმწეოდ ფრთებგაშლილ მწერუკას?
ის ჩემს პირველსა და,
როგორც აღმოჩნდა,
უკანასკნელ სიყვარულს მაგონებს.

* * *

ხმებზე, რომლითაც შენ მე მაღვიძებ,
ნაღდად არ ითქმის
არც ჭიკჭიკი და არც გალობა.
შენ დეკლამირებ
ჩემთვის სრულიად უცხო ენაზე.
იქნებ ჩინურზე?
ეი, მომხედე!
გარდასახული ხომ არა ხარ იუან-მინი
ან ლი იუი ან ვან ძიანი?

კარგი, პატარავ, ნუ გამიწყრები.
მე გავჩუმდები, შენ იხმიანე.

* * *

არა, ეს ლექსები არაა.
მე უფრო პოეტურ მაქსიმას ვიტყოდი,
ან, გნებავთ - მინიმალიას.
ან იქნებ სულაც ნაფოტა მერჩიოს...
ოღონდ აქ თევზი არაფერ შუაშია.
უფრო - დიახ, დიახ - ქართული ფოლკლორი:
„წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა
ალვის ხის ჩამონათალი...“

* * *

მინდა იცნობდეთ! ტიან ტიენი -
ჩემი მეზობელი კარის
(გამოგიტყდები, ზუსტად არ ვიცი,
სადა ბინადრობს: სახლის წინ ხეზე,
სახურავზე, თუ რომელიმე აივანზე).
დიახ, მეზობელი და
მეზობელზე უფრო მეტი:
ჩემი რაინდი, ჩემი ფალავანი,
რომელიც უკვე მერამდენედ
პაწია ფრთებით და
კიდევ რაღაც სამიოდ ნოტით
ამარცხებს წყვდიადს
და იმის სუიციდურ
მდუმარებას.

* * *

გამომაღვიძა ელვამ ცნობისამ -
შინ ბრუნდები!
ვიქეცი სმენად - მართლაც ასეა:
შენი მანქანა მოდის ქუჩაში.
იმ წამს მუსიკა აიჭრა ცაში
უცხო დუეტის -
მანქანის ძრავის და ქალის გულის* -
შესრულებით.

** სიტყვის გურმანებს დიდი ბოდიში ბანალობისთვის: ძრავა და გული.*

* * *

შენც ვერ მიცანი. რა საწყენია!
უბრალოდ, იცი, მოხდა შემდეგი:
დიდმა მაესტრომ დასარწმუნებლად,
რომ გამაოგნებლად ლამაზი
სწორედ ყვავილია,
ამ უკანასკნელს,
ნაცვლად სიფრიფანა ფაიფურისა,
ბინა მიუჩინა
თიხის ტლანქსა და უხეშ ჭურჭელში.







ბესო ხვედელიძე

სოფელი პატივა



ეს წერილი შიომ მომიტანა, ჩვენმა თანაკურსელმა, ბაბუინაშვილმა. მისთვის ვიღაც ყრუმუნჯ ფოსტალიონს გადაუცია, რომელიც იმ დიდი მიწისძვრისას თავისი სოფლიდან ერთადერთი გადარჩენილა. ეგ მიწისძვრა კარგად უნდა გახსოვდეთ - კავკასიონის ერთი მონაკვეთი ყირაზე რომ დააყენა და ნახევარზე მეტი იქაური სოფლები მიწაში ჩაიტანა, თან ისე, რომ ამბის ჩამომტანი თითო-ოროლა თუ დატოვა. შიომ მითხრა - წერილი არ წამიკითხავს, მაგისთვის არ მეცხელა, მით უმეტეს, რომ შენთვისაა განკუთვნილი, ზედ შენი სახელ-გვარი აწერია, ჩვენი საცოდავი კოკას მოწერილი უნდა იყოს, მეტი იმ სოფელში აქედან ასული მე არავინ მინახავს, თან იქამდე ჩემთან გაჩერდა და მე გავაცილეო. იმ დროს ამ წერილის კითხვის თავი ნაღდად არ მქონდა - ყოველდღე მიწისძვრით დაზარალებულები ჩამოჰყავდათ და გადატენილი იყო სააავადმყოფო ბოლომდე: სულ გმინვა და კვნესა მედგა ყურში. როგორც ჯანდაცვის განყოფილების ჩინოსან მოხელეს, დილიდან შუაღამემდე იქ ტრიალი მიწევდა და მოსვენების დრო წამით არ მრჩებოდა. სადღაც ორი კვირის თავზე, ყველაფერი რომ მეტ-ნაკლებად ჩაწყნარდა, მოვიცალე - ერთ ჩვეულებრივ საღამოსაც, სახლში ადრიანად მისულმა გაჭუჭყიანებული კონვერტი გავხსენი, სავარძელში მოვკალათდი, ფურცლების დასტა ამოვიღე და კითხვას შევუდექი.

* * *

ძმაო სოსო, ამ წერილს სოფელ პატივადან გწერ, სადაც ამ ერთი თვის წინ, იმ დაწყევლილი საერთაშორისო ჰუმანიტარული პროგრამით გამანაწილა თქვენმა ჯანდაცვის განყოფილებამ. მინდა წინდაწინ გაგაფრთხილო, შეიძლება მეტად აბურდული და გაუგებარი გეჩვენოს ნაწერი, მაგრამ გთხოვ - მაპატიე. ვეცდები მოკლედ ჩამოვყალიბდე, რაც ალბათ ძალიან გამიჭირდება, რადგან დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერს, რაც ჩემს თავსა და გარშემო ხდება, ზუსტ დიაგნოზს დაუსვამ და რამეთი მაინც შემეშველები, თორემ აღარ ვიცი რა წყალში გადავვარდე. აქამდე, ეგრე მიყრილად არაფერი მიწერია. რაც კი თავში მომდის, ყველაფერს დაუფიქრებლად ვყრი ფურცელზე. მოკლედ, შენგან ველი შველას, ჩემო ძმაო... ისე, არ დაგიმალავ და ამ ბოლო დროს, რატომღაც, სულ შენ მახსენდებოდი. შეიძლება არ დამიჯერო და, სიზმარშიც კი განახე... თეთრ ხალათში იდექი, მიყურებდი და თვალს არ ახამხამებდი. ისეთი სახე გქონდა, თითქოს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა მეთქვა შენთვის... თან ეს სიზმარი სამჯერ ვნახე და სამივეჯერ ზუსტად ერთნაირად!.. სულშეგუბებულს მეღვიძებოდა. მერე, მთელი დღეები ვფიქრობდი - ნიშანია-მეთქი. შეიძლება ეგრეცაა... რამდენი ხანია, არ მინახიხარ ისე... ჰოდა, ჩვენი ძველი ახლობლობის ამბავი ერთი და, მეორეც - შენნაირი პროფესიონალი არც კი მეგულება ნაცნობ კოლეგებში. ბევრი რომ არ გამიგრძელდეს, მინდა გითხრა - გასაოცარ ადგილას მოვხვდი. ბუნებაზე და მისთანებზე აბა რა ვთქვა, რა აღარ გვინახავს, აი აქაურმა ხალხმა და მათი ყოფაცხოვრების წესმა კი შოკში ჩამაგდო - ეგაა ყველაფრის თავი და თავი და ამ წერილის დაწერის უპირველესი მიზეზი... მსგავსს, ჩვენკენ, დედაქალაქში, ვერავის შეხვდები და ვერც გაიგებ... და განა მარტო ჩვენკენ? სად არ ვარ ნათრევი, ხომ კარგად იცი, მაგრამ - ეს მაინც სულ სხვა ჟანრია... მოკლედ, რაღაც ავანგარდული კინოს მსგავსში გავეჩხირე და ნუგეშად შენღა მყავხარ დარჩენილი. იმედია, რამეს მი-

ჩალიჩებ და გადამარჩენ, თორემ კონტრაქტის ვადა სექტემბერში იწურება, იქამდე კი მთელი ხუთი თვეა დარჩენილი. მთელი ხუთი თვე! რა მეშველება, სოსო, არც კი ვიცი... სულ რაღაც ერთი კვირაა ჩემი აქ ჩამოსვლიდან გასული და უკვე გაძლებაზე ვარ, ნემსებზე ვზივარ, თმები ყალყზე მიდგას, ასე მგონია ცოტაც და ჭკუიდან გადავალ... სხვანაირად ვერც იქნება. ასეთი რამ, ჩემო სოსო, არათუ მინახავს, ვერც კი წარმოვიდგენდი ბუნებაში თუკი არსებობდა. მოკლედ, მეტად უცნაურ ისტორიაში გავეხვიე, ჩემო ძმაო - ისე, ამხელა წერილს რა მომაწერინებდა, არც დამიწერია არასდროს. მობილური ტელეფონების მიმართ ხომ კარგად გახსოვს ჩემი დამოკიდებულება - არ მქონია არასდროს, და აწი ხომ საერთოდ აღარ მექნება. რომ მქონოდა, კი შემეძლო ყველაფერი ტელეფონითაც მეთქვა, მაგრამ იმდენია მოსაყოლი, იმდენი, არც კი ვიცი რომელი მობილური აიტანს ამხელა ხარჯს, ამიტომ ასე ჯობს. ისე, კი არის აქედან დარეკვის საშუალება, მაგრამ შენი ამბავი ხომ ვიცი - უცხო ნომერს რა აგაღებინებს და თან კიდევ აქაურების არაფერი მინდა, მით უმეტეს მობილური ტელეფონი. ვარჩევ ყველაფერი დაწვრილებით მოგწერო და პასუხს დაველოდო, აქედან მაინც ფეხს ვერ გამოვადგამ, ისეთი სიტუაციაა. ვეცდები არაფერი გამომრჩეს, სინტაქსს და მისთანებს მაინცდამაინც ნუ მიაქცევ ყურადღებას. გახსოვს ალბათ, კალმით ხელში არასდროს ვბრწყინავდი. წერილს ფოსტალიონს ვატან, რომელიც ყველა უცნაურობასთან ერთად ყრუ-მუნჯიცაა და არც კი ვიცი, მოაღწევს თუ არა შენამდე ამხელა უსტარი. იმედი მაქვს, რომ - კი. ჰოდა, თუ - კი, მაშინ გაგახარებს ღმერთი, იქნებ მოიფიქრო რამე, თორემ აღარ ვიცი რა პასუხი გავცე იმ კითხვებს, რომლებიც აქაურობის გადამკიდე, წამით არ მასვენებენ.

სოფლის სახელიდან დავიწყებ. ვიდრე ჩავიდოდი, უფრო კი - ავიდოდი, სოფლის სახელწოდებით დავინტერესდი და მისი წარმომავლობის გარკვევას შევეცადე, მაგრამ ბევრი არაფერი გამომივიდა, რადგანაც სამიდან მხოლოდ ერთ ენციკლოპედიაში გადავაწყდი მეტად მწირ და ცოტა არ იყოს უცნაურ ცნობას სოფელ პატივას შესახებ: გეოგრაფიული მდებარეობა, მლაშე ტბა, რომლის პირასაც გაშლილია სოფელი, მოსახლეობის აღწერა, ისიც 1979 წლის მონაცემებით, მოქმედი ტრანსმაგისტრალური ბიო-კოსმოსური ანძა (ამ ანძაზეც ვერანაირი ინფორმაცია ვერ მოვიძიე - რაღაც გასაიდუმლოებული ამბავია) და კიდევ ერთი უცნაური რამ: იმ ენციკლოპედიაში სოფელი პატივა, გეოგრაფიულად, მსოფლიოს ცენტრად თუ ჭიპადაა მოხსენიებული, ანუ თურმე სოფელი პატივა დედამიწის ზუსტად შუაგულ წერტილს წარმოადგენს. არ ვიცი, იმ ენციკლოპედიის შემდგენლებმა ეგეთი რა მონაცემებით იხელმძღვანელეს, მაგრამ ეგრე რომ ეწერა - ფაქტია. იქნებ მაგის ბრალიცაა ყველაფერი, რაც აქ ხდება. არ ვიცი, ჩემო სოსო - რაც არ ვიცი, მართლა არ ვიცი. მოკლედ, ხელი ჩავიქნიე და გადავწყვიტე, ასვლისთანავე გამერკვია მინიმუმ სოფლის სახელწოდების წარმომავლობა მაინც. ერთს კი გეტყვი - სოფელი პატივა სამი ათასი მეტრის ზეგანზეა გაშლილი და გარდა გაოხრებული ძველისძველი გზისა, რომელსაც გზის აღარაფერი სცხია და ერთადერთი საცალფეხო ბილიკისა, იქამდე არაფერი ადის.

მძღოლმა "ვილისით" ქვედა სოფელში დამტოვა, მედ-პუნქტში, სადაც, ასევე ამ პროგრამით, ჩვენი შიო დამხვდა განაწილებული. შიო ხომ გახსოვს, ბაბუინაშვილი? უნდა გენახა, რა გაუხარდა, რომ დამინახა... გაგიჟდა-გადაირია, კარგად მიმიღო, სუფრაც დიდებული გამიშალა. სხვათა შორის, მშვენივრადაა მოწყობილი. ერთია - საკმაოდ შეჭაღარავებულა, თორემ ისე არა უშავს: ადრინდელივით გაბანჯგვლული, ახმახი და უზარმაზარია, ანუ ისევ ნამდვილი "ბაბუინია". ძველებურად ჩავუფინეთ, გავიხსენეთ ამბები, რამეები... რას არ გადავწვდით. თავისთან გამათევინა ღამე, საღამო იყო და პატივასკენ დაძვრას იმ ღამე-ბნელში აზრი არ ჰქონდა - სადმე ჩავიჩეხებოდი. ჰოდა, მეც სუფრაზევე დავიწყე პატივას შესახებ ცნობების შეგროვება, მით უმეტეს, რომ შიოს გარდა სუფრაზე ორნიც იყვნენ, ადგილობრივები.

- იშვიათ ადგილას ადიხარ, ძმაო! - მითხრა იქვე ერთ-ერთმა და თვალი თვალში გამიყარა. - გაფრთხილდი... მეტს ვერას გეტყვი...

- ჩვენებურს იქ არ აუდგამს ფეხი, რაც ის ეშმაკობა დაირჭეს. არც იქიდან ჩამოსული გვინახავს ვინმე... ხმა დადის, არა ვჭირდებით ეგეთებიო... ერთი ფოსტა-კოსტალიონი დაძვრება თვეში ერთხელ, მაგრამ რას გეტყვის - ბავშვობიდან ყრუ-მუნჯადაა... - მითხრა მეორემ და ღვინო ჩამოასხა.

ცოტა არ იყოს, დავიზაფრე, ჩემო სოსო.

უფრო წვრილადაც ვცადე გამომეკითხა სოფელ პატივას შესახებ, მაგრამ შევატყე, მაინცდამაინც არ ეხალისებოდათ ამ თემაზე საუბარი. მერე მითხრა შიომ, ამათ ძალიან ნუ დაუგდებ ყურს, ეგრე იციან აქ ყველაფრის გაზვიადებაო. მაინც ვერ მოვისვენე. საბოლოოდ, იმ მწირ და ბუნდოვან ცნობებს, რაც ხელთ მქონდა, დაემატა ის, რომ - სოფელ პატივაში ტელეგრაფი და ელექტროგაყვანილობა არ არსებობს, რადგან თავის დროზე არ აუყვანიათ; წყლის პრობლემას სოფლის წყარო წყვეტს? ძირითადად მისდევენ მეძროხეობას; ამ ათიოდე წლის წინ, ძველი ეკლესიის ნანგრევების ადგილას ტრანსმაგისტრალური ბიო-კოსმოსური ანძის დარჭობას სოფელში დიდი ვნებათაღელვა გამოუწვევია: - რადიაციული დასხივების საშიშროების წინაშე დამდგარი სოფლის მოსახლეობა სახელმწიფოს იმით დაუშომშინებია, რომ ყველასთვის უფასო და განუსაზღვრელკრედიტიანი მობილური ტელეფონები დაურიგებია და ამით ჩაუჩუმებია. ერთს ვერ მივხვდი - მობილურებს რითი ტენიდნენ იმ უდენობაში, მაგრამ შიომ ამიხსნა: იმ ანძას ისეთი სიმძლავრის გამოსხივება აქვს, მობილური აპარატები საერთოდ არ ჯდებაო. არ გინდა დაივჯერო? ეგ კი არა, როგორც ამბობენ, სახლებში ნათურები იმავე გამოსხივების გამო მუდამ ანთებულია, ანუ უშუქობა, როგორც ასეთი, მეტად უცხო რამაა სოფლისთვისო. ნამდვილ სიგიჟეს ჰგავდა ეს ყველაფერი, ჩემო სოსო, მეტი რა დავარქვა, მაგრამ ჩავედი და ჩემდა პირის დასაღებად წმინდა წყლის სიმართლე კი აღმოჩნდა. სახელის წარმომავლობას რაც შეეხება, როგორც იმ ორი ადგილობრივიდან ერთ-ერთმა გამიმხილა - პაპაჩემისგან ვიცი, ადრე დიდის პატივით იცოდნენ სტუმრის დახვედრა პატივაში და სახელიც იქიდან მოდისო.

- ეგ ადრე იყო... ძალიან ადრე... - შეუსწორა მეორემ და თავისთვის ჩაიფხუკურა.

მოკლედ, ძმაო სოსო, რაღაც უხეიროს კი მიგრძნობდა გული, მაგრამ იმას ნამდვილად არ ველოდი, რაც იქ დამხვდა. ყველაფერს დაწვრილებით გიყვები, ხომ ხვდები. ასეთები ცხოვრებაში ძალიან იშვიათად ხდება, და ისიც შეიძლება სულ არ მოხდეს, მაგრამ რაღა მე უნდა დამმართნოდა, რა შევცოდე ეგეთი, ეგ არ მესმის.

ის ღამე როგორც იქნა გადავაგორეთ მე და შიომ. ის ორნი, ადგილობრივები, ადრევე გაგვეცალნენ. მალე კი დათვრნენ და ვიფიქრე, რა-მეს კიდევ დავაყაჭინებ სოფელ პატივაზე-მეთქი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. როგორც კი ამ თემას მივადგებოდი, თითქოსდა ირცხვენდნენ, ულვაშებში ეღიმებოდათ და კრინტს არ ძრავდნენ, მე და შიო კიდევ, ლამის გათენებამდე ვისხედით და რა აღარ გავიხსენეთ - ინსტიტუტის ამბები, აქეთურ-იქითური. შენც გადმოგწვდით. სოფელ პატივაზე შიომაც ბევრი არაფერი იცოდა. ერთი კი თქვა: მე რაც გამიგონია, ერთი მიგდებული, მივიწყებული და უპატრონო სოფელია, კონტაქტი თითქმის აღარ აქვთ ბართან და არავინ იცის იქ რა ხდება დაზუსტებითო; ერთადერთი, თვეში ერთხელ სამხედრო ვერტმფრენი ჩადის ანძის შესამოწმებლად და იმავე დღეს უკან ბრუნდებაო- ესეც იმდენად გასაიდუმლოებული ამბავია, არავინ იცის ის ანძა საერთოდ რა ჯანდაბადაა იქ დარჭობილი და რას ემსახურებაო. აღარ ჩავეძიე, თუმცა კი, დილაუთენიას, ჩემს უზარმაზარ ზურგჩანთაში, სადღაც ფსკერისკენ ჩაჩურთული გაზის პისტოლეტი, ყოველი შემთხვევისთვის, მაინც ზედაპირზე მოვაქციე. წინასწარ გეტყვი, ჩემო სოსო, პისტოლეტი სოფელ პატივაში ჯერჯერობით არაფერში დამჭირვებია, რადგანაც საამისო საბაბი არავის და არაფერს მოუცია, მაგრამ რა ვიცი, ყველაფერი ხდება და ისეთ მდგომარეობაში ვარ, მთლად თავის მოსაკლავად არ გამოვიყენო, იმას ვშიშობ.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, შიომ დილაადრიან სოფლის ბოლომდე გამაცილა. პატივასკენ მიმავალი ძველი გზით ასვლას აზრი არ ჰქონდა, ვინაიდან ლოდების უზარმაზარი ნატეხებით იყო გადახერგილი. მის პარალელურად მიმავალი მეორე გზა კი სოფლის ბოლოსკენ ვიწროვდებოდა, ბილიკდებოდა, განზე უხვევდა და კაი ძნელი აღმართი იწყებოდა. სწორედ მას დავადექი ჩემი ზურგჩანთიანად.

ყველაზე მეტად ერთი საჩუქრით გამახარა შიომ და ფაქტობრივად, წელში გაწყვეტასაც გადამარჩინა - გორგოლაჭებიანი და თოკიანი ხის დაფა იყო, რომელზეც ჩემი ზურგჩანთა დამიმაგრა (ზურგით ამხელა ჩანთას იმ აღმართზე რა აიტანდა, არც კი ვიცი. მთელი ხუთკილომეტრიანი, მიხლართული, კლდოვანი ბილიკი ფეხით იყო ასავლელი) და გზა დამილოცა. მერე გემრიელადაც ჩავეხუტეთ ერთმანეთს, მშვიდობა ვუსურვეთ და ეგრეც დავშორდით. მე თოკის ბოლო მარჯვენა მუჭზე დავიხვიე და

ასე თრევა-თრევით ავუყევი აღმართს.

გზაში საინტერესო არაფერი მომხდარა. ერთადერთი, რაც უფრო ზემოთ მივიწევდი, ბუნება მით მეტად იცვლიდა იერს. თავიდან არაფერი შემეჩხერებულა - არც ხე, არც ბუჩქი, უბრალოდ ფერებმა იწყო ცვლა. ჯერ დაღლილობას მივაწერე - სიმწვანე სილურჯეში გადადიოდა, წითელს კი თითქოს ცეცხლი ეკიდა, ისე კვასკვასებდა, მაგრამ მერე და მერე, მივხვდი, რომ დაღლა კი არა, სიმაღლე, წნევა და კლიმატი ყველაფერს თავის შეფერილობას აძლევდა. ნახევარი გზა არ მქონდა ავლილი, ქვედა სოფელი, სადაც ჩვენი შიო დავტოვე, საერთოდაც ნისლმა გადაფარა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ღრუბლებს ზემოთ ვიდექი, ცაში. აღარ დავწვრილმანდები - სად შევისვენე და როგორ წავიხემსე. სადღაც საღამოსკენ, ხუთი იქნებოდა შესრულებული, როგორც იქნა ვუწიე ზეგანს და ამოსასუნთქად, სულ მთლად გალუმპული, ლოდის ნატეხზე ჩამოვჯექი. დაღლილობისგან თვალებში იასამნისფერი რგოლები დამიდიოდა. პირი მიშრებოდა. სმენადახშულს ყურებში რაღაც უცნაური ბუბუნი მედგა. მერეღა მივხვდი, ეს ბუბუნი კი არა, ზუზუნი იყო. უფრო სწორად კი ბზუილი - წარმოიდგინე ერთდროულად უამრავი ბუზის ბზუილისმაგვარი ხმა. ქანცგაწყვეტილი ხშირ-ხშირად ვსუნთქავდი და ფიქრის თავი აღარ მქონდა. ცოტა რომ მოვსულიერდი, ჩანთა ფეხებთან მოვიგორე, იქიდან ჩემი სამხედრო დურბინდი ამოვიღე, მოვიმარჯვე და სოფელს გავხედე.

ერთი შეხედვით არა უჭირდა: სახლები ერთმანეთისგან შორიშორ იდგა. ხეები საერთოდ არ ჩანდა - უფრო ბუჩქი და ეკალ-ბარდი ჭარბობდა, ეს ბზუილი კი მაინც მესმოდა. მერე ხალხიც დავინახე - დიდ მდელოზე, ნაირფერი ძროხების ჯოგთან შეგროვილები და ისიც მხოლოდ მამაკაცები. ისე იყვნენ გახევებული, თითქოს რაღაცას ელოდნენ, ან ყურს უგდებდნენ, თან ხელში რაღაც ერთნაირი ფორმის საგნები ეჭირათ, მაგრამ ვერ გავარჩიე რა (მერე გავიგე, რომ ეს საგნები - მოკლე ნიჩბები, ანუ, ასე ვთქვათ, ხელის "ლაფატკები" იყო). სოფლის მეორე მხარეს უზარმაზარი ანძა იყო აღმართული, ჩემო სოსო. ფორმით ეიფელის კოშკს წაგავდა, თუმცა კი შორიდან კიდევ უფრო მაღალი ჩანდა. აი, იქაურმა ცამ და ტბამ კი მართლა მომნუსხა, უფრო კი - მათმა მჭახე შეფერილობამ. მსგავსი სილურჯის ცას, ჩემო სოსო, ვერც კი წარმოვიდგენდი ოდესმე თუ ვნახავდი და არც ასეთი სიმწვანის ტბის არსებობას დავიჯერებდი. კაი ხანს მიდამოს თვალიერებაში ვიყავი - ვტკბებოდი და ვისვენებდი, ამხელა აღმართის ამოვლა მართლაც არ იყო ადვილი. მერე, უცებ შევნიშნე, რომ შემამჩნიეს (მოტიტვლებულ გორაკზე ვიჯექი და ალბათ ყველა მხრიდან ვჩანდი), რადგან სოფელში სხვანაირი მისვლა-მოსვლა, რაღაც გაუთავებელი წკრიალის ხმა და ფაცი-ფუცი ატყდა. ტყის პირას შეგროვილებიც აფორიაქდნენ. ყველა ჩემკენ იჩრდილავდა შუბლს. მივხვდი, უხერხულობა შემქონდა სოფლის ცხოვრებაში, ამიტომ ბევრი არც მიფიქრია - გორგოლაჭებიან დაფაზე გამობმულ თოკს ხელი მოვავლე და ნელი ნაბიჯით დავეშვი სოფლისკენ.

გზად სულ ჩირგვები და ლოდების მოზრდილი ნატეხები მხვდებოდა და პირველ დიდ უცნაურობას სწორედ აქ ვეზიარე, ჩემო სოსო. პირდაპირ გეტყვი, ეს იყო მეტად უსიამო სუნი, რომელიც, რაც უფრო ვუახლოვდებოდი სოფელს, იმ ზემოთნახსენებ ბზუილთან ერთად, მით უფრო მძაფრდებოდა. საზოგადოებრივ საპირფარეშოში ალბათ ყოფილხარ, ჩემო სოსო და იქაური სიმყრალეც უნდა გახსოვდეს. პირდაპირ გეტყვი, მიახლოებით მსგავსი სურნელი იდგა ირგვლივ, ყველგან. ჰაერიც და მიწაც ამ სუნით ყარდა. დაუმატე ამ ყველაფერს ის ბზუილი. ცხვირზე თითები მოვიჭირე, მაგრამ რას ვუშველიდი - თითქოს კანითაც კი ვგრძნობდი ამ საზიზღარ და აუტანელ სუნს, ხოლო ბზუილი ხომ მესმოდა და მესმოდა. ვერაფრით მივხვდი, რა ხდებოდა, თუმცა დაღმართი კი მაინც იოლად ჩავიარე და გავივაკე.

აქ კიდევ უფრო საშინელი, ამაზრზენი ყროლი და ხმაური იდგა; ანდა რომელი ყროლი... რაღა დავმალო და პირდაპირ გეტყვი - განავლისა და ოფლის სუნით იყო, ჩემო სოსო, იქაურობა აქოთებული. ერთი პირობა ვიფიქრე, ვგიჟდები-მეთქი, მაგრამ არა - სიგიჟე აქ არაფერ შუაში იყო: ყველგან, ირგვლივ, მსგავსი სუნი ტრიალებდა და რაც უფრო ვუახლოვდებოდი სოფელს, მით უფრო მძაფრდებოდა. და მაინც, ჩემო სოსო, ხომ იცი, რა უბედურ-ამაზრზენი არსებაა ადამიანი - გაჭირვება ანახე და რას არ შეეჩვევა და შეეგუება. ჰოდა, მინდა გითხრა, მეც მეტად იოლად დამემართა ზუსტად იგივე. წარმოიდგინე, ლამის გუ-

პროზა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლისრევამდე ვიყავი მისული, რომ ჩემდა გასაოცრად, იმის მაგივრად წამოეზიდებინა, ცუდად გავმხდარიყავი, ან რამე ეგეთი დამმართნოდა - პირიქით: ძალიან უცნაურად, უცებვე გადამიარა ყველაფერმა, ანუ ამ საზიზღარი ჰაერის ამდენი ხნის სუნთქვამ თავისი ქნა და მეც ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყე ამ სისაძაგლესთან შეგუება, თუმცა, ვაი ამ შეგუებას.

სოფლის შესასვლელთან მისულს, ჩემო სოსო, სადაც ის სუნი და ბზუილი რაღაც აუტანელი სიმძაფრით იდგა, ლამის მთელი სოფელი შემომეგება. კაცები, ქალები, ბავშვები, მოხუცები, ყველანი იქ იყვნენ, ასე ასსამოცდაათამდე ადამიანი, და ყველას ხელში მობილური ტელეფონი ეჭირა - ეგრე იყო, არ ვამეტებ არაფერს. მაშინვე შევამჩნიე, მეტად უნდო მზერით მიყურებდნენ (ეგ არ გამომეპარება, ხომ იცი, რა ჩათლახიც ვარ), თითქოს რაღაც ავი და ვერაგიც დაუდიოდათ თვალებში, ანდა რა გასაკვირი იყო, - როგორც მერე გავარკვიე, მართლაც ლამის პირველი უცხო ქვეითი ადამიანი ვიყავი, ვისაც იქ ბოლო ხუთწლეულში, ანძის დარჭობის შემდეგ აეედგა ფეხი. რა ჯანდაბა უნდა მექნა - ნაძალადევი ღიმილით მივუახლოვდი, ჩემო სოსო, მივესალმე, კაცებს ხელი ჩამოვართვი და რაც შეიძლებოდა თავაზიანად წარვუდგინე თავი. მინდა გითხრა, ყველანი ერთი-მეორეზე უარესად ყარდნენ, ყარდნენ ერთი, და ძროხებს რომ ბუზები ესევიან ხოლმე, ზუსტად ასევე, მრავლად ეხვიენ მათაც ბუზები, თან საშინელზე საშინელი სუნი ასდიოდათ, მაგრამ რა გაეწყობოდა - თავს მოვერიე, დავძლიე ზიზღი და არაფერი შევიმჩნიე. პირიქით, სახეზე უდარდელი ღიმილიც კი გადავიჭიმე. მაინც მეტნი იყვნენ და ეგეთ ადგილებში, როგორც გადმოცემით ვიცი, ძალა ყოველთვის ხნავს აღმართს - დაღმართზე ხომ სულ აღარაა საუბარი. ხმა არ გაუღიათ, ისე შემომარტყეს ფართო წრე და კაი ხანს იმ ამაზრზენი ბზუილის თანხლებით მათვალიერეს. დაძაბულობა რომ განმემუხტა, ვცადე ორ სიტყვაში (უფრო კი ალბათ ორმოცში) ამეხსნა სოფელ პატივაში ჩემი ეგზომ მოულოდნელი ვიზიტის მიზეზი. არ დამზარებია, უცებვე განმეორებით წარვუდგინე თავი - გავეცანი უფრო წვრილად, მოვყევი ვინ ვიყავი, საიდან, რატომ, რა მეკისრა და დღეის იქით რა მევალებოდა. თავიდან, კარგად ვერ (კარგად კი არა, საერთოდ ვერ) გაიგეს ვერაფერი, ჩემო სოსო. მუნჯად იდგნენ და არ ტოკდებოდნენ. კიდევ უფრო რომ დავწვრილმანდი, მთლად სიტყვებად ვიქეცი და დეტალებში გავუმეორე ყველაფერი, ჩემდა მოულოდნელად მობილურები მოიმარჯვეს, ერთმანეთთან რეკვა (მიუხედავდა იმისა, რომ გვერდიგვერდ იდგნენ) და ტელეფონებში ჩურჩული ატეხეს. პირველად აქ გავოგნდი. პირი ღიად დამრჩა, მაგრამ ამით რას შევცვლიდი. განცვიფრებამ რომ გადამიარა, მივხვდი, რომ წვალებით (თუმცა კი ძალიან მძიმედ) წვდებოდნენ ჩემი ნათქვამის არსს. კაი ხანს ებუტბუტებოდნენ ერთმანეთს ტელეფონებით, მერე კი, უცებ, ანძის მხრიდან რაღაც უცნაური, მოგუდული ხმა გაისმა (გონგივით) და უნდა გენახა, ჩემო სოსო, როგორ გაიხარეს: ერთხმად აურიამულდა დიდი და პატარა. ერთი ტაში არ შემოუცხიათ, თორემ, აი, როგორც ჩვენთან, ადრე, სტადიონზე იცოდნენ "დინამოს" დაგუგუნება, ისე მძლავრად კი დააქუხეს:

- ექიმ!! ექიმ!! ექიმ!! ექიმ!! - ეს იყო და მობილურ აპარატებზე ყველამ თავისი ზარი ჩართო და ამ გამაყრუებელი წკრიალის ფონზე დოინჯშემოყრილები აროკდნენ. ბუქნავდნენ და ხტოდნენ, ჩემო სოსო - თვალს არ ვუჯერებდი. შედარებით მძიმე წონისანი უფრო მსუბუქებს ხელში იყვანდნენ და მთელი ძალით ისროდნენ ჰაერში, თან გუნდად რაღაც უცნაური ყლერადობის სიტყვებს ისროდნენ. მე ამ დროს ნაძალადევად გაბადრული ვიდექი და ადგილზე ვცქმუტავდი. საერთოდ აღარ მახსოვდა ის აუტანელი, საზიზღარზე საზიზღარი სუნი თუ გამაყრუებელი ბზუილი, ირგვლივ რომ იდგა და ვყელას და ყველაფერს აუტანელი სიმძაფრით ასდიოდა. მერე საერთოდ გამაოგნეს, ჩემო სოსო: არ დაიჯერებ და ჩემი ჩანთიანად ხელში ამიტაცეს, ადგილზე სამჯერ დამაბზრიალეს და ისევ იმ ტელეფონის ზარების წკრიალის თანხლებით წამიღეს. თავი კინოში მეგონა. სპილოზე თუ მჯდარხარ, ჩემო სოსო?.. მიახლოებით ეგეთი შეგრძნებაა, ხალხს ხელში ატატებული რომ მიჰყავხარ - ყველაფერს ზემოდან დაჰყურებ და ძალიან დიდი გგონია სხვებთან შედარებით თავი. ლამის მთელი სოფელი შემომატარეს იმ "ექიმ-ექიმ"-ის ყვირილ-ძახილით. ორღობე და შუკა არ გამოუტოვებიათ. ჯერ წყარო მანახეს - მაღალი, კვერცხის ფორმის ლოდი, რომელსაც შუაგულში ნახვრეტი აქვს და იქიდან ცივზე ცივი წყალი მოჩქეფს. მერე მლაშე ტბასთან მიმიყვანეს. ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობა შევშინდი, შიგ არ ჩამაგდონ-მეთქი, მაგრამ მსგავსი აზრადაც არ მოსვლიათ. უბრალოდ, ბავშვები შეცვივდნენ ტანსაცმლიანად ტბაში და წყალი გამაყრუებელი ჟრიამულის თანხლებით ააშხეფეს. ტბა ახლოდანაც ისეთივე ხასხასა მწვანე ფერის იყო, როგორიც შორიდან ჩანდა. მის პირას სხვადასხვა ზომის კუები დაღოღავდნენ, თავად ტბის ზედაპირი კი ალაგ-ალაგ გამჭვირვალე მედუზებისებრი ფენებით იყო დაფარული. მერე ანძისკენ აიღეს გეზი. ამხელა კონსტრუქცია, ჩემო სოსო, არსად მინახავს. როგორც მივხვდი, სულ ნაწილ-ნაწილ, ალბათ ვერტმფრენებითაა ამოზიდული და ადგილზე დამონტაჟებული - ისე, ამხელა უბედურებას რა ამოათრევდა ამ სიმაღლეზე. ანძასთან ამათი მობილურების წკრიალი კიდევ უფრო გამკვეთრდა. ყველა ზარი რაღაცნაირად, ძალიან მჭახედ ჟღერდა. სწორედ აქ დამეუფლა პირველად მეტად უცნაური გრძნობა, სოსო - თითქოს დამავიწყდა რომ ექიმი ვიყავი, ჩემი სახელი და გვარიც ამომეშალა მეხსიერებიდან, მთელი წარსულიც უცებ გაქრა, ყველა ადამიანი - ვისაც კი ვიცნობდი, ერთბაშად ამიორთქლდა ტვინიდან და გონებაში რაღაც უზარმაზარმა სიცარიელემ და მხოლოდ აწმყოს მკაფიო, პირუტყვულმა შეგრძნებამ დაისადგურა. უცებ მიქცევ-მოქცევის ხმა გავიგონე და აშკარად დავინახე, ალბათ შინაგანი მზერით, თუ როგორ მიმოიქცეოდა ჩემში ჩემივე სისხლი. ეს უცნაური განცდა სულ რაღაც ათიოდ წამს თუ გაგრძელდა, ანუ ზუსტად იქამდე, ვიდრე ანძას ჩემთან ერთად დაარტყამდნენ წრეს. ანძას რომ გამოვეცალეთ, ყველაფერი მომენტალურად აღმიდგა მეხსიერებაში, თუმცა კი სულ მთლად გალუმპული ვიყავი, ანუ გაოფლილი და მივხვდი, რომ ეს ჩვეულებრივი ოფლი აღარ იყო - მისი გადამკიდე მეც უკვე ლაზათიანად ვყარდი. ეტყობა, იმ უცნაური შეგრძნებისას სხეულიდან არა უბრალო ოფლმა, არამედ სულ სხვა ნივთიერებებმა გამოჟონა. ქიმია ხომ გახსოვს, ჩემო სოსო, მთელი მენდელეევის ცხაბულა ხომ შიგა გვაქვს ადამიანებს; ძალღებიც ხომ მხოლოდ მას უყეფენ, ვისაც ეშინიაო, ანუ შიშისას რაღაც სუნს გამოყოფს ადამიანი და ძაღლებს სწორედ ეს სუნი ესმითო. ძალიან დიდი შიშის სუნი იყო ალბათ ესეც, ან რაღაც ამდაგვარი; ძაღლმა კი არა, მეც კი ვიგრძენი - სხვა რა დავარქვა, არ ვიცი. ბოლო-ბოლო, ეს უცნაური ექსკურსიაც მშვიდობიანად დასრულდა, ჩემო სოსო: ასე ხელში ატატებული მიმიტანეს საკმაოდ დიდი ეზოს ჭიშკართან და მხურვალე ოვაციების თანხლებით შემიტან-დამაბინავეს ერთსართულიან და მრავალოთახიან სახლში; კაი მოზრდილი ოთახიც გამომიყვეს, ცარიელი და ცალფანჯრიანი (ფანჯარა იმ ანძას გაჰყურებდა), უცებვე გამიწყეს და ფეჩიც ამიგუზგუზეს, თან ჭიანჭველებივით ირეოდნენ ოთახიდან ოთახში და ფეჩთან შეშის მაგივრად ძროხის გამხმარ ფუნას ახვავებდნენ. სავახშმო სუფრა სასადილო ოთახში მდგარ დაბალ ტაბლაზე გაშალა სახლის პატრონმა და სხვებს მეტად აღარ შევუწუხებივართ. ამ სახლის პატრონს, როგორც მივხვდი, სოფელში სხვანაირ პატივს სცემენ, მისი სიტყვა ყველგან ჭრის და ხშირად ბევრისთვის კანონიცაა - თავის დაკვრით გამომემშვიდობა ყველა. ერთი შეხედვით, თითქოს ჩვეულებრივი, სოფლელი, უბირი და კეთილი ადამიანები ჩანდნენ, მაგრამ ყველაზე მთავარი და შემაწუხებელი ისევ ის სურნელი და ბზუილი იყო, შინ და გარეთ, ყველგან ერთნაირი სიმძაფრით რომ იდგა.

ყველანი რომ დაიშალნენ, ოჯახის უფროსმა ხელკავი გამომდო, ცალი წარბის აწევით გამიღიმა და მისი მრავალოთახიანი სახლის თვალიერებას შევუდექით. ოთახიდან ოთახში მეტად უცნაურად, ხმისამოუღებლად გადავყავდი და რა გაეწყობოდა, ყველაფერს ჩემით უნდა მივმხვდარიყავი, უბრად მეთვალიერებინა სახლის ინტერიერი და თავი კეთილგანწყობით მექნია.

პირველ სამ ოთახში არავინ დაგვხვდა - მხოლოდ ავეჯი იდგა, ისიც მეტად უხვად, ძველისძველი: მიახლოებით ჩვენი ბავშვობისდროინდელი. ყოველ მათგანს - კარადას, სერვანდს, ტუმბას თუ სავარძელს სახლის პატრონი ხელისგულს ადებდა და სევდიანად მიღიმოდა. მეც თავს სინანულნარევი ღიმილით ვუქნევდი.

მეოთხე ოთახში მკვეთრად განსხვავებული სიტუაცია დაგვიხვდა - ჯერ ერთი რომ ავეჯის მხრივ იყო ხალვათობა, და მეორეც, ოთახის შუაგულში მდგარ ბორბლებიან სავარძელში საოცრად ბებერი, უზომოდ სახედანაოჭებული ქალი იჯდა (როგორც მივხვდი, სახლის პატრონის დედა). დედაბერს ცალ ხელში მობილური, ხოლო მეორეში კი ბუზის საკლავი ეჭირა და დანისლული მზერით კედლის რომელიღაც წერტილს იყო მიშტერებული. თან რაღაცას გაუჩერებლად, თუმცა კი გაურკვევლად ბუტბუტებდა.

აქ პირველად ამოიღო სახლის პატრონმა ხმა და ხელი დედაბრისკენ გაიშვირა:

- ცხემი დედა!

- ძალიან სასიამოვნოა, თქვენი გაცნობა, ქალბატონო... მე თქვენი სოფლის ახალი ექიმი გახლავართ... - შეეცადე რაც შეიძლებოდა თავაზიანად, ღიმილით წარმედგინა თავი, მაგრამ მას არათუ ყურადღება მოუქცია, ჩემკენ არც კი გამოუხედავს; ბუზის საკლავმომარჯვებული ისევ კედელს შეჰყურებდა და კვლავაც გაუთავებლად ბუტბუტებდა.

იქვე, ყვითელ ღამის ქოთანზე, პატარა, ასე ხუთიოდე წლის გოგო მოკალათებულიყო, გულში მკვდარი ბუზებით სანახევროდ სავსე სამლიტრიანი ქილა ჰქონდა ჩახუტებული და დედაბერს აჰყურებდა.

- ცხემი სჰვილი! - გაიშვირა ამჯერად პატარა გოგონასკენ ხელი სახლის პატრონმა.

მე გოგონას ზრდილობის ნიშნად თავზე ხელი გადავუსვი.

- რა გქვია, პატარავ? - დავეკითხე ღიმილით, მაგრამ ბებიამისის არ იყოს, არც გოგონას გაუცია ჩემთვის ხმა. ორივენი მეტად უცნაურად იყვნენ გაყურსულები.

უეცრად, დედაბერმა ბუტბუტი შეწყვიტა, საოცარი სისწრაფით წაგორდა მოპირდაპირე კედლისკენ და ბუზის საკლავი კედელს მთელი ძალით სთხლიშა. ეს იყო და პატარა გოგონაც წამოიმართა ფეხზე, ოღონდ ისე, რომ უკანალიდან ღამის ქოთანი არ მოსცილებია, კედლისკენ წაბაჯბაჯდა, ძირიდან მუჭით მოხვეტა დედაბრის მოკლული ბუზები, ქილაში ჩაყარა და კვლავაც ღამის ქოთანზე დაჯდა. დედაბერიც ისევ ძველებურად გაიყურსა და გაურკვეველი ბუტბუტი განაგრძო. დაბნეულმა სახლის პატრონს გადავხედე. უზომოდ აღტაცებული სახე ჰქონდა. გუნებაში კი გავიფიქრე, ჩემო სოსო - ესენი ვერ უნდა იყონ ყოჩაღად-მეთქი, მაგრამ ხმამაღლა აბა რას ვიტყოდი.

იქიდან გვერდითა, საკმაოდ ბნელ ოთახში გადავინაცვლეთ. სიბნელეს თვალი რომ შევაგუე, მერეღა გავარჩიე - ფართო საწოლზე ფეხმძიმე ქალი ესვენა (სახლის პატრონის ცოლი) და ერთნაირ რიტმში, გაუთავებლად და საშინელი ხმით გმინავდა:

- ოუჰ... აუჰ... აუჰ... ოუჰ... ოუჰ... აუჰ... აუჰ... ოუჰ...

- ცხემი ცოლი! - გაიშვირა ხელი სახლის პატრონმა მისკენ და მე უკვე ხმის ამოღება ვეღარ გავბედე, ვინაიდან ქალს თვალები დახუჭული ჰქონდა, გმინვას განაგრძობდა და ჩვენი ოთახში შესვლა არც კი გაუგია.

სხვა ოთახებში ადამიანებს აღარ გადავყრივართ, თუმცა კი ყოველ მათგანში დაახლოებით ნახევარი წუთით მაინც ვყოვნდებოდით. ბინის პატრონი ხელს უკვე უბრად და ისევ სევდიანი ღიმილით იშვერდა აქეთ-იქით და მეც ყველაფერს ყურადღებით ვაკვირდებოდი. ყველა ოთახი ასევე ძველისძველი, გადაქერცლილი ავეჯით იყო გადავსებული და ყველგან, ჩემო სოსო, ისევ და ისევ ის უსიამო სუნი იდგა.

მაშინ ჯერ კიდევ ვერ ვხვდებოდი ბოლომდე, ახლა კი ვიცი და რაა დასამალი, პირდაპირ გეტყვი: სოფელ პატივაში განსაკუთრებულ რანგში, კულტის დონეზეა აყვანილი პატივი, იგივე განავალი, როგორც ასეთი. ანუ აქ სახლებს გარედან და შიგნიდანაც ლამის კვირაში ერთხელ მაინც, შინაური ცხოველ-ფრინველისა (ძირითადად ძროხის) და საკუთარი განავლით ლესავენ. ამგვარად შელესილი კედლები საერთოდ არ ატარებენ სიცივეს და ინახავენ სითბოს. ძროხისვე გამხმარი ფუნაა პირველი გამათბობელი საშუალება სოფელ პატივაში, ვინაიდან აქ, ამ სიმაღლეზე, ხეს როგორც ასეთს, ჩემო სოსო, წამლადაც ვერ ნახავ და ისიც ფაქტია, რომ ზამთარ-ზაფხულ კაი გემრიელადაც ცივა. ბუჩქნარი და ეკალ-ბარდი - გაგიხარია იმდენია, მაგრამ რად გინდა, წამებში იწვის და სითბოსმაგვარს არაფერს ტოვებს. სწორედ ამის გამოა, გამხმარი ფუნა რომ გამოიყენება სოფელ პატივაში შეშის მაგივრად. ყველა ოჯახს ჰყავს რამდენიმე ძროხა და შესაბამისად ეზოშიც ნაკელის უზარმაზარი გორები უდგათ. სოფლის კაცები მთელი დღის განმავლობაში იმით არიან დაკავებულნი, რომ ძროხის ჯოგს მიჰყვებიან საძოვარზე ხელის ნიჩბებითა და ვედროებით და გაფაციცებით ელოდებიან, თუ როდის მოისაქმებს მათი ძროხა. ფუნის ხელიდან გაშვება თუ დაკარგვა სოფელ პატივაში უდიდეს სირცხვილად ითვლება. ახალგამომცხვარ და ორთქლადენილ ფუნას კაცები ვედროში უჩენენ ადგილს და საღამოსკენ ყველანი სავსე ვედროებით, იმავ ძროხების ჯოგის თანხლებით ბრუნდებიან სოფელში. ქალები მთელი დღე საკარმიდამო საქმეებით არიან დაკავებულნი. ისე, ამ სუნს თუ არ ჩავთვლით, ჩემო სოსო, ბინები სრულ წესრიგშია მოყვანილი - ამაში უპირველეს ყოვლისა ჩემი მასპინძლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალოთახიანმა ბინამ დამარწმუნა. დაუმატე ამ ყველაფერს ისიც, რომ იმ წყეული ანძის გადამკიდე აქ ყველანი საშინლად ოფლიანობენ (შედეგად აუტანლად ყარან). ახლა ეს ყველაფერი ერთად წარმოიდგინე და იქნებ ეს სუნიც იგრძნო წამით. ჰო, ჩემო სოსო, კინაღამ დამავიწყდა, - გამომდინარე ამ საზიზღარი სურნელიდან, ბუზითაა სოფელი პატივა სავსე. ამდენი ბუზი მე არსად მინახავს. ყველგან ბუზი: ჰაერში, მიწაზე, სხეულებზე, ყველგან... ეგ კიდევ არ უნდა იყოს გასაკვირი, გამომდინარე აქაური, როგორც ასეთი, პატივის კულტისა და საშინელი ოფლიანობიდან. და კიდევ ერთი, ძალიან დიდი უცნაურობა, ძმაო სოსო - აქ რაღაც უცნაურ დიალექტზე მეტყველებენ. როგორც ვასკვნი, ორიდან ერთი, ან ორივე ერთად: ან უკონტაქტობას უმოქმედია აქაურთა მეტყველებაზე, რაც ნაკლებად სავარაუდოა (რაა ბოლო-ბოლო ხუთი წელი), ანდა ვეჭვობ, რომ ისევ ეს დამპალი ანძაა ყველაფერში დამნაშავე. წარმოიდგინე, რომ ეს სრულიად ახალი, მობილურის მესიჯების ენაა - ახალი გრამატიკული ფორმებით და სერია-მწკრივებით. ასე მეტყველებს აქ დიდიან-პატარიანად ყველა და, ერთადერთი ყურის გაჩვევა უნდა, თორემ იმის აღქმა და მიხვედრა, თუ რას გელაპარაკება ნებისმიერი აქაური, ძნელი სულაც არაა. მობილური კავშირის სამყაროს არანორმალურად უმოქმედია აქაურებზე - ერთმანეთთან იშვიათად თუ დაილაპარაკებენ: ძირითადად მესიჯებს უგზავნიან და კი არიან ჩუმად და წყნარად. გასაგიჟებელი ამბავია, ჩემო სოსო. მართლა არ ვიცი, სად უბედურებაში მოვხვდი. ამაზე მეტი რაღა უნდა იყოს ჯოჯოხეთი, აღარ ვიცი, თუმცა ჯერ სადა ხარ.

შიდა ექსკურსიის შემდეგ, როგორც იქნა ჩამოვუსხედით დაბალ ტაბლას და ვახშმობას შევუდექით - თავიდან რა თქმა უნდა ისევ და ისევ უბრად. სუფრა საკმაოდ ღარიბული იყო (რაღაც ბალახ-ბულახის ფხალისმაგვარი კერძი, აგრეთვე დაკეპილი და შემწვარი ხორცი, ოღონდ არ ვიცი რისი), მაგრამ კაი მოშიებული ვიყავი და აღარაფერს დავეძებდი. გემრიელადაც შევექეცი ყველაფერს. მერე ოჯახის უფროსმა ღვინო ჩამოასხა, ჭიქა ასწია, მზერა გამისწორა და პირველი სადღეგრძელო ასე თქვა:

- სჰენი ცჰამოსვლის სჰესახებ! - და უცებვე შესვა.

გავშრი, ჩემო სოსო. ვერაფერს მივხვდი. ნაძალადევი ღიმილით მაინც წავილუღლუღე რაღაც გაუგებრად და მეც გადავყლურწე. ღვინოს უცნაური გემო ჰქონდა, თან მომჟავო იყო, თუმცა ეს არ გამკვირვებია. ამ სიმაღლეზე საერთოდ რამე თუ მწიფობს, ისიც კი ვერ წარმომიდგენია. ეგ კი არა, იმასაც ვერ ვხვდები, ღვინოს რისგან ამზადებენ. ვაზისთვის მე აქ არ მომიკრავს თვალი და...

მეორე სადღეგრძელო პირველივით უცნაური იყო. ისევ ჩამოასხა სახლიკაცმა, ასწია ჭიქა, მომიჭახუნა და ბრძანა:

- სჰენი პრაფესიის სჰესახებ...

როგორც იქნა დავიდა ჩემამდე, ანუ მივხვდი, რისი თქმაც სურდა ამ დალოცვილს. გულში კაი გვარიანადაც გამეცინა, მაგრამ აბა როგორ შევიმჩნევდი - კაცი პროფესიას მიდღეგრძელებდა. მერე რა, რომ მოკლედ, ლაკონურად და უცნაურად... როგორც იცოდა - ისე.

- სოფელი პატივას სჰესახებ! - მასპინძლის წარმოთქმულ მესამე სადღეგრძელოს, გავბედე და უკვე ჩემი სიტყვაც შევაშველე:

- მაშ გაგიმარჯოთ, კეთილო ადამიანებო... დავლოცავ აქაურობას, თქვენს დახვედრას, თქვენს მასპინძლობას, ამ ოჯახს...

- სოფელი პატივას სჰესახებ!! - შემაწყვეტინა სახლიკაცმა მკაცრად.

- ... თქვენს ადათ-წესებს, ყველაფერს... - განვაგრძე აუღელვებლად. - რითაც სულდგმულობს ნებისმიერი აქაური... იმედია, სულ მალე მეგობრებადაც ვიქცევით და რაღა უნდა იყოს ამაზე...

- სოფელი პატივას სჰესახებ!! - დაიგრგვინა მესამეჯერ მასპინძელმა საკმაოდ მკაცრად და მეც ცოტა არ იყოს შემეშინდა. შეწინააღმდეგება აღარ მიცდია, მაშინვე დავდუმდი და უთქმელად გადავყლურწე მთელი ჭიქა. ასეც განვაგრძეთ - ხმას აღარ ვიღებდი, სადღეგრძელოს თქმისას მასპინძელს მხოლოდ ჭიქას ვუჭახუნებდი და თავს ვუქნევდი. თუმცა ეგ რა არის - კიდევ უფრო დიდი უცნაურობები სადღაც შუაღამიდან დაიწყო, ჩემო სოსო. მოკლედ რომ მოვყვე, კაი თხუთმეტ-თხუთმეტი ჭიქა გვქონდა უკვე ნაყლაპი, გემრიელად მთვრალებიც ვიყავით, თვალები გვებლიტებოდა, სახლის პატრონს ტვინი ჰქონდა წაღებული თავის "სჰესახებ"-ნარევი სადღეგრძელოებით, როდესაც დიდი ოთახიდან უკანალზე ღამის ქოთანდაკრული და გულში მკვდარი ბუზებით სავსე ქილაჩახუტებული პატარა გოგონა გამობანცალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და ტაბლის გარშემო წრის დარტყმა მოკლე ნაბიჯითა და ყვირილით იწყო:

- მამიკ, გავათავე... გავათავე, მამიკ!

მე შემამცივნა, სახლის პატრონს კი ამის გაგონებაზე თვალები გაუფართოვდა, თუმცა ხმა არ ამოუღია - გახევებული მიაშტერდა ერთ წერტილს. უეცრად, ამას სხვა ოთახიდან სახლის პატრონის ცოლის მონოტონური გმინვა დაერთო:

- ან!.. ბან!.. გან!.. დონ!.. ენ!.. ვინ!.. ზენ!.. თან!.. ინ!..

გაოცებული შევყურებდი უკანალზე ღამის ქოთანაკრულ პატარა გოგონას, რომელიც ჩვენს ტაბლას წრეს ურტყამდა და არ ჩერდებოდა:

- მამიკ, გავათავე... გავათავე, მამიკ!!

მამა კვლავ გახევებული და თვალებგაფართოებული იჯდა, საწოლი ოთახიდან კი ისევ ცოლის ხმამაღალი გმინვა ისმოდა:

- ნარ!.. ონ!.. პარ!.. ჟან!.. რაე!.. სან!..

უეცრად, დიდი ოთახიდან სასადილო ოთახში საოცარი სისწრაფით შემოგორდა ბორბლებიან სარწეველაში მჯდომი დედაბერი, ღამის ტაბლა აგვიყირავა და ბუზის საკლავშემართულმა მანაც საშინელ ხმაზე ღაღადი იწყო:

- დაჯდა ცერად ანდერდზისას... ტახიმ-ტუხიმ... ტახიმ-ტუხიმ... ჰე, მეფეო, გავიპარე... ტახიმ-ტუხუმ... ტახიმ-ტუხუმ... ვერ დავდგები სჰეუკრელად... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... სჰემინდევ და ცამატანე... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ...

წარმოიდგინე ეს ყველაფერი ერთდროულად, ჩემო სოსო! ცოლის ანბანური და მონტონური გმინვა კვლავაც არ წყდებოდა:

- ფარ!.. ქან!.. ღან!.. ყარ!.. შინ!.. ჩინ!..

არც პატარა გოგონა ჩერდებოდა:

- მამიკ, გავათავე... გავათავე, მამიკ!!

დედაბერიც არაფრით ნელდებოდა:

- იცი, ბოლოდ არ დამიგმობ... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... კაცი ბრდზენი ვერ გასცირავს... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... მე სიტკვასა ერთსა გკადრებ... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... სიცრუე და ორპირობა... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ...

თმები ყალყზე დამიდგა. პირველად მგონი სწორედ მაშინ მივხვდი, ჩემო სოსო, თუ რას ნიშნავდა ძარღვებში სისხლის გაყინვა. დაბალ, სამფეხა სკამზე მჯდომი, თითქოს აშკარად ვგრძნობდი, როგორ მემატებოდა ერთბაშად წლები, როგორ ვბერდებოდი და ვჭაღარავდებოდი. ამ დროს კიდევ, ამ ყველაფერს ისიც დაერთო, რომ უცებ თავად ოჯახის უფროსი გამოერკვა, ჩემკენ გადმოიხარა, ამღვრეული მზერა გამისწორა და მანაც ყვირილით შეუშვა თავისი პარტია:

- ექიმ!.. ჰოდა, სიკვდილმა არ არსებობს, ექიმ!.. ექიმ!.. ვინც ეს იცოდეს, სულ იკოს, ექიმ!.. ექიმ!.. ვინც არა - არა, ექიმ!!

ხმის ამოღების თავი არ მქონდა. ენაჩავარდნილი განზე გახედვას ველარ ვბედავდი: ყველანი ერთდროულად და მთელ ხმაზე ჭექდნენ:

- ჭარ!.. ხან!.. ჯან!.. ჰაე!.. ან!.. ბან!.. გან!.. დონ!.. ენ!.. ვინ!.. ზენ!.. თან!

- მამიკ, გავათავე... გავათავე, მამიკ!!

- რადგან თავია სიცრუე... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... მე რად გავცირო მოკვარე... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... მით ვისცავლებით, მოგვეცეს... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ...

- ექიმ!.. მე მართალი ვიყო, ექიმ!.. ექიმ!.. სიკვდილმა ცვეტში არ არის, ექიმ!.. ექიმ!.. ვინც ესჰინის, ის - დურაკი, ექიმ!..

ჩემო სოსო, მოგეჩვენება რომ გავგიჟდი ან ვბოდავ, არადა, სიტყვასაც თუ ვაჭარბებდე, არაკაცი ვიყო. მეც არ ვიცოდი, იმ მომენტში რა ხდებოდა ჩემ თავს, ანდა საერთოდ რა ჯოჯოხეთი ტრიალდება ირგვლივ. სისხლი საფეთქლებთან მომაწვა. გული რაღაც საშინელი სისწრაფით მიცემდა. ოფლად ვიღვრებოდი და თან საშინლად მციოდა. აურზაური კი არ ცხრებოდა. ვიგრძენი, რომ გული მიმდიოდა და უეცრად, ზუსტად ამ დროს, გარედან ისეთი საშინელი და გამაყრუებელი ზმუილი გაისმა, რომ სახლის კედლებმა რყევა იწყეს. თითქოს სოფლის ყველა ძროხა ერთდროულად ზმუოდა, ჩემო სოსო, სახლში კი იგივე აურზაური გრძელდებოდა.

- ..ინ!.. კალ!.. ლას!.. მან!.. ნარ!.. ონ!.. პარ!.. ჟან!..

- მამიკ, გავათავე!.. გავათავე, მამიკ!..

- წაგიკითხავს სიკვარულსა... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... ვით იტკვიან, ვით აქებენ... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... სიკვარული აგგვამაგლებს... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ... შენ არ სჯერხარ, უსცავლელნი... ტახიმ-ტუხიმ, ტახიმ-ტუხიმ...

ზმუილი კარგად არც მახსოვს, რამდენ ხანს გაგრძელდა (მიახლოებით ერთ წუთს ალბათ). მეგონა თავი გამისკდებოდა, მაგრამ არ ვიცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ გადამარჩინა. ერთი რაც მოვახერხე - ყურებზე ხელისგულები მთელი ძალით მივიჭირე და თვალები დავხუჭე. არ ვიცი რამდენ ხანს ვიყავი ასე, ჩემო სოსო. ერთი კია, თვალი რომ გავახილე და ყურებიდან ხელები ჩამოვუშვი, ზმუილი აღარ ისმოდა; მასთან ერთად ეს ოჯახური ღრიანცელიც დასრულებულიყო: სახლის პატრონიანად ყველანი დუმდნენ. აღარც ცოლი გმინავდა გვერდითა ოთახში. მე ზედაც არ მიყურებდნენ, თითქოს სულ არ ვარსებობდი. აშკარა იყო, სულ სხვა რამეს აყურადებდნენ, დროც თითქოს აუტანლად ზანტად მიიზლაზნებოდა, მეტად დუნედ მიიმღვლეოდა. სწორედ ამ დროს დააკაკუნეს კარზე სამჯერ.

თავიდან ადგილიდან არავინ იძროდა. ყველანი კარისკენ იყურებოდნენ. მერე კაკუნი ისევ განმეორდა, ამჯერად უფრო ხმამაღლა და გულმაც კვლავ საშინელი სისწრაფით დამიწყო ძგერა. მესამეჯერ რომ დაკაკუნეს, სახლის პატრონი მხოლოდ მაშინღა წამოიმართა და კარისკენ ფეხაკრეფით გაემართა. მომეჩვენა, რომ დიდხანს მიდიოდა. ნელა და მძიმედ. ვიდრე ურდულს გადაწევდა, არ ვიცი რა ძალამ წამომაყენა და კარისკენ მთელი ტანით მიმატრიალა. ჯერ კარი არ იყო გამოღებული, სახედანაოჭებულმა დედაბერმა, ვითომც აქ არაფერი მომხდარიყოს, ბუზის საკლავი ჩამოუშვა და ბორბლებიან სარწეველაში მჯდომი დიდ ოთახში შეგორდა, უკანალზე ღამის ქოთანაკრული პატარა გოგონაც ქილით ხელში უკან მიჰყვა, მასპინძელმა კი ურდული გადასწია, თავად ისევ ტაბლას დაუბრუნდა და თავის ადგილზე დაეშვა. გული ისევ მთელი ძალით და სხვადასხვა ხმაზე მიცემდა. უცებ მივხვდი, ამხელა დაძაბულობას მართლა ვეღარ გავუძლებდი, ჩემო სოსო, ამიტომ იატაკზე დავეშვი, ჩავჯექი და თვალთ დამიბნელდა.

არც კი ვიცი რამდენ ხანს ვიყავი გულწასული, ერთი კი იყო - გონს რომ მოვედი, პირველი ვინც დავინახე, ტაბლასთან, დაბალ სამფეხა სკამზე მჯდომი ვიღაც გაქუცული კაცი იყო. კაცს იღლიაში საკმაოდ მოზრდილი, ცოცხალი კუ ჰქონდა ამოჩრილი. კუ ფეხებს ჰაერში ასავსავებდა, კაცი კი ცრემლიანი მზერით შემომყურებდა. ბინის პატრონი მის პირდაპირ მოკალათებულიყო და თვლემდა. ტაბლა ისევ ძველებურად იყო გაწყობილი. გაოგნებული ვიჯექი იატაკზე, ჩემო სოსო და ნელ-ნელა აზრზე მოვდიოდი. უპირველესად, ვიგრძენი, რომ აბსოლუტურად ფხიზელი ვიყავი, ანდა ამდენის მერე ეგ რაღა გასაკვირი იქნებოდა, სახლში კი უკვე სამარისებური სიჩუმე იდგა. სწორედ ამ დროს, სახლის პატრონმა თავი ტაბლაზე ჩამოდო და საერთოდაც ხვრინვა ამოუშვა. რა ჯანდაბა უნდა მექნა. წამოდგომას კი არა, კაი ხანს განძრევას ვერ ვბედავდი. ის ვიღაც გაქუცული კაცი კი ისევ მე შემომყურებდა და კვლავაც აცრემლებული ჰქონდა თვალები. როგორც იქნა მოვიკრიფე ნებისყოფა, რაც შეიძლებოდა ფრთხილად წამოვდექი და კედელს ზურგით მივეყუდე. ეს იყო და სწორედ ამ დროს წამოიმართა ფეხზე ის გაქუცული კაციც და ხმა ამოიღო:

- ექიმ... ცჰემი ბიცჰიმ მედუზა დაიცჰიროს, ექიმ... სახლსჰი მაიკვანოს... ცჰიქასჰი კვანდეს... ექიმ, ცჰემი ცოლმა არი კაი ქალი... დიდი დზუდზუები, რამე... გამე ადგნეს, კისელმა უნდოდეს და ის ცჰიქა დალიონ... ექიმ, ცჰემი ცოლიმ მედუზა გადაკლაპოს, ექიმ... ცუდათ გახდეს, ექიმ... ოფლმა ასხამდეს, თითქო დნებოდეს... ექიმ, უნდა მისჰველნოს... აგერ კუ მოგართვის, ნანდვილი კუ... მასჰ ბამბანერკამ ცჰვენკენ არ იცოდეს, ექიმ... კაი კუ... ექიმ... კაი კუ...

- ამ სიტყვებით გაქუცულმა კაცმა კუ იატაკზე დასვა. კუმაც როგორც კი თავისუფლად იგრძნო თავი, უმალ ტაბლის ქვეშ შეძვრა. - ექიმ, სჰენ უნდა ცამოხვიდნეს... ჩემი ცოლმა მისჰველნოს, ექიმ... ჩემი ბიცჰიმ დარჩეს კარაულივით იქან... ექიმ, ხვალ ორი კუ მოგიყვანოს მე... ორი კაი კუ...

ამ ყველაფრის შემდეგ ხმის ამოღების, ან შეწინააღმდეგების თავი საერთოდ სად მექნებოდა, ჩემო სოსო? რა გაეწყობოდა - ჩემი ოთახისკენ რის ვაივაგლახით წავლასლასდი. თან ცალი თვალი მასპინძლისკენ მქონდა, მაგრამ მას არაფერი გაუგია - თავი კვლავაც ტაბლაზე ედო და უდარდელად ხვრინავდა. ჩემს ოთახში საკმაოდ თბილოდა. ფეჩი ისევ გუზგუზებდა. იქვე ძროხის გამხმარი ფუნის პატარა გორა იდგა. ფეჩის კარი გამოვაღე და რამდენიმე ცალი შევაგდე, მერე საწოლზე ჩამოვჯექი და სახე ხელისგულებში ჩავრგე. ვეღარც ვფიქრობდი, სოსო. არაფრის თავი აღარ მქონდა. გონება ისევ იმ აურზაურის ექოებით იყო სავსე. ძლივს წამოვიმართე და ზურგჩანთიდან სამედიცინო ყუთი ამოვიღე.

გზად საინტერესო არაფერი მომხდარა. საკმაოდ ციოდა. გზას ის გაქუცული კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მობილურით მინათებდა და ეგრეც მივაბიჯებდით. აქა-იქიდან ძროხათა მშვიდი ზმუილი ისმოდა. აღარც მახსოვს რამდენი ვიარეთ, ერთი კი იყო სულ მარცხნივ ვუხვევდით და ღობეებს ვედებოდით. ბოლოს იმ გაქუცულმა კაცმა მობილური სანახევროდ ღია ჭიშკარს მიანათა და შიგნით შემიძღვა. ეზოს ბოლოში ერთსართულიანი, ბოლომდე გაჩახჩახებული სახლი ილანდებოდა. ყველა ფანჯრიდან შუქი იღვრებოდა.

- ცჰემი სახლი! - გაიშვირა გაქუცულმა კაცმა ხელი სახლისკენ და კიბეზე ამიძღვა, მერე კარს ხელი ჰკრა და კარგად განათებულ, საკმაოდ ვრცელ ოთახში აღმოვჩნდით.

ოთახის შუაგულში მდგომ მაგიდასთან ასე ცამეტიოდე წლის ბიჭი იჯდა და იცრემლებოდა.

- ცჰემი ბიცჰი! - გაიშვირა გაქუცულმა კაცმა ხელი ბიჭისკენ და მანაც აცრემლებული თვალებით ამოგვხედა. არაფრის თავი აღარ მქონდა. არც მისალმების, უბრალო თავის დაქნევისაც კი. სრულ სიცარიელეში ვყვინთავდი და აუტანლად გულგრილი ვიყავი ყველაფრის მიმართ.

- რატომ ტირილი, ცჰემი ბიცჰი? - დაეკითხა კაცი შვილს. - აგერ ექიმ, ცჰვენი ექიმ დედა მოარცჰინებს... შენ დილას ცახველ, ორი კაი კუ დაიცჰირნო ტბაზე... გარნა ტირილ უცამალოს დედის?

შვილმა არაფერი უპასუხა, სწრაფად წამოიმართა სკამიდან და საწოლი ოთახისკენ გავარდა.

- დედი ენატრების... ეცოდავების... ცელქი ბიჭი... - თქვა გაქუცულმა კაცმა, და ამ დროს საწოლი ოთახიდან ისევ ბიჭი გამოვიდა. ხელში დიდი ვარცლი ეჭირა, რომელიც წყლით იყო გადაპიპინებული. ბიჭმა ვარცლი ძირს დადგას და მოგვაჩერდა.

- მამიკ, სჰენ რო ცახვიდე ექიმისთან... - დაიწყო ბიჭმა ქვითინით.

- ჰო, ცჰემო ბიცჰი... - გადაუსვა გაქუცულმა კაცმა ბიჭს თავზე ხელი.

- დედა დადნობა დაიცკოს...

- ვა...

- ვა და ბა... სუ ცკალი გასდიოდის ხელიდგან, ფეხიდგან, მუცლიდგან... სულ-სულ...

- ეგ რა მედუზა მოგიკვანავს, შე ოხერნო...

- არ ვიცი... მამიკ, მე ტასჰტი დავდგი იქა, საცოლთგან... ვუკურეფ, ვუკურეფ... დედა დნებ-ის...

- დნების?

- სულ დადნების... სულ-სულ... ბოლოს ცკალად გახდეს... დედა აღარ არი, არა... დედა არი ესა... - ამოიქვითინა პატარა ბიჭმა და ვარცლზე თითი მიაშვირა.

ძირს დავიხედე და აშკარად გავარჩიე, ვარცლში ქალის კაბა ტივტივებდა, ასევე ქალის ნიფხავი და გრძელი თმები.

ჩემო სოსო, აღარ დავწერ, იქ მერე რა მოხდა, მე რა დამემართა, ან შინ როგორ აღმოვჩნდი, ერთი კია, ამ წერილში ჩემი სოფელ პატივაში ჩასვლის მხოლოდ პირველი დღეა აღწერილი. არაფერი გადამიჭარბებია და იმ დღის მართლა ყველაფერი მოვყევი, არ გამომიტოვებია, მისხალიც კი. უკვე ერთი კვირაა გასული ჩემი აქ ჩამოსვლიდან. ამ წერილის წერა ზუსტად მეშვიდე დღეს დავიწყე და მინდა გითხრა, რომ არც მომდევნო ექვსი დღე ყოფილა იმ პირველზე რამეთი ნაკლები. პირიქით. ისინიც რომ აღვწერო. ალბათ ერთი საშინელებათა რომანიც კი გამომივა, მაგრამ სად მაქვს მაგის თავი; ცუდად ვარ, სოსო. დეპრესიულობა, გეხსომება, სულ არ მახასიათებდა, მაგრამ ახლა ძალიან შავად მაქვს საქმე მაგ მხრივ - მიტევს და მიტევს. რამდენჯერმე ვცადე ყველაფრისთვის მსუბუქად, ირონიულად თუ ცინიკურად შემეხედა, მაგრამ არ გამომდის. ალბათ იმიტომ, რომ უშუალოდ მე მეხება და რანაირი ექიმი მე ვარ აქ ამის მერე?.. ან საერთოდ ვის რაში ვჭირდები აქ? ამ ერთ კვირაში ისეთები გადავიტანე, მეტი რომ არ შეიძლება - ეგეთები ყველაზე მურტალ, ბნელ "უუასებში" არ გექნება ნანახი. თან შიში დამჩემდა საოცარი, ენით აღუწერელი - როგორც კი ამ ანძას შევხედავ, საოცრად ვოფლიანობ, რაღაც-რაღაცები მერევა თავში. ძალაუნებურად ვივიწყებ თითქმის ყველაფერს და ვარ მხოლოდ ანმყოში, პირუტყვივით, ერთი ნათელი სხივი არ გამიკრთება თავში... მგონი ვგიჟდები, სოსო, ან მართლაც ვპირუტყვდები. აქაც უკვე ეჭვის თვალით მიყურებენ. მგონი აღარც ჯერათ ჩემი ექიმობის, ანდა რაღა დამეჯერება, როცა:

1) ქალი დადნა, გაწყალდა და ვერ ვუშველე.

2) მეორე დღეს მეზობელი კაცი ოცდაათ ბუზად იქცა და ვერაფერი გავაწყე.

3) მესამე დღეს მეზობლის ძროხამ გამარჯობა მითხრა და ამინდზე გამომელაპარაკა.

4) მეოთხე დღეს ანძასთან ერთ კაცს ჩაეი-

ნა და სახლში სამი დაბრუნდა.

5) მეხუთე დღეს - ჩემმა სახლის პატრონმა ძროხის პატივისგან ღვინო დაწურა.

6) მეექვსე დღეს მისმა ცოლმა იმშობიარა და "დედაენა" შვა, რომელიც თან ლაპარაკობს და თან ძუძუსა სწოვს.

დღეს კვირაა, ჩემო სოსო. დღეს რა მოხდება - აღარ ვიცი. ისე, ყველაფერს ვუშვებ. წესით, ამათი და აქაურობის შემხედვარე, მეც უნდა გადავირიო. სახლი კუებითაა სავსე. რა ჯანდაბად მჭირდებიან, ნეტა?.. ისე, ხორცად კი არა უშავთ. ყოველდღე მიხარშავს სახლის პატრონი. ამ წერილს რომ ვწერ, ფანჯარასთან ვზივარ. აქედან ის დაწყევლილი ანძა მოჩანს და სულ მთლად გალუმპული ვარ. ვყარვარ მეც ბოლომდე, მაგრამ მკიდია. შენც რა, სიზმარში უკვე მერამდენჯერ განახე - როგორც უკანასკნელ ავადმყოფს, სულთმობრძავს ისე მიყურებდი, თან გამომეტყველება გქონდა ისეთი, თითქოს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მეთქვა შენთვის. იქნებ ეს წერილია ზუსტად ჩემი ყველაზე მთავარი სათქმელი ამ ცხოვრებაში. მაშ ეგეთი სიზმრები რაღას ნიშნავს? სოსო, იქნებ მართლა მიშველო რამე, ვიდრე ბოლომდე არ გადავრეულვარ და გავააქაურებულვარ. კოსტა-ფოსტალიონია ერთი აქ. ყრუ-მუნჯი. როგორც ვიცი, ხვალ დილით ქვემო-სოფელში მოდის. ჩემი სახლის პატრონს უკვე შევუთანხმდი, იმან აუხსნა და ამ წერილს შიომდე ჩაიტანს. მერე ვნახოთ რა მოხდება, თუ დამეხმარები და გამოაწვევინებ ჩემ თავს აქედან, რა ვიცი, შენს პატივისცემაში ვიქნები სიცოცხლის ბოლომდე. ხომ გყავს ვილაცები ზემოთ, სოსო. შენც ხომ დიდ თანამდებობაზე ხარ... არ ჭირდებათ აქ ექიმი, ჩემო სოსო! ესენი მე არ ვიცი საერთოდ ვინ არიან. გამოვიპარო? ეგ კი ვიფიქრე, მაგრამ რამე არ დამმართონ გზაში, იმის მეშინია. სულ თვალს მადევნებენ. სახლში ვარ - მოსვენება არ მაქვს, გარეთ გავალ და კუდში დამდევენ "ექიმ-ექიმის" ძახილით. სად გაიპარები... მოიფიქრე რამე, თორემ აღარ ვარ კაცი. იქნებ ამ ანძის ავან-ჩავანიც გაიგო. აღარ უნდა ტვინის ჭყლეტა - ეგაა ყველა აქაური უბედურების საწყისი და სათავე. გამორთონ, მე მაგათი დედა ვატირე! რა უქნეს აქაურობას თუ ხვდებიან?! ეს რა ექსპერიმენტს აყენებენ ადამიანებზე... ვინ მიცათ ნება?! უბედურება არაა, ჰა, სოსო?.. გთხოვ! რამე გამირკვიე და მიშველე! ერთ კვირას კიდევ ალბათ გავძლებ, თუ გადავრჩი და არ ავუშვი აფრები - შენს პასუხს დაველოდები. მერე მეორე წერილს მოგწერ და ეგრე. არ მოგეშვები, სხვა რა საქმე მაქვს. აქ მე ნორმალური ავადმყოფი ვერავინ ვნახე, ანდა რომელი ავადმყოფი, ჩემო სოსო, მედიცინა ასეთებთან უძლური და უსუსურია. გინდა დაიჯერე, გინდ არ, სიკვდილიც კი არავის ეკარება... არა კვდებიან, გეუბნები, ფაქტია. როგორც გავიგე, რაც აქ ის ჯოჯოხეთური ანძა დაარჭეს, კაციშვილი აღარ გამგზავრებულა საიქიოსკენ სოფელ პატივადან, მაგრამ რად გინდა... ადამიანობის აღარაფერი სცხიათ. დარვინი ხომ გახსოვს, რა კაცი იყო, და მისი მოძღვრება? აქ პირიქით ხდება ყველაფერი... უკან-უკან, ან უფრო ზუსტად გან-გან მიიწევენ, ნაბიჯ-ნაბიჯ. რაღაც საშინელებაა ამათ თავს, ჩემო სოსო. ვითომ მხოლოდ განუსაზღვრელკრედიტიანი მობილურების გამო გადაიცვალნენ და დახურდავდნენ? თითქოს რაღაც დიდ უწმინდურობასთან დადეს კონტრაქტი. თითქოს ზღაპარში ვარ სტუმრად... ანდა რომელ ზღაპარში... საერთოდ არ უნდა არსებობდეს ასეთი ზღაპრები... სინამდვილეა ეს აქაური, მაგრამ არ ჰგავს ეს ცხოვრებას?! სიკვდილზე უარესი სუნი დგას აქ. არ ვიცი... არაფერი არ ვიცი... სად არის სამართალი, ჰა, სოსო?! სად, სად ეშმაკში იმალები, ღმერთო?!

SOS!



პოეზია ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკა ქევანიშვილი

დიასახლისის რჩევები

შეავსე ჩემი ცარიელი სკამი
როგორც მიტოვებული კროსვორდი,
ძნელი, ძნელი გამოსაცნობად

არ გინდა ჩხვლეტა,
ჩემი გული ჯერ კიდევ გულია და
არა სანემსე ბალიში

შეწვი ხორცი ცრემლებში
თითი გაიჭერი პურზე
ღიმილი ჩააგდე ღვინოში – უფრო დაგათრობს.

თუ ამ საწოლზე სიყვარული აღარ გამოგდის
სცადე თაფლისგან გაფენილი ხალიჩები,
სირბილისათვის – ფქვილმოყრილი.

მოდების ჟურნალზე დაგდებული ნდომა
კიბეებზე დაადევნე –
დაბრუნდება.

ორშაბათს მოითმინე - პარასკევამდე,
შაბათი ღმერთისაა,
კვირას დაშორდი, მაინც უქმეა.

ღალატს თუ დაგაბრალებენ,
თაროებიდან წიგნები გადმოყარე
და ყველა შენი საყვარელი გმირი გვერდით მოიწვინე,
ვერ მოგიკლავენ

* * *

შენ – ჩემს მკლავზე დარჩენილი
აცრის აპლიკაცია.
მე – პარსვისას გაკაწრული
უეცარი ჭრილობა
შენი სისხლით
ჩემი აცრა
წითლად გააფერადე.

* * *

ნიკას პლუს ანა უკვე უდრის ორს
ჩემი სადარბაზოს კედელზე,
"ძირს ანვარი მეზობლები და ინკასატორები"-ს ფონზე
ეს ლამის პოეზიაა
და თან ათი წელია, რაც ეს ორი სახელი ერთმანეთს
დაემატა, გამრავლდა და კიდეც გაიყო.
აქ კი ასე დარჩა, როგორც სკოლის დაფაზე შემთხვევით
წაუშლელი
მასწავლებლის კარიკატურა.



* * *

როგორი შეიძლება იყოს შენგან წასვლის პირველი
შეგრძნება?
როგორც ორი თეთრის ნაცვლად ხურდაში ასანთის
უგემოვნო კოლოფი?
თუ მშობლების ჩხუბში სეკუნდანტობის მერე
გადახტომის გეგმა?
უფრო რაღაც მარტივი, როგორიც მეზობელთან
სერიალის სავალდებულო გარჩევაა და მერე ყურძნიანი
ლანგრის მიწოდება მეტი გულწრფელობისათვის.
არა... ზუსტად ვიცი, ეს არ გეყოფა, მუხლის თავების
დაჩეჩქვილობით მაინც დედასთან მივარდნა გინდა,
სტრეპტოციდი არ დაგაყაროს.
მეეობარი რომ უცხოეთში რა მნიშვნელობა აქვს
გამოუცდელ ძიძად წავიდა და იქ ნამყოფობით
ჩამოგიტოვა?
იქნებ მიკრო-ავტობუსუსის არც ისე მძღოლის გზისთვის
თვალის აცილება სარკეში შენი დანახვის სამაგიეროდ...
ასე საქმე არ გართულდება, მხოლოდ იმას იგრძნობ:
რასაც ყველა 8 თვის ორსული, კაცი რომ ღალატობს.
რასაც მეტ-ნაკლებად მგრძნობიარე მგზავრი, მოხუცის
შემხედვარე, ტრანსპორტში რომ 45 თეთრი დააკლდა
მგზავრობისთვის საჭირო 50 თეთრიან საფასურს.
რასაც დედაშენი, ბოლოს თავისი ხელით მაინც რომ
მოგაყრის დასისხლიანებულ მუხლზე მოთეთრო ფხვნილს
და აგაღრიალებს, რომ გიშველოს.

* * *

ენა მოვარგე გასაღების ჭრილს –
შენი სახლის კარი გააღო.
ჯერ მარჯვენა ფეხი შემოვდგი, ცრურწმენად ჩამრჩა,
მერე მთლიანად შემოვვარდი
და ყველაფერი ავრი-დავრიე.
როცა მოხვედი –
ბლანტი ლაქივით დაგეფინე სხეულზე,
შენ – აცეტონი მოიმარჯვე და ამოშშალე.
მე კი მოგწამლე.

ჩემი სული შენშია,
როგორც ბოროტი ჯადოქრის ცოცხში
და დევის
მავან ადგილას ამოსულ ხეში,
სამ კოლოფში, ძაღლის თუ ობოლი გოგოს
გულ-ღვიძლში.
როგორც ზღაპარში.

ჩემი სული
შენს მარცხენა მუჭშია და
მუხლის სახსარში,
მოპარულ წვერში და
ყოველდღე დაღვრილ ოფლშია
ჩემი საბოლოო გაფართხალება.
თუ ამ მუჭს გაშლი,
მუხლს გადატეხავ,
წვერს მოუშვებ,
ოფლს შეაკავებ,
მე დავსუსტდები,
დავსუსტდები და მოგიკვდები...

* * *

გაგაფორმე
"ფანტაზია და მარჯვე ხელების"
კაკლის ნაჭუჭებით,
ასანთის ღერებით, რკოს ქუდებით
და ლობიოს მარცვლებით.
გაგაფორმე და მერე
შეგაწებე,
გამოგჭერი,
მოგხატე,
გაგაშრე,
ჩამოგკიდე,
გამოგფინე
და გავიმარჯვე
ფანტაზიისა და მარჯვე ხელებისათვის
მოწყობილ კონკურსში.

* * *

დამიბრუნე
ჩემი შემწვარი კარტოფილის ყველა ულუფა
რეცეპტების წიგნიდან გადმომხტარი
ყველა ჩემი ნაცადი კერძიც.
დამიბრუნე
ასიათასი კოცნა და
ოცი ათასი საათი ლოდინი,
ორჯერ ამდენი მარტო ძილი დამიბრუნე
და ათი ლიტრი
ნერწყვი დამიბრუნე
და ათი ათასი ჩხვლეტაც გულში.
შენს თვალწინ დაჭრილი ფრჩხილები
და წყლისგან წართმეული ჭუჭყი დამიბრუნე, მჭირდება.
1998-ში თუ, ერთი სიტყვით, მეოცე საუკუნის
ბოლო რამდენიმე ახალ წელს გასროლილი მაშხალები.
მგზავრობის ფულიც დამიბრუნე და
ფეხით გავლილი კილომეტრებიც
მინუს ათ გრადუს ცელსიუსში.
დამიბრუნე ეს ბევრი და
სხვა მრავალიც,
რომ მე ისევ,
ორჯერ უფრო მეტ ყინვაში
და ორჯერ უფრო მეტი მაშხალებით
და ორჯერ უფრო მეტი სისუფთავით და
ორჯერ მეტი ფულით
და ორჯერ მეტი მოთმინებით
და ორჯერ მეტი ნერწყვით პირში
გაგიცვალო
ორჯერ უფრო მეტი გემრიელი საჭმელი.

* * *

ვიღაც ქერა ქალმა
წვრილი ქუსლით ხალი დამახატა ზურგზე.
ვიღაც ქერა ქალთან
ხელკავიან ინტიმს იქნებ გამიყოფდე?
ვიღაც ქერა ქალის
სურნელიან პალტოს გასაწმენდად მაწვდი,
ვიღაც ქერა ქალის
შელებილი თმები დამიგროვდა მუჭში.
რაღა აქ, შენს მხრებზე დაიხოცნენ მეთქი, ჩემთვის
ვაპროტესტე,
რაღა აქ, ჩემს ხელში მოუნდათ-თქო, სხვის თმებს ჩემგან
ზიარება.

მაცივარზე მიკრული წერილებიდან

ჩაში თითი ჩაგიტოვე
დალიე და
სამსახურში ისე დაბრუნდი.

შენი მონატრებით
საფერფლეს დავმართე ანთება
საშველად – ძმრიანი ტილო მივაფარე

ფრჩხილებთან ერთად
ბეჭედი – ბლითიც შემომეკვნიტა -
გელოდებოდი.

როცა შოკოლადი მოგენატრა,
კაკაოში ამოვიგანგლე,
როცა უეცრად ოქროს თევზი მოგესურვილა,
სამი დღე წყლიდან არ ამოვსულვარ – ლაყუჩებს
ვზრდიდი,
ხოლო როდესაც განაცხადე, რომ ძლიერ დაგცხა,
მე გავიხადე.

რეპორტაჟი დამავალეს
უბრალო ხალხის ცხოვრებიდან – მე კი
იაფმა კოსმეტიკამ ტრანსპორტში
ადგილი შემაცვლევინა

ისე დათვერი, რომ დაკაწრული
ხელის მტევნები აკიდოებად
გადმოკიდე ჩემს აივანზე
და შემოდგომა შემოაგდე მერვე სართულზე.

პოეზია
ELIBRARY.GE

შენი ოროსანი კურსელი -
უფროსის რანგში
ორჯერ გადაგიხდის სამაგიეროს
ხუთოსნობისთვის.

კვერცხები ჩავილაგე კალთაში
სრულყოფილი ფორმის დაჯერებას ვაპირებდი
პირველმა წიწილამ დედა რომ დამიძახა.

შენგან დასახსნელად
ჯერ ზურგსუკან სავარცხელს ვისვრი
მერე კი კომპასს გადმოგიგდებ
ულრანი ტყიდან გამოსაგნებად

შენ ჩემთვის ისეთივე დროებითი სამკაული ხარ,
როგორც ბავშვობაში
ყურებზე ჩამოკიდებული ბლის კუნწულები

ავად გახდომა

რა კარგი იყო ავად გახდომა ბავშვობაში
დედა კომბოსტოს ფოთლებს მაფენდა
და ძმრიან წინდას მაცმევდა ძალით,
სამაგიეროდ,
ჩამოდიოდნენ გარდერობის თავზე მცხოვრები
ხელუხლები დათუნიები
თოჯინები...
სიცხის ყოველ გაზომვაში კი ტკბილ ქრთამს ვიღებდი.
რა კარგი იყო თებერვალში
მამაჩემის მოტანილი თოვლიანი ყოჩივარდები
და ექიმისთვის მირთმეული
გადარჩენილი სასუნნავი...
ახლა ჩემი ავად გახდომა
მხოლოდ სისხლის ანალიზი და უბრალო სტატისტიკაა.

* * *

ღამის ორია. ბშია,
ავდგები, ფეხს შეგახებ, აბა, თუ გძინავს.
ეგებ ერთ თეფშზე გავიყოთ სამი ლუკმა სიყვარული.
ნაშთი კი დილისთვის გადავინახოთ.

ხვალ ერთით მეტ პურს ვიყიდი,
აღრე ხო ისე ვძღებოდით,
ნახევარიც ხელუხლებლად გვრჩებოდა –
გახსოვს, ასე მოვიჩვიეთ მტრედები.

მე ამაღამ მივფრინავ.
შენ კი დაიჟინე, რომ ჯერ მოსაცდელ დარბაზად,
მერე ტრაპად,
მერე კი პილოტად იქცევი.
საბოლოოდ, მეორე ბილეთსაც აიღებ შენთვის.

ალბათ, ორ კვირაში ისევ ვიჩხუბებთ
მინიმუმ ერთი ფანჯარა ჩატყდება,
ჩვენი სურათი კედლიდან ალბომისკენ გაიძურწება,
შენ კი ყურში წვდები და ადგილზე დააბრუნებ.
შევრიგდებით.

დიდი ხანია არაფერი ხდება ახალი –
სამი წელია ასე მიყვარხარ.

* * *

ვერა.
ვერ გავიშლი თმას, მოკლეა
ვერა,
ვერ ჩამოგკაწრავ ზურგს - დავიჭერი.
ვერც
აგილოკავ ყელს, ენის წვერი
შენი სახელის თქმით დამეწვა...
და
ვერ მოგეყრდნობი, ცივი მუხლი
თავით დაეცა და ვიტკინე.
ვერ გეცეკვები ანაბანას
ვეღარ გესესხები მზის სხივებს.
ნეტა შემეძლოს და,
ნაქოლგარმა შენს სადარბაზოში შევტოპო
სიტყვანახევარი დაგიტოვო,
კედლებს სხვისი უწმაწური დარდიც ეყოფა
ანდა გამრავლების ტაბულაზე
მკითხაობა გამომდიოდეს
ან ისრის კონის გადატეხვა...
ძალა ერთობაზე ჩიოდეს.
ვერ
დაგიტოვებ კიბეზე ქოშს
და
ვეღარ დავართავ ტონა ძაფს
ვერ შევიყვარებ დედინაცვალს
ფინალს ვერ შევუცვლი ამ ზღაპარს.

* * *

როცა მამაშენი 40-ისაა
შენ კი 20-ის,
ეს ჯერ კიდევ არაფერია, დახტიხარ.
როცა მას პირველი მეგობარი უკვდება
და წნევა პირველად შეაბარბაცებს,
სახეს ისინჯავ, ნაოჭები ხო არ გაგიჩნდა.
როცა შენ გიკვდება პირველი მეგობარი,
მამა თეთრ თმას ნანობს სარკეში.
როცა მამაც თეთრია და შენც,
მერე, ალბათ, სულ ერთია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიტოლდ გომბროვიჩი

"ARILIS" ერთგულ მკითხველს ახსოვს, ალბათ, ვიტოლდ გომბროვიჩისადმი მიძღვნილი სპეცპუბლიკაცია, რომელიც "ARILIS"-ის 2002 წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა. მაშინ მკითხველს ვრცელი ფრაგმენტები შევთავაზეთ გომბროვიჩის "დღიურებიდან", ასევე სლავომირ მროჟეკის წერილი და ჩესლავ მილოშის ნეკროლოგი, სახელწოდებით "სულთათანა". დიდი პოლონელი მწერლის შემოქმედებას ჩვენი ჟურნალი დღესაც უბრუნდება და ამჯერად გთავაზობთ ჩესლავ მილოშისა და პიერ პაოლო პაზოლინის ორ, ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებულ შეფასებას.

პიერ პაოლო პაზოლინი



ვიტოლდ გომბროვიჩის "დღიური" წიგნი-ანომალიაა. როგორც სათაურიდანვე ჩანს, ჩვენს წინაშეა დღიური, და აქედან გამომდინარე ჩნდება მოლოდინი, რომ იგი ღრმად ჩაგვახედებს ავტორის შინაგან, ნამდვილ ცხოვრებაში და ცხად წარმოდგენას შეგვიქმნის მისი ვინაობის შესახებ. მაგრამ რაკი ეს დღიური "დამუშავებულია" (სწორედ ასეა გაცხადებული), ტექსტი მაქსიმალურად ცდილობს ავტორსა და მკითხველს შორის დისტანცია ბოლომდე შეინარჩუნოს. მიუხედავად ამისა, თუკი გომბროვიჩს წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი, რას გაუმხელდა მკითხველს და რას არა, მან ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლო. სინამდვილეში ჩვენ ბევრად მეტის გაგებას ვახერხებთ, ვიდრე ავტორს უნდოდა ეთქვა.

ამ დღიურში არაფერია ისეთი, რითიც ჩვეულებრივ იზიდავს მკითხველს ნებისმიერი დღიური. არ ჩანს ის მომხიბვლელი ბუნებრიობაც, რომელსაც თავად გომბროვიჩიც დიდ პატივს სცემდა ("...საიდანაც არ უნდა შეხედო, დღიური არის რეალურობით შეგემებული ბულიონი. მაგალითად, ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა იმის შეტყობა, რომ 1942 წლის 3 მაისს ბაბკოვსკი ვენსენის ტყეში ველოსიპედის ტარებას ასწავლიდა თავის ცოლს").

გომბროვიჩის "დღიურს" არაფერი აქვს საერთო ეგზისტენციალიზმთან (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ პატარა ქვეთავს). მას ინტელექტუალის შთაბეჭდილებათა გროვა უფრო ეთქმის. ამ შთაბეჭდილებების გამომწვევი არის როგორც წარსულთან დაკავშირებული, ისე სამომავლოდ მოსალოდნელი, სასურველი და სათუთი განცდები. მაგრამ არის ერთი შეუსაბამობა, თუკი ამგვარი განცდები სხვა წიგნებში პოულობენ გამოხატულებას (მაგ.: "კოსმოსი", "ტრანს-ატლანტიკი", ან პირველ ყოვლისა "ფერდიდურკე"), მას კულტურას მიაკუთვნებენ, "დღიურის" შემთხვევაში კი კულტურასთან არაფერი აქვს საერთო! ამ განცდების მიხედვით ჩამოყალიბებული ავტორის სახე არის სახე "არასრულფასოვანი" ადამიანისა, რომელიც არა მხოლოდ გაუნათლებელია, არამედ უჭკუოც და საცოდავი, ხეპრე მასხარის ასოციაციას იწვევს. ამ ადამიანს მიაჩნია, რომ ჭეშმარიტება ძნელი შესაცნობია, მაგრამ მასზე ხმამაღლა ლაპარაკი აუცილებელია; რომ შეუსაბამობის დაგეგმვა შესაძლებელია, რომ უხეშობა გენიალურობის შემადგენელი ნაწილია, ხოლო ქირქილი აღმატებულობის ნიშანი.

ამ "არასასურველი" ადამიანის შესახებ ძალიან მცირე რამის გაგებას ვახერხებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1939 წელს პოლონეთის პროვინციიდან გაქცეული არგენტინის ერთ-ერთ პროვინციას აფარებს თავს. რაკი საკუთარი ჭერი არ გააჩნდა, იგი მუდმივად მოძრაობდა ბუენოს-აირესსა თუ სხვა პატარა ქალაქებში. ჭარბ თავისუფალ დროს სურვილისამებრ იყენებდა და მის მნიშვნელოვან წილს უამრავ ადამიანთან ურთიერთობას უთმობდა. მიუხედავად ამისა, მის სიმარტოვეს ალტერნატივა არ გააჩნდა. იგი მარტოობისთვის განწირული აღმოჩნდა მისივე სურვილის საწინააღმდეგოდ (მწერალს ნამდვილად არ უყვარდა სიმარტოვე, რომელმაც შესძინა მას სისასტიკე და სიუხეშე). მუდმივი გადაადგილების დროს, ამა თუ იმ ქალაქში ჩასვლისთანავე გომბროვიჩი ადგილობრივი გაზეთის მთავარ რედაქტორს ეწვეოდა ხოლმე და იქაურ ინტელექტუალებთან წარდგენას სთხოვდა. სინამდვილეში ამ ინტელექტუალებს შესანიშნავად იცნობდა, მაგრამ მათთან ურთიერთობა სჭირდებოდა იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ დაეკმაყოფილებინა თავისი ნარცისული მოთხოვნილებები. აქვე შეიძლება აღინიშნოს კაფეში მისი წარმატებული გამოსვლების აკვიატებული ჩამონათვალი.

გომბროვიჩი თავისი თავისგან გვიანდელი ხანის რომანტიკოსს ქმნიდა, ამისთვის მუდმივად ახდენდა საკუთარი "დემონიზმის" კულტივირებას, ყველაფერზე მზად ჰქონდა "სხვანაირი" შეხედულება, მკითხველის მხრიდან კრიტიკის ნებისმიერ გამოვლინებას აღკვეთდა

ახალგაზრდა, თავმომწონე ლიტერატორისთვის დამახასიათებელი იაფფასიანი დამცინავი დამოკიდებულებით (როგორც ბულგაკოვის პანირევი). მწერალი თითქოს ვერ ამჩნევს იმ არაბუნებრივ გულუბრყვილობას, რომელიც თან ახლავს მისსავე ბაქიობას ისევე, როგორც ვერ ამჩნევს კიდევ უფრო დაუჯერებელ გულუბრყვილობას, რითიც საუბრობს საკუთარ ნაწარმოებებზე, ამ ნაწარმოებების გამომცემლებსა თუ თავის პოლონელ რეცენზენტებზე. სინამდვილეში ამ გულიბრყვილობის მიღმა მიწიერი გრძნობები უფროა სავარაუდებელი, ვიდრე არამიწიერი, ამაღლებული. გომბროვიჩი შესანიშნავად აცნობიერებს, რა არის არსებითად მეტისმეტად ბანალური და თავისი ბანალურობის გაკეთილშობილებას ცდილობს, ამისთვის იმ ლათინოამერიკელებისგან ნასესხებ კონსტრუქციებს იყენებს, რომელთა მიმართაც მისი დამოკიდებულება ზედმეტად სნობისტური და პროვოკაციული იყო (სინამდვილეში კი იგი მხოლოდ მცირეოდენი ყურადღების მოპოვებას ცდილობდა).

გომბროვიჩი ავადმყოფური ინტერესით აკვირდება უცნაურ წვრილმანებს და შემდეგ ზედმიწევნითი სიზუსტით აღწერს მათ: ქვიშაში პირაღმა მწოლარე ხოჭოებს, ბილიკზე დაგდებულ სამ კენჭს თუ ოფიციანტის ჩამოკიდებულ ხელს. მაგრამ ეს სწორედ ის მოჩვენებითი ავადმყოფურობაა, რომლის გამართლებასაც ავტორი მეტაფიზიკური კონსტრუქციებით ცდილობს. სხვა შემთხვევაში იგი ასეთივე "მოჩვენებითი" სისასტიკით ესხმის თავს ამა თუ იმ პრობლემას: შეიძლება გავიხსენოთ მისი მწვავე გამოხდომები ფერწერის თაობაზე და კიდევ უფრო ცეცხლოვანი გამოსვლები ბახის მისამართით. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ავტორის მიზანი გარშემომყოფთათვის სიმშვიდის დარღვევა და აყალმაყალის ატეხვა იყოს. ეს ერთი შეხედვით, მაგრამ როგორც კი ბუენოს-აირესში ფრანგული ჟურნალის "პრეგოს" მთავარ რედაქტორთან აღმოჩნდება, იგი მყისვე ჯანსაღად მოაზროვნე, თავაზიანი და კეთილგონიერი ადამიანი ხდება.

ყველაფერი, რასაც გომბროვიჩი ამბობს, მეტისმეტად მწვავეა და ბოლოში უთუოდ ძახილის ნიშანს ითხოვს. იგი საკუთარ უბედურებას არასოდეს ეხება. მაგრამ ამას არც თავმდაბლობის გამო აკეთებს და არც იმიტომ, რომ ირონიული განდგომილება მოსწონდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბრალოდ, მან ამის შესახებ არაფერი იცის.

შემთხვევითობის წყალობით ხდება ჩვენთვის ხელმისაწვდომი მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალები: მას ძალიან სერიოზულად აწუხებდა ანგინა და ხშირად გაგუდვის საშიშროებასაც უქმნიდა. იტანჯებოდა კლაუსტროფობიით და, როგორც ჩანს, ვუაიერიზმითაც. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი, კლინიკური მხარეა მისი "უბედურებისა". მეორე, საჯარო და საზოგადოებრივი მხარე - დევნილობა - უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზულია. მაგრამ ამ თემის შესახებ გომბროვიჩი ისე საუბრობს, როგორც საყოველთაოდ ცნობილ და თავისთავად ცხად რამეზე. მისი ასეთი დამოკიდებულება მარტივი ასახსნელია: პირადი უბედურების გაუცნობიერებლობის მიზეზი ალბათ ის არის, რომ გომბროვიჩს არ ჰქონდა წაკითხული ფროიდი, ხოლო მის მიერ განცდილი ისტორიული უბედურების პირობით-ტრადიციული აღწერა იმას მოწმობს, რომ ავტორი არ იცნობდა მარქსს.

"დღიურის" ავტორის თვალსაწიერი წარმოუდგენლად ვიწროა თანამედროვე მწერლის თვალთახედვასთან შედარებით. შესაძლოა გომბროვიჩის, როგორც შემოქმედის ორიგინალურობა სწორედ ამ ხარვეზით აიხსნება (ფროიდი და მარქსი), ანუ გამოკლების ოპერაციით, რომლის წყალობითაც მწერლის ფანტაზიაში თავს იჩენს ლოგიკური კავშირების წყვეტილობა. "დღიურში" ამგვარი ხარვეზის არსებობა არ არის საპატიო. ბურჟუა უზარმაზარ შრომას დებს იმაში, რომ ნამდვილ განათლებულ ადამიანად ჩამოყალიბდეს. გომბროვიჩი კი არისტოკრატიზმმა (მათ შორის მემკვიდრეობითმა) გაათავისუფლა ამ საზრუნავისგან, რამაც განაპირობა მისი ანარქისტობა და შეუგნებლად რეაქციონერის როლშიც აღმოჩნდა. რაც შეეხება საკუთარი პოზიციის დასაცავად მოხმობილ მოსაზრებებს, სხვა არაფერია, თუ არა თვითნასწავლი, წარუმატებელი და ცხოვრებამოუწყობელი ადამიანის მოსაზრებები.

მისი ანტიკომუნიზმი იმდენად ბანალური და ვულგარულიც კია, რომ სიბრალულს იწვევს. რაც შეეხება კაპიტალისტური და კათოლიკური სისტემების კრიტიკას, იგი მეტად გაუბედავი და მფრთხალია, ჟურნალისტურ ენამახვილობასა და იაფფასიან პარადოქსებზეა დაფუძნებული (შესაძლოა მწერალი არგენტინელი მასპინძლების განაწყენებას ერიდებოდა).

გომბროვიჩი მოკლებული იყო პირად ცხოვრებას, არ მიეკუთვნებოდა არც ერთ პარტიას, არ ჰქონდა სახლი, სამშობლო და ათასი სხვა რამ, ამიტომ ლიტერატურა იყო მისი ცხოვრების ერთადერთი აზრი, ხოლო ლიტერატურულ სამყაროს იმდენად სერიოზულად აღიქვამდა, რომ ეს სინანულს და გულისტკივილს იწვევს. იგი არასოდეს, ერთი წამითაც არ გრძნობდა იმ შეუთავსებლობას, რაც ასეთი თვალშისაცემია მის მკვეხარა ანარქიზმსა და საზოგადოებრივ სისტემასთან მუდმივად მორჩილ დამოკიდებულებას შორის (იმ შემთხვევაშიც, თუკი მას კოსმოპოლიტური ხასიათი ჰქონდა და არ იყო კომპრომეტირებული რომელიმე ხელისუფლებასთან თანამშრომლობით).

რატომ დავიწყე ამ წარუმატებელ წიგნზე საუბარი (ყველაფერთან ერთად წიგნი ცუდადაც არის დაბეჭდილი)? ჩემი ინტერესის მიზეზი ამ წიგნის ორი საუცხოოდ დაწერილი თავია - IX და X (1958წ.). ეს თავები ქმნიან დამოუკიდებელ ნარკვევს, რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ "ნარკვევი ჩანგოს შესახებ".

საუბარია სანტიაგო-დელ-ესტეროში მოგზაურობის დღიურზე (აქ ანარეკლივით გაიელვებს უწინ ტანდილში მოგზაურობის ძალიან მნიშვნელოვანი და მანამდე გაუმხელელი დეტალები, მათ შორის სამოცი წლის ინტელექტუალთან - გიუესთან ურთიერთობის შესანიშნავი ფრაგმენტი).

პირველი გვერდებიდანვე სანტიაგოს აღწერა უჩვეულოდ გამოიყურება, იგი თითქოს იდუმალ სიახლეს შეიცავს. აქამდე ავტორი დაუცხრომელ კლირიკად გვევლინებოდა, რომელიც ირგვლივ მხოლოდ ლიტერატორებსა და ლიტერატურულ კაფეებს ამჩნევდა და მოკლებული იყო ფიზიკურ არსებობას. მოულოდნელად იგი გრძნობადი სილამაზის აღქმას იწყებს და უდიდესი სიზუსტითა და გამომსახველობით ასახავს.

მართალია გომბროვიჩი წინა გვერდებზე ბევრს მსჯელობს სიბერისა და ახალგაზრდობის დაპირისპირებულობის შესახებ, რაც მისი მოგონილი "პორნოგრაფიის" თემაც გახდა. მაგრამ აქ, "დღიურში" ჩანგოს ახალგაზრდობასთან სიბერის შეჯახება მეტად შემაშფოთებელი და გაუთვალისწინებელი აღმოჩნდება, ამასთან მომხიბლავი და სასიცოცხლო ძალებით აღსავსე.

ვინ არიან ეს ჩანგოსები? ესენი არიან ხელზე მოსამსახურე ბიჭი-ლუმპენები, თუ სწორად გავიგე, წარმოშობით ინდიელები. ისინი, როგორც გომბროვიჩის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პირები, მოულოდნელად გამოჩნდებიან "ღღიურის" მხოლოდ ამ მონაკვეთში. მათი გარეგნობის აღწერა ხელის მტევნის აღწერით იწყება ყოველთვის და ენობრივი თვალსაზრისით განსაკუთრებულია. ისინი იდეალურ-პოეტური არსებები არიან და უპირისპირდებიან ყველაფერ დანარჩენს როგორც "სხვა", როგორც ის, რასაც ჩვენ ახალგაზრდობას, სილამაზეს და გრაციას ვუწოდებთ, მაგრამ რაც სინამდვილეში უსახელოდ რჩება, რადგან ავტორი ჩანგოსს ნამდვილი რეალობიდან და სქესის რეალობიდან განცალკევებულად განიხილავს.

მთელი სანტიაგო იმ ენით გამოუთქმელი ფიზიკური სილამაზით ნიშანდებული აღმოჩნდება, რომლის დაჯერებაც შეუძლებელი ხდება მანამ, სანამ იგი მოულოდნელად ჩანგოს სახეში არ განსხეულდება. ესენი არიან საცოდავი ფეხსაცმლის მწმენდავები, დამტარებლები, გარსონები, სასმელების მიმტანები და ა.შ. მათი უპირველესი და მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ ისინი ხელზე მოსამსახურეები, უფრო მეტიც, მონები არიან.

"უბედური" ბატონის, გომბროვიჩის გულში აქ გაჩენილი აღფრთოვანება განსაზღვრავს წიგნის მთელი ამ ნაწილის განწყობას, ტონს. მწერალი - მონების საწყალობელი მდევარი - თითქოს მდუღარე კუპრის წვიმით გავარვარებულ სილაში მიაბიჯებდეს, ისე მისდევს და მიჰყვება თავისი "ბიჭუნების" ნაკვალევს, მაგრამ იგი ვერ ბედავს ამ ფაქტის ვერც სახელდებას და ვერც აღწერას ისე, როგორც სინამდვილეშია (ადამიანურად რისი მოლოდინიც იყო მისგან) - არადა ამას "პედერასტია" ჰქვია. მაგრამ მაშინ რა აზრი აქვს ასეთ ქირქილს, დაუცხრომელ, თავგამოდებულ, გამარჯვებულ ქირქილს საბრალო პროვინციალების, პოლონელი და არგენტინელი კონფორმისტების ზურგსუკან?

ჩესლავ მილოში

ვინ არის გომბროვიჩი?



წინასწარმეტყველი

გომბროვიჩის სიკვდილის შემდეგ მეტყველი, მაგრამ უბადრუკი სურათი გადაიშალა ჩვენ თვალწინ. ყოვლისშემძლე ბანალურმა ფორმამ აიტაცა მისი უსხეულო ნაშთი, დაატრიალა და გაიტაცა შორეთში - იქით, სადაც ბინადრობენ წარსული დროის გენიოსები. თუკი ჩემი ლირიკული ნეკროლოგით ამას მოვახერხებ, ჩემი ვალია, რაც შეიძლება დროულად აღვუდგე წინ ფორმის ძალმომრეობას. სიცოცხლეში - მასხარა, სიკვდილის შემდეგ გახდა მეფე-მოჩვენება (ვინაიდან მეფე-მოჩვენებებზე დიდი მოთხოვნილებაა). სიცოცხლეში ახირებული, ქედმაღალი, სნობი, უკმეხი, სიკვდილის შემდეგ, მიუხედავად ყველაფრისა, გახდა პროფესორ პიმკოს კერპი, რომელიც ამბობს: "რატომ უნდა გვიყვარდეს ვიტოლდ გომბროვიჩი? იმიტომ, რომ ის იყო წინასწარმეტყველი". თავის დროზე გომბროვიჩის მიერ მასხრად აგდებული თამაში წინასწარმეტყველებს თავს ახვევს თავის უცვლელ, საუკუნეობით დადგენილ წესებს. ვთქვათ ადამიანმა სიკვდილის შემდეგ ჩინებული ქმნილებები დატოვა, კიდევ რაღაა საჭირო? ჯერ სადა ხარ! წინასწარმეტყველი ამასთან უნდა იყოს ნათელი, ამაღლებული, გმირული პიროვნება. თუკი იგი სიცოცხლეში ოდნავ კუზიანი იყო, ისინი, ვინც მის ძეგლს აქანდაკებენ, ამას ოსტატურად ნიღბავენ. ხოლო ისინი, ვინც თავს უფლებას აძლევენ ეჭვი შეიტანონ მწერლის წინასწარმეტყველურ როლში, აქცენტს აკეთებენ არა მის შემოქმედებაზე, არამედ ბიოგრაფიულ დეტალებზე.

გომბროვიჩისადმი, მისი სულის უდიდესი შეუპოვრობისადმი პატივისცემა გვავალდებულებს, ავაშოროთ მწერალს ეს სიკვდილისშემდგომი უბადრუკი ალიაქოთი. საკმარისია გავიხსენოთ, რამდენად გამომწვევი, შემაშფოთებელი, მიუწვდომელი იყო ყველაფერი მის მიერ დაწერილი, რამდენი ამოუხსნელი გამოცანა დაგვიტოვა და რამდენად მცირე იყო საკუთარი ძეგლისთვის მოგროვილი ბრინჯაოს მარაგი. გომბროვიჩმა ხომ არაერთხელ ღიად განაცხადა, რომ ამ ნაგებობას საკუთარი სისუსტეების ფუნდამენტზე აღმართავს. ვინ იცის, იქნებ ჯობდეს იმათ მხარეზე დადგომა, ვინც არასოდეს მალავდა, რომ მათთვის გომბროვიჩი მიუწვდომელი იყო, ვიდრე იმათი მხარდაჭერა, ვინც ირწმუნება, რომ მწერლის მთელი შემოქმედება მათთვის ნათელი და გასაგებია. სინამდვილეში გომბროვიჩი ისეთ რამეებს შეეხო, რაც ჩვენთვის ამ საუკუნეში კი არა, საერთოდაც მიუწვდომელი დარჩება.

ბატონების სახლში

გომბროვიჩი წარმოშობით ბატონიშვილი იყო პოლონელი მემამულის ოჯახიდან. ეს "ნორმალური" საზოგადოებრივი ინსტიტუტი იმ ისტორიულ პერიოდში რაღაც სამარცხვინო და სასაცილო რგოლად იქცა. ამ ფონზე გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ პოლონეთში ბატონების სახლი ძალიან დიდხანს იყო რესპექტაბელურ-სენტიმენტალური შარავანდით მოსილი. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, სახელმწიფო წყობილებაში ღრმად ფესვგადგმული სამამულო ტრადიციებია. XX საუკუნის გარიჟ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაჟზე დაიწერა სენკევიჩის "პოლიანეცკების ოჯახი", ხოლო ამავე საუკუნეში ვეისენჰოფის ნაწარმოებებს ფეხდაფეხ მოჰყვა თავადაზნაურთა ბუდეების სხვა მომღერალთა ტექსტები. მდიდრების, მათ შორის მემამულეების მისამართით მემარცხენეთა თავდასხმები მიზანს ვერ აღწევდა. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ საუკუნეობით დამკვიდრებული მიწათსარგებლობის სისტემისა და მემამულეთა მეურნეობების შემოსავლის ერთადერთი წყარო უბრალო ადამიანების შრომის ნაყოფი იყო. ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, სუსტის ძლიერზე დამოკიდებული მდგომარეობა დღესაც შენარჩუნებულია და, საერთოდ, საზოგადოებრივი სამართლიანობის სახელით ჩვენ ვერ ვისაუბრებთ. მაგრამ მაინც, ბატონების სახლებში მცხოვრებნი რიტუალურად იყოფოდნენ ორ ნაწილად - ერთნი, სასადილო თუ სასტუმრო ოთახებში ჩამომსხდარნი, ფანჯრიდან სასიამოვნო ხედის ცქერით ტკბებოდნენ, მეორენი - არაადამიანები, ქედმოხრილები, მუხლჩაუხრელად ტრიალებდნენ მინდვრებსა თუ სამზარეულოებში. ამ ორი ბანაკის გამყოფი უფსკრული ოსტატურად იყო შენიღბული პოლონური კულტურის სენტიმენტალიზმით. ერთი სიტყვით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ისტორიისთვის მისაღები იყო ასეთი სოციალური წყობა. ჩვენ დღესაც ნაკლებად ვფიქრობთ მათზე, ვინც სოპლიცოვოში ზღაპრულ ნადიმებს მართავდა. და საერთოდ, მსგავს კამუფლაჟს თავისი განსაკუთრებული მიზეზები ჰქონდა: წინ გაზონები, ბაღი, ბოსტანი და სადღაც შორს მოახლეთა სამყოფი ნაგებობები. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბატონის კარმიდამო იმ სოციალურ იერარქიას ასახავდა, რომელიც უფრო მაღალ დონეზეც იყო შენარჩუნებული. მოჯალაბენი ვალდებული იყვნენ არა მხოლოდ ემუშავათ ბატონების სასარგებლოდ, არამედ მათ დანახვაზე კეთილგანწყობილების გამომხატველი ღიმილით ქუდები ეშვლიპათ. გოგოებს ბატონის ხელის ცაცუნზე ხალისიანად უნდა ეკისკისათ. საბრალო შლიახტიჩი მსხვილ მიწათმფლობელს ეპირფერებოდა და ელაქუცებოდა, ხოლო იგი, თავის მხრივ, ფეხქვეშ ეგებოდა მაგნატს. ამ სისტემას, როგორც ჩანს, მოსპობა არ ემუქრება, რადგან მან სულ მალე ბიუროკრატიაში გადაინაცვლა. ამაში ნებისმიერი იოლად დარწმუნდება, თუკი ოდესმე პოლონური დაწესებულებების ზღურბლზე გადაუბიჯებია. ქედმოხრილობა იმ ადამიანებთან ურთიერთობისას, ვისზეც ხარ დამოკიდებული, ნიშნავს უგულობას, გულგრილობას იმ ადამიანებთან მიმართებაში, ვინც შენზეა დამოკიდებული.

მოკლედ რომ ვთქვათ, გომბროვიჩის ინტერესთა ჭიდილი ამგვარ სახეს იძენს: მე, ვიტოლდ გომბროვიჩი, ვარ ადამიანი და მსურს ვიყო ის, ვინც ვარ, მაგრამ კლასობრივი ხვედრის გამო არ მაძლევენ საშუალებას, ვიყო ადამიანი და ვიყო ის, ვინც ვარ. მე, ბატონიშვილი ვიტოლდი, უმაღლეს ფენას მივეკუთვნები, დაბალი ფენის წარმომადგენლები ჩემში ხედავენ არა იმას, ვინც ვარ სინამდვილეში, არამედ ბატონიშვილს. გომბროვიჩის ფილოსოფიის გასაღები მისსავე მოთხრობებშია, რომლებიც ეძღვნება მოჯამაგირეთა შვილებთან თამაშის აღწერას თუ სამოახლოს მომხიბვლელობას. რა თქმა უნდა, არა მხოლოდ მას გამოჰყვა ბავშვობის ასაკიდან სირცხვილის გრძნობა იმ იერის, ჟესტიკულაციის და მანერების გამო, რომელიც მოარგეს. სხვები მამულიდან გაქცევას და კვალის წაშლას ამჯობინებდნენ. მაგრამ გომბროვიჩი, დამოუკიდებელი გონების ადამიანი, ადრე მივიდა იმ აზრამდე, რომ კუზიანმა თავი არ უნდა მოიტყუოს, თითქოს მას კუზი არა აქვს; პირიქით, ვინც საკუთარ კუზს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიღბავს, იგი "უკუზო" ადამიანურობას იძენს. მოგვიანებით მწერალი ასე მსჯელობდა სხვა კუზის შესახებაც. ეს კუზი პოლონური სულის კუთვნილება იყო. გომბროვიჩის ყველა წიგნი ერთი ღერძის გარშემო ტრიალებს, ღერძისა, რომელიც მაღალთ და მდაბალთ ერთ განუყოფელ, ურთიერთგანმსაზღვრელ მთელში აერთიანებს. ბატონის სახლის პარმაღთან წვიმაში უქუდოდ მდგარი გლეხები ქუდით ქოლგის ქვეშ თავშეფარებული და მოსაუბრე ბატონის უპირატესობას ეწაფებიან. ბატონი მხოლოდ მანამდეა ბატონი, სანამ მას გლეხებისგან ფიზიკური სივრცე აშორებს. საკმარისია გლეხი სულ ოდნავ შეეხოს, იგი მაშინვე კარგავს ბატონურ არსებობას, მისი ძარღვებიდან ცისფერი სისხლი იწყებს დენას. მოგვიანებით გომბროვიჩმა ეს ანტითეზა სხვა კონტრასტული წყვილებითაც შეავსო: სიმწიფე - უმწიფრობა, სიბერის სიმახინჯე - სიყმაწვილის სილამაზე, სამშობლო - უცხოეთი, და ამ ოპოზიციურ წყვილებს შორის თამაშიც მოიგონა. მაღალი, იმყოფება რა საკუთარი სიყალბის - ფორმის სიყალბის ტყვეობაში (ცხრაკლიტულში), მიიწევს მდაბალისკენ, ხოლო მდაბალის ოცნებაა გახდეს მაღალი; მწიფე დარდობს დაკარგულ უმწიფრობას, ხოლო უმწიფარი გაუცნობიერებლად ესწრაფვის სიმწიფეს; ყმაწვილი ასაკოვანს ბაძავს მანერებით მაშინ, როდესაც საკუთარი ნაოჭებით გაბეზრებული ასაკოვანი ყმაწვილს შეჰნატრის. სასტუმრო ოთახში ზრდასრული, ჭარმაგი ადამიანების, რომლებიც სამშობლოს იდეასაც განასახიერებენ, გარემოცვაში მყოფი ბატონიშვილი სამოახლოში მყოფ ბიჭუნებსა და მოჯამაგირეთა შვილებზე ფიქრობს, დაბალ ფენაზე, უცხო მხარეზე. მხატვარიც კი, რომელსაც შესანიშნავად ესმის, რომ ფორმა უქმნის მას განუსაზღვრელ შესაძლებლობებს (ვინაიდან იგი არჩევანია), ფიქრობს უხამსზე, უგემოვნოზე, სულელურზე, მაგრამ ცოცხალზე.

გომბროვიჩის ფილოსოფიური იგავების (ასეთია მთელი მისი შემოქმედება) მოქმედების ადგილი ბატონის კარ-მიდამო ან სამიკიტნოა ყოველთვის; ზოგჯერ ისეთი კარ-მიდამო, სადაც წუთი-წუთზე უნდა ატყდეს უხამსი აყალმაყალი, რაც მარმაშს ჩამოხსნის იქაურობას და მის ჭეშმარიტ სახეს გააშიშვლებს.

"ფერდიდურკე". ცოლ-ქმარ მლოძიაკების სკოლა და ბინა ნამდვილ პოლონეთში გაქცევის თავისებურ პრეამბულად აღიქმება. იმ პოლონეთში, სადაც არის დუხჭირი სოფელი და ამპარტავანი ქალაქი, არის ბატონებად და მოჯამაგირეებად დაყოფილი მამულიც.

"ბურგუნდიის პრინცესა ივონა". მემამულის სახლი - ზღაპრული სამეფო სასახლის მსგავსი.

"ჯვრისწერა". გენრიკის სიზმარი იმის შესახებ, რომ მისი სახლ-კარი სამიკიტნოდ გადაიქცა, ხოლო საცოლე - მსუბუქი ყოფაქცევის ქალად. რა არის ეს, პოლონეთის მეტაფორა? სახლ-კარი თუ სამიკიტნო?

"ტრანს-ატლანტიკი". დიპლომატიური მისია, როგორც ბატონის სახლ-კარი. პიკკალი, ბარონი და ჩუმკალა, როგორც სამიკიტნოს ტიპები. გონზალის კარ-მიდამო - პოლონელი ბატონის კარ-მიდამოს სრული შესატყვისი.

"პორნოგრაფია". პოლონელი ბატონის კარ-მიდამო გერმანული ოკუპაციის დროს. საუბრის ფონი (ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა სიუჟეტურ ხაზზე - იგი სხვა მიზანს ემსახურება) "არარეალურია", ამბობს ზოგი, მაგრამ ეს მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ომის დროს სოფელში არ იყვნენ ნამყოფი.

"კოსმოსი". პანსიონატი ზაკოპანიეში, მაგრამ აქ მთავარია პიკნიკი - ბატონების დროსტარების მსგავსი.

"ოპერეტა". სასტუმრო "ჰიმალაი" რევოლუციის წინ და რევოლუციის დროს, ოღონდ ლაქიების რევოლუციის დროს. უფრო სწორად, ასე ჩანს მამულის მეპატრონეთა თვალში: შინაყმების, მდაბიოთა ჯანყი. პირველ მოქმედებაში ლაქიები ბატონის ჩექმებს ლოკავენ (სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით).

ამას შეიძლება დაემატოს მოთხრობა "ნადიმი გრაფინია კოტლუბაისთან", სადაც რჩეული საზოგადოება უადგილმამულო გლეხის შვილის, ბოლეკ კაპუსტინის სხეულს აგემოვნებს.

ადამიანთშორისი

... ცხადია, არ იქნებოდა მართებული, გომბროვიჩის ნაწარმოებები იდეის ნარჩენებამდე დაგვეყვანა, ვინაიდან მისი გონება, ყველა ჭეშმარიტი მწერლის მსგავსად, თავად იკვალავდა გზას და მორჩილად მიჰყვებოდა იმას, რასაც წინასწარგანზრახვის გარეშე ქმნიდა მისი კალამი. მისი წიგნები თანამედროვეობის წინაშე სვამენ კითხვებს, რომელთაგან ზოგიერთს შეიძლება "ჩასწვდე", მაგრამ თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავითვალისწინებთ, რომ მწერლის შემოქმედების ცალკეული ნაწილების აზრი თავად ავტორისთვისაც არ იყო ბოლომდე ცხადი, ეს "ჩაწვდომა" ყოველთვის არასრული იქნება.

მე, რომელიც გავჩნდი ამ ქვეყანაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს არავისთვის მითხოვია და რომელიც უპატრონოდ ვარ მიგდებული სამყაროში, არავითარი საფუძველი არ გამაჩნია ვამტკიცო, რომ არსებობს რაიმე, გარდა ჩემი "მე"-სი. ჩემთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ ის, რასაც ჩემი გონება მოწმობს (გომბროვიჩი ყოველთვის ამტკიცებდა: დეკარტი, კანტი, ჰუსერლი). მე არც იმის მტკიცებულება მომეპოვება, თითქოს რაღაც ობიექტური პრინციპი განსაზღვრავდეს კოსმოსის არსებობას და რომ სამყაროში თითქოს რაღაც "კანონები" მოქმედებდეს, მათ შორის მიზეზობრიობის კანონი. ის რაც პირდაპირ მე მეკუთვნის და ჩემს ერთადერთ რეალობას შეადგენს, ეს არის ადამიანთშორისი რეალობა, რადგან მე დაკავშირებული ვარ სხვა ადამიანებთან და მუდმივად განვიცდი მათ ზემოქმედებას: ადამიანები გამუდმებით ქმნიან ერთიმეორეს, მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს მეორე ადამიანისთვის ღმერთი. მე, გომბროვიჩი, ბატონიშვილი და პოლონელი ლიტერატორი, ვცდილობ ვიყო ის, "ვინც ვარ", იმ ნიღბების გარეშე, რომელთაც თავს მახვევს ჩემი დიდგვაროვნება და პოლონეთის ისტორიული ტრადიცია. მაგრამ ტრადიციულ ფორმასაც რომ გადავაბიჯო, სრულად მაინც ვერ ვიქნები ის, "ვინც ვარ", ვინაიდან უთანხმოების ყოველ გამოვლინებას თან ახალი ფორმები მოჰყვება.

გომბროვიჩი თავისი ნაწარმოებებიდან ყველაზე მეტად "ჯვრისწერას" აფასებდა. "ჰამლეტის" ამ ახალ ვერსიაში მოქმედება სიზმარში ხდება. ყველაფერ დანარჩენზე "ღრმა ცნობიერებაში" ხომ სწორედ სიზმარი მიმდინარეობს. გენრიკი სხვა ადამიანების ქმედებებში მონაწილეობს, ანუ, უფრო სწორად, ისინი მისით მოქმედებენ, და ყველაფერი, რაც მოსახდენია, ხდება. ჩნდება განცდა, რომ რასაც ვაკეთებ, ყველაფერი უაზრობაა, მაგრამ სხვა გამოსავალი არა მაქვს, რადგან ჩემთვის განკუთვნილი (უფრო უარესიც, ჩემს თავში არსებული) ადამიანთშორისი რეალობის ზემოქმედების ქვეშ ვიმყოფები - ასეთია XX საუკუნის გაორებული არსი, რაც დამახასიათებელია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებისთვის, ტექნოლოგიური ცივილიზაციისთვის, მასობრივი მოძრაობებისა და ტერორისთვის, როგორც ზემოქმედების მეთოდისთვის. საკონცენტრაციო ბანაკების გუშაგებსა და მცველებს შორის სადისტების რაოდენობა განსაზღვრულია, დანარჩენები უბრალოდ ბიუროკრატები არიან.

XX საუკუნემ დაადასტურა გომბროვიჩის სიმართლე. ისე არაფერი ტანჯავს ადამიანებს, როგორც თავის მოტყუება. ჯოგურ გრძნობებს წამოგებულებს და ბრბოს მანიით დაავადებულებს ეჩვენებათ, რომ საკუთარი "მე"-ს გულისგულში წარმოშობილ წადილს მიჰყვებიან, სინამდვილეში რეკლამისა და პროპაგანდისადმი მათი მაიმუნური დამოკიდებულების გამოცალკევება სულაც არ იქნებოდა რთული სრულყოფილი კომპიუტერების მეშვეობით. კაცობრიობის ექსტრაქტი - საკონცენტრაციო ბანაკი გახდა ჩვენი შესანიშნავი ეპოქის ნიმუში და გამართლება.

შეხების გარეშე

გომბროვიჩის შემოქმედება XX საუკუნის უნიკალური მოვლენაა, რადგანაც იქ არ არის არც ერთი სქესობრივი აქტი. ამის მიზეზია მწერლის დახვეწილი, კლასიკური გემოვნება და მოდისადმი ზიზღი. აღვნიშნავთ იმასაც, რომ აქ სიტყვითაც კი არაა ნახსენები სადმე შეხების შესახებ. ადამიანი ადამიანს იმიტომ ეხება, რომ თავად დატკბეს ძალაუფლებით, ხოლო სხვებს წაართვას მსგავსი სიამოვნება (თითით "შეხება", დეზის "კვრა", ჭრილობაში თითის "ტაკება", დანის "ჩარჭობა"). "ოპერეტაში" ალბერტინკა ოცნებობს "შეხებით განცდილ სიამოვნებაზე", მაგრამ რეალურად მხოლოდ ხელთათმანის შეხებას შეიგრძნობს, რომელიც ფრთხილად მიინწევს ქისის მიმართულებით. მარტოოდენ ამგვარად თუ ეკონტაქტებიან ბრბოდ შეკრული ადამიანები ერთმანეთს და ისიც მხოლოდ საკუთარი უპირატესობის დასამკვიდრებლად. ეს ეხება როგორც მათ ფიზიკურ, ისე სულიერ მდგომარეობას. მოკლედ რომ ვთქვათ, გომბროვიჩი, რომელსაც ჩვენი ცნობიერების გარდა ყველაფრის არსებობაში ეჭვი ეპარებოდა, დარწმუნებული იყო ერთ რამეში - ტკივილის არსებობაში. ეს სხვისი ტკივილი უბრუნებდა რეალობას სამყაროს. რა ნუგეშის ან სიხარულის მოლოდინი შეიძლება

* ინგლ. ეს მხოლოდ ჩვენს ცნობიერებაში ხდება

ჰქონდეს საკუთარ ტკივილში ჩაკეტილ ადამიანს, თუკი მოყვასნი ან გაბატონებას ცდილობენ მასზე, ან თავად აღიარებენ მის უპირატესობას, მაგრამ მათი შეხვედრა და ურთიერთობა არ შედგება? მთელი რომანის ან პიესის მანძილზე არ შედგება შეხვედრები არც ცალკეულ პერსონაჟებსა და არც ავტორსა და პერსონაჟებს შორის.

IT'S ALL YOUR MIND*

... იუდეურ-ქრისტიანულ ტრადიციაში "მოაზროვნე მე" არაერთხელ ამხედრებია საკუთარ თავს და უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადებია. ცოდვის ცნება ემთხვევა საკუთარი თავის სიყვარულის გაგებას, რაც ნიშანდობლივია ჩვენი ბუნებისთვის და აქედან წარმოსდგება ბუნებისა და მადლის დაპირისპირება. თანამედროვე ლიტერატურა ერთგვარად აგრძელებს ამ ტრადიციებს, საილუსტრაციოდ საკმარისია კამიუს "დაცემა" გავიხსენოთ. გარდა ცოდვის იდეისა, სხვა მეთოდებიც არსებობს იმისთვის, რომ თავს ნიადაგი გამოვაცალოთ ფეხქვეშ, მაგალითად: "მოაზროვნე მეს" დამოუკიდებლობის შეზღუდვა. მეჩვენება, რომ ყველაფერი ის, რაზეც ვფიქრობ და რასაც შევიგრძნობ - ჩემია, მაგრამ სინამდვილეში სულაც არაა ჩემი, ვინაიდან მე მართული და დეტერმინებული ვარ (ქვეცნობიერის გავლენით, კლასობრივი კუთვნილების მიხედვით და ა.შ.). გომბროვიჩი იმგვარად მსჯელობს, როგორც ფროიდისტები და მარქსისტები, იმ განსხვავებით, რომ ისინი წარსულში არსებულ მიზეზობრივ კავშირებს ადგენდნენ (ავადმყოფობის ისტორიისა თუ საზოგადოების ისტორიის მეშვეობით), ხოლო თვითონ აწმყოს ეფუძნება, ასე ვთქვათ - დღევანდელობას, იმ ფანტასმაგორიას, რომელიც ცნობიერებაში თამაშდება და საყოველთაო, საკაცობრიო განხილვისთვისაა გამოტანილი. მაგრამ ვშიშობ, რომ აქ იწურება ჩემი შესაძლებლობები გომბროვიჩის წვდომისა. ყველა, ვინც სოლს სოლითვე აძრობს, ანუ ცნობიერების მეშვეობით ცდილობს ჩაწვდეს იმას, რაც, თავის მხრივ, ცნობიერებითვე ხორციელდება, თავისებურ "ხსნას" ეძიებს. მაგრამ არის კი შესაძლებელი გადარჩენა (ხსნა), თუკი ფანტასმაგორია გარდაუვალია,

ხოლო ფორმა ისევ და ისევ ფორმას წარმოშობს? მაგალითისთვის ვიკითხავ, ვინ არის დემონური ფრედერიკი "პორნოგრაფიიდან"? შეიძლება გვეთქვა, რომ უსხეულო სულია, რომ არა მისი, როგორც მოწიფული მამაკაცის არაკეთილსახოვნება და უსხეულობის ტანჯვით მორგებული ბოროტმოქმედისა და ინტრიგანის როლი. იგი სამხილის დამახინჯების გზით დაწყვილებს მეფეს და გენიოსს, იმპოტენტის ავხორცული ჟინითა და სხვა ადამიანებზე ფეოდალური ბატონობის წყურვილით შეპყრობილი (რაც მისთვის ფიზიკური სიახლოვის შემცველია) საკუთარ წარმოსახვაში გაითამაშებს მთელ სპექტაკლს, რომელიც შემქმნელისგან გამოცალკევებული და მატერიალიზებული კანონის სახეს იღებს. საბოლოოდ ჭკუის სასწავლებლად და სიმეტრიისთვის ყველაფერი გვამებამდე დაჰყავს, მსგავსად ახალგაზრდა სკუზიაკის გვამისა.

ლიტერატურის საქმე არაა კითხვებზე პასუხების გაცემა, მთავარია, რომ იგი სვამს კითხვებს. ეს ცხადია, მაგრამ ავტორი მაინც ეძებს პასუხებს - რომ არ ეძებდეს, არც კითხვები გაჩნდებოდა - პასუხებს ეძებს მკითხველიც. ავტორსა და მკითხველს შორის წიგნია, როგორც ნივთმტკიცება. გომბროვიჩი ხშირად მასწავლებლის როლში გვევლინებოდა და მნიშვნელოვან ჭეშმარიტებებს ღაღადებდა. მისი დამცინავ-წინასწარმეტყველური გზნება მომნუსხველად მოქმედებდა და გვაიძულებდა ყური მიგვეპყრო მისი სიტყვებისთვის. იგი მწერლებიდან ყველაზე ხშირად შექსპირსა და დოსტოევსკის ახსენებდა. ახლა ძალიან ვნანობ, დოსტოევსკის შესახებ რომ არ ვესაუბრე. ანი ხომ ვერასოდეს გავიგებ რას მიპასუხებდა, როცა ვეტყოდი, რომ მისი წერის მანერაც და მთავარი თემაც ძალიან მაგონებს "ჩანაწერებს იატაკქვეშეთიდან". დოსტოევსკის გმირი-მთხრობელის ამბოხს იწვევს მისივე ნების საპირისპირო "სწორი" ადამიანური ქცევებისა და მიზნების მიმართ საკუთარი მიჯაჭვულობა. იგი უპირატესობას დათრგუნული, გასრესილი ადამიანის სიღატაკეს ანიჭებს, ოღონდ სრულად გაცნობიერებულ სიღატაკეს. რაც უფრო ულრმავდება არსს, მით უფრო ცხადი ხდება გმირისთვის, რომ სხვა ადამიანებისგან დამოუკიდებელი ვერ იქნება (სწორედ ამის გამო ჯანყდება იგი). ვერ იქნება დამოუკიდებელი მკითხველისგანაც, რომელსაც ლანძღავს, ელაქუცება და თავსაც აწონებს. დოსტოევსკისთვის ეს ნაწარმოები ("ჩანაწერები იატაკქვეშეთიდან") ერთ-ერთი ეტაპი იყო იმ გზაზე, რომელმაც საბოლოოდ ბერი ზოსიმეს და ალიოშა კარამაზოვის სახეების შექმნამდე მიიყვანა

საკითხის - შემოქმედებითი აქტის - სხვაგვარი გადაწყვეტაც არის შესაძლებელი. შემოქმედი გომბროვიჩი გამოდის როგორც დიადი აზრების მატარებელი, თავისებური "ზე-ფრედერიკი", რომელიც საკუთარი ნაწარმოებების - თავისი "ჯოჯოხეთის მანქანების"- დადგმას ახორციელებს. დადგმები, რასაკვირველია, წარმატებულია. ისინი გზამკვლევი ვარსკვლავივით უნათებენ სავალს და წინ მიაქანებენ. უფრო მეტიც, მათ თავად ჩამოაყალიბეს იგი ისეთად, რომ სიცოცხლის ბოლოს საკუთარი ტერიტორიის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი ყოფილიყო. აქედან კი სულ ახლოსაა პშიბიშევსკის მანიფესტი თუ "ხელოვნებისადმი ქურუმებრივი მსახურება". არ შევუდგები იმის განსჯას, რამდენადაა ხელოვნება "მხსნელი". ბევრი რამ საპირისპიროს ადასტურებს, განსაკუთრებით ჩვენს დროში, როცა თვით ხელოვნების ცნება განიცდის რღვევას. მისი მხსნელი ძალა მხოლოდ მაშინ ვლინდება, როცა იგი არ არის თვითკმარი, რაც, სხვათა შორის, შესანიშნავად იცოდა გომბროვიჩმა. "ლიტერატურა, რომელიც, საბედნიეროდ, არ არის წმინდა ხელოვნება და რომელიც, საბედნიეროდ, მეტია, ვიდრე ხელოვნება...", აღნიშნავს იგი ნაწარმოებში "საუბრები დომინიკ დე რუსთან".

ახალგაზრდა და შიშველი ადამიანის განდიდება - ალბათ ეს არის ყველაზე შეღწევადი გომბროვიჩის შემოქმედებაში, ვინაიდან დღეს ისევ მოდაშია რუსოს noblesauvage (ფრანგ. კეთილშობილი ველური). თავისთავად ცხადია, მსგავსი განდიდება იმ წარმატებული ლოს-ანჟელესელი ფსიქიატრის წისქვილზე ასხამს წყალს, რომელიც ტიტლიკანა ქალებს და მამაკაცებს ერთად უშვებს თბილი წყლით სავსე აუზში, რათა ერთმანეთს შეეხონ, მოეფერონ და ჩაეხუტონ. ანუ მათი ურთიერთობა ჩვილი ბავშვის ენაზე მიმდინარეობდეს და ამით გამოაღვიძონ საკუთარი უბიწობა (იმავდროულად სექსუალური პოტენციაც). მაგრამ გომბროვიჩის ტექსტებში არაფერია ისეთი, რაც მარად შიშველი სიჭაბუკის ზეიმს უჭერდეს მხარს. უმწიფრობაში დაბრუნება, რასაც პროფესორი პიმკო აიძულებს "ფერდიდურკეს" ოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაათი წლის პერსონაჟს, მხოლოდ იმის დასტურია, რომ უფროსები ხშირად მანიპულირებენ ახალგაზრდებით, რასაც ეს ახალგაზრდები ხან ემორჩილებიან, ხან ეწინააღმდეგებიან. ორი სკოლის წარმომადგენელები - იდეალისტი სიფონი და ბილწსიტყვა მანგუსი მოზარდთა ქცევის საყოველთაოდ ცნობილი კანონზომიერებების შესაბამისად ირჯებიან. თავხედი და ბინძური მოზარდების არსებობა გამართლებულია პეწენიკა ჭკვიანი ბიჭების არსებობით და პირიქით - მსგავსად ამისა, ფილოსოფოსების შესახებ იგავში სინთეზისკენ მიდრეკილი ფილიდორი და ანალიტიკოსი ანტიფილიდორი იმდენად არიან ერომანეთთან დაკავშირებული, რომ ცალ-ცალკე არსებობა არც შეუძლიათ. მსგავსი რამ ჩვეულებრივია გომბროვიჩთან: მორწმუნეებს რაღაცაში სჭირდებათ არამორწმუნეები, ხოლო არამორწმუნენი ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდებოდნენ მორწმუნეების გარეშე. ახალგაზრდები ისევე არიან ფორმის ტყვეობაში, როგორც ზრდასრულები. მათი უპირატესობა მხოლოდ მოქნილობასა და პლასტიკურობაშია. ამასთან, უფროსებისგან განსხვავებით, ისინი თავის თავში პირობის, აღთქმის მატარებლები არიან და ამ დანაპირების უნებლიე შეუსრულებლობა აცდუნებს ასაკოვნებს, რომელთაც ყმაწვილების დაუფლება სწადიათ, როგორც გენიოსი და მეფე ეუფლებიან ფრედერიკს "პორნოგრაფიაში".

თავს ნებას მივცემ ერთგვარი სარისკო რამ ვთქვა: დასავლეთში ზოგი პოლონელი მწერლის წარმატების საფუძველი გაუგებრობაა. ეს არ ნიშნავს, რომ მათი წარმატება დაუმსახურებელია. უბრალოდ, იმის თქმა მინდა, რომ მათ აფასებენ არა იმის მიხედვით, რის გამოც უნდა დააფასონ. გახდა მხოლოდ ჩაცმული ადამიანისა შეიძლება; იქ, სადაც არ არიან ქურუმები, არც მასხარები იქნებიან. დასავლეთის სამყარომ "თავისი თავისგან განაგდო" ღმერთი, სამშობლო, ვიქტორიანული მორალი, ჭკუა და ზრდილობის შესახებ ჩვეულებრივი შეხედულებებიც კი, როგორც მროჟეკის "ტანგოში" სტომილოვების ოჯახმა. ამ ბრწყინვალედ შესრულებული ქირურგიული ოპერაციის შემდეგ რაც რჩება, ეს არის არც თუ სასიამოვნო საყურებელი შიშველი ცხოვრება. მისი სახელია nada (არაფერი, არარა). სწორედ ამიტომაც მოსძალებია დასავლეთს დღეს სევდა ტანისამოსის, რიტუალების, ახალი ქურუმების ანუ იმ პრინციპების გამო, რომლებიც უფლებას მისცემდა, უყოყმანოდ გაესტუმრებინა იმქვეყნად მისივე მსგავსნი. ფრანგი ინტელექტუალები, ვისაც გომბროვიჩი ხვდებოდა, სრულიად უაზრო სიტუაციაში აღმოჩნდნენ: მათი უკვე მერამდენე თაობა მიეჩვია გაუხდელად გახდას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იაკობინელთა რიტუალის გამარტივებულად შესრულებას. გომბროვიჩს თავად უწერია დღიურში, რომ ერთხელ პარიზში ყოფნისას წვეულებაზე შარვლის გახდას რომ შეუდგა, სტუმრები თავქუდმოგლეჯილი გაიქცნენ, ზოგი კარს ეცა, ზოგი - ფანჯარას.

გომბროვიჩის შემოქმედებითი ბედი განსაზღვრა არა ინტელექტუალებთან კონფლიქტმა, არამედ პოლონური ადათების, ტრადიციების და ამ ტრადიციებით გამაგრებული ურყევი ღირებულებების უარყოფამ. მათი ძალა და ისტორიაში ფესვგადგმულობა, დოქტრინებსა და აბსტრაქციებში აღორძინების უნარი უცხოელთათვის ძნელი გასაგებია. და აი, ბორკილების გამგლეჯი გომბროვიჩი, ეს ანტიფილიდორი, რომლის მოვლინება გამართლებულია პოლონელი ფილიდორის არსებობით, მიდის უცხოელ მკითხველთან, რომელსაც მსგავსი ბორკილები ენატრება და მზად არის აღფრთოვანდეს იმით, რამაც ჩვენ ასე დაგვტანჯა. ვფიქრობ, ამგვარი მკითხველი ცდილობს გომბროვიჩი ამა თუ იმ მიმართულებას მიაკუთვნოს, მის შემოქმედებაში ხედავს მხოლოდ "მორიგ ნაბიჯს ყველანაირი ბუნდოვანების (საფარველის) გაგლეჯისა და განადგურების გზაზე". "მორიგ ნაბიჯს", რომელიც სიახლით აოცებს და იმდენად აღაგზნებს, რამდენადაც რთული, ტევადი და გამჭრიახი ინტელექტის მქონეა გომბროვიჩი დასავლელ მეტოქეებთან შედარებით. მაგრამ ეს მთლად მართალი არ უნდა იყოს: "მორიგი ნაბიჯი" - ეს არ არის გომბროვიჩი როგორც ასეთი, არამედ პოლონური ლიტერატურის პრიზმაში დანახული გომბროვიჩია, რომელიც უარყოფს და აპროტესტებს...

ბერკლი, 1970 წელი

თარგმნა ემილ ვიბლიანმა

ბორის გროისი

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შესახებ

ბოლო ხანებში კულტურის განვითარებამ რამდენამდე უჩვეულო ხასიათი მიიღო. ერთი მხრივ, მთელ მსოფლიოში იზრდება თანამედროვე ხელოვნების მუზეუმთა რიცხვი. დებენ ფულს, იწვევენ ცნობილ არქიტექტორებს, უკეთებენ რეკლამას და ა.შ. მეორე მხრივ, ეს მხატვრული ინსტიტუცია - მისი ყველა ასპექტი, უპირველესად კი მისი დანიშნულება მოახდინოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმიფიცირება - აქამდე არასდროს დამდგარა ასეთი სერიოზული ეჭვის ქვეშ. ამასთან ერთად, არგუმენტები - როგორც ავანგარდისტული, ასევე ანტიავანგარდისტული სამუზეუმო ინსტიტუციების აქტუალურ კრიტიკაში იმდენად ძნელად დანაწევრებადი სახით იხლართება, რომ თითქმის შეუძლებლად წარმოგვიდგება მასთან რაიმე შეკამათება. მიუხედავად ამისა, შევეცდები მსგავსი შეკამათებით გამოსვლას.

ავანგარდისტული არგუმენტაცია თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის წინააღმდეგ კარგადაა ცნობილი: მუზეუმები - ცოცხალი ხელოვნების საფლავებია. ჭეშმარიტად აქტუალური, თანამედროვე ხელოვნება უშუალოდ ცხოვრებაში უნდა ხორციელდებოდეს - ის ფორმას უნდა აძლევდეს ცხოვრებისეულ სამყაროს, გრძნობებს, აღქმას, თავისი დროის სოციალურ რეალობას. მუზეუმში, ან როგორც ამბობენ, მხატვრულ "კოლექციაში" მოხვედრისას, ის ვეღარ შეძლებს ამ ამოცანის შესრულებას, რადგან მისი განხორციელება ნეიტრალიზებული იქნება, თავად კი დისტანცირებული, სუფთა ესთეტიკური, "უწყინარი" ჭვრეტის მხოლოდ ფაქტი გახდება. ასეთი სახით, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმიფიცირება ნიშნავს წავართვათ მას საზოგადოებრივი ზემოქმედების პოტენციალი, გადავცეთ მხატვრული ინდუსტრიის სფეროს - და ამით გავტეხოთ, მოვკლათ. შესაბამისად, თანამედროვე ხელოვნების ჭეშმარიტმა მომხრემ ხელი უნდა შეუშალოს მის მოხვედრას მუზეუმში. მისი მთელი ძალისხმევა უნდა მოხმარდეს იმას, რომ გაახანგრძლივოს თანამედროვე ხელოვნების სიცოცხლე მუზეუმის გარეთ. თუკი თანამედროვე ხელოვნებამ იჩქარა მუზეუმში მოხვედრა, ის დაიკარგება. არსებითად, აქამდე მოდის ავანგარდისტული არგუმენტაცია თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის წინააღმდეგ.

ანტიავანგარდისტული არგუმენტაცია კი, დღეს, მართლაც, უფრო გავრცელებულია, იგი დაახლოებით შემდეგზე დაიყვანება: თანამედროვე მუზეუმი არის ადგილი, სადაც ხელოვნების ისტორიის რეპრეზენტაცია ხდება, ის ისტორია კი, რაც განსაზღვრულ პერიოდში განასახიერებდა ახალს, ორიგინალურსა და ამიტომ სახასიათოს. თუმცა, ახლანდელ დროში ხელოვნების ისტორია დასრულდა - არაფერი ახალი აღარ იქმნება, რადგან მხატვრული ფორმათშემოქმედების შესაძლებლობების რეპერტუარი ამოწურულია. ჩვენი დრო - პოსტავანგარდისტული, პოსტისტორიული დროა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმაც დახარჯა ყველა ნაცნობი მხატვრული მეთოდი - რაიმე ორიგინალურის წარმოება აღარ შეუძლია. ასეთი სახით, დღეს ხელოვნებას ისტორიული სტილის შექმნის ძალა არ შესწევს, რომელიც შეძლებდა მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილი ხელოვნების ისტორიაში ადგილის დაკავებას. ამიტომ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი - ეს არის უაზრობა, ეს არის კომერციული მხატვრული ინდუსტრიის მხოლოდ ფაქტი, რომელსაც ზეწარმოებულობით სურს დამალოს ისტორიულად განპირობებული სიახლის დეფიციტი.

ამგვარად, ის, ვინც დღეს ცდილობს თეორიულად გაამართლოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, თავს ავლენს, ჯერ ერთი, მკვდარი ხელოვნების რეაქციულ თაყვანისმცემლად და ნამდვილი ცხოვრების მოძულედ, მეორე მხრივ კი, სამუდამოდ წარსულში ჩარჩენილ ავანგარდისტად, რომელსაც ძილში გამოეპარა ხელოვნების ისტორიის დასასრული და უკვე აღარ შეუძლია დროის ნიშნების განსხვავება. ორივე პერსპექტივაში ის წარმოგვიდგება მატყუარა, ცინიკური მხატვრული ინდუსტრიის გულუბრყვილო, არაკრიტიკულ თანამდევად. და მაინც, ვეთანხმები სწორედ ამ პოზიციას და გამოსვლას თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დასაცავად. მანამდე კი ვისურვებდი პასუხი გაეცეს კითხვას, ავანგარდისტული და ანტიავანგარდისტული არგუმენტაციები რატომაა დღეს ასეთი ერთსულოვანი, იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ გუშინ ისინი აუცილებლად შეეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს?

პასუხი ამ კითხვაზე იქამდე მიდის, რომ ზემოხსენებული წინააღმდეგობა საწყისშივე პირობითი იყო. კლასიკური ავანგარდი იზიარებდა ტრადიციულ თვალსაზრისს, რომლის თანახმად, ხელოვნების არსი განისაზღვრებოდა შემოქმედებითი, პროდუქტიული საწყისით. მხატვრის როლის ტრადიციულ გაგებას ის მიჰყავდა სამყაროსთვის ახალი, მშვენიერი, საოცარი საგნების მოვლინების ამოცანასთან. ავანგარდს კი პირიქით, სურდა მთელი სამყარო გადაექცია ახალ, მშვენიერ, საოცარ საგნად. ეს განსხვავება მართალია დიდია, თუმცა არც ისე, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ორივე შემთხვევაში მხატვარი მოიაზრება მარტოსულ, პუბლიკასთან დაპირისპირებულ შემოქმედად: ის თავისი ნაწარმოებებით პუბლიკას ან ხიბლავს, ან საკუთარ ქმნილებად გადააქცევს ან პუბლიკით დასახლებულ მთელ ცხოვრებისეულ სამყაროს. თანაც, ორივე შემთხვევაში ჭეშმარიტი მხატვარი არ აღბეჭდავს - ის ქმნის. ამიტომ, აღბეჭდვის მედიალური ტექნიკების გავრცელება, რომელიც ვალტერ ბენიამინმა ჩვენი დროის მთავარ მოვლენად გამოაცხადა, აღიქმება იმის დამამტკიცებლად, რომ დღეს ხელოვნებამ თავისი თავი ამოწურა.

ამგვარად, დუგლას კრიმპი თავის ცნობილ წიგნში "მუზეუმის ნანგრევებზე", იმავე ვალტერ ბენიამინის დამოწმებით, წერდა: "პოსტმოდერნისტული ხელოვნება აღბეჭდვის ტექნოლოგიის გამოყენებას მიჰყავს აურის დაკარგვისკენ. შემოქმედებითი პიროვნების ფიქცია ადგილს უთმობს გულახდილ სესხებას, ციტირებას, ციტატების შერჩევას, უკვე არსებული სახეების აკუმულაციას და განმეორებას. ორიგინალურობის, აუთენტურობისა და არსებობის ცნებები, ასე მნიშვნელოვანი მოწესრიგებული სამუზეუმო დისკურსისთვის, შეწყვეტილი აღმოჩნდება". მხატვრული წარმოების ახალი რეპროდუქციული ხერხები ცვლიან მუზეუმის ორგანიზაციის პრინციპს, რომელიც ემყარება სუბიექტური, ინდივიდუალური შემოქმედების ფიქციას; თავიანთი რეპროდუქციული პრაქტიკით ისინი არღვევენ ჩამოყალიბებულ წესრიგს, მუზეუმს ნანგრევებად აქცევენ. ეს კი იმის გამო ხდება შესაძლებელი, რომ თავად მუზეუმის ორგანიზაციის პრინციპი არის ილუზორული: ის ისტორიულობის მხოლოდ მოჩვენებითობას ქმნის, რაც მოიაზრება როგორც დროში მოცემული კრეატიული სუბიექტურობის გულახდილობა, იქ, სადაც დე-ფაქტოდ საქმე გვაქვს მხოლოდ ერთმანეთთან დაუკავშირებელი არტეფაქტების გროვასთან. ასეთია მიშელ ფუკოსგან მომავალი კრიმპისეული მსჯელობის არსი. ამასთან, ხელოვნების ტრადიციული გაგების კრიტიკა მის მიერ (მისი თაობის სხვა ავტორების მსგავსად) დაიყვანება მხატვრული ინსტიტუციების კრიტიკაზე, მათ შორის სამხატვრო მუზეუმებისაც, რომელიც თითქოს ცოცხლდება ხელოვნების როგორც ამაღლებული, ისე მოძველებული გაგებით. ვინმე შეიძლება იზიარებდეს კრიმპის მიერ სიხარულით მიღებულ "მუზეუმების ნანგრევებს" და ამით განაგრძობდეს მუზეუმების ავანგარდისტული ლანძღვის ხაზს, ვინმე შეიძლება დასტიროდეს შემოქმედების დასასრულს, თუმცა

ყველანი ერთსულოვანნი იქნებიან თავიანთ დიაგნოზში: რეპროდუქციული, მედიალური ტექნიკების საზოგადოებრივმა გადაწონვამ დღეს ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ინდივიდუალური შემოქმედება გაქრობისთვის არის განწირული. ცალკეულ მხატვარს აღარ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს მედიალურ აღბეჭდვას - მას შეუძლია მხოლოდ პასიურად დანებდეს. ასეთი სახით მუზეუმს, როგორც ადგილს, სადაც ხდება ინდივიდუალური შემოქმედების ინსტიტუციონალიზაცია, ბოლო მოეღო.

თუმცა, თავისი დამაჯერებლობით ეს დიაგნოზი დავალებულია ხელოვნების გაგებისგან, რომელიც აიგივებს ავტორობას და შემოქმედებას, გაგებისგან, რომელიც ახლოდან დათვალიერებისას პრობლემატურზე უფრო მეტი აღმოჩნდება. უკვე დიდი ხანია - ბევრი რამით, ფრანგული პოსტსტრუქტურალიზმის და განსაკუთრებით დეკონსტრუქტივიზმის ფილოსოფიური დისკურსის წყალობით - ადამიანი-შემოქმედის ფიგურისადმი, ინდივიდუალური შემოქმედების მითისადმი, მიღებულია ეჭვიანი დამოკიდებულება. დამაჯერებლად იყო ნაჩვენები, რომ ადამიანი არ დგას ენის, საზრისის, მნიშვნელობის ფესვებთან. დღეს უკვე არავის არ შეუძლია მზადყოფნით ამტკიცოს, რომ ადამიანი "კრეტიულია", ამ სიტყვის ტრადიციული აზრით, ანუ, რომ სწორედ ის ბადებს თავის ნაწარმოებებს, ახალ შინაარსებსა და ფორმებს, რომელთა არსებობაზეც თავად ატარებს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას. უფრო მეტიც, უკვე თითქმის მისაღები გახდა, რომ მხატვარი უბრალოდ იყენებს მზა ფორმების ნაკრებს, რომლებიც მოკლებულია რაიმე ინდივიდუალურ წარმოშობას, ანონიმურად ცირკულირებენ და თავისუფლად ლივლივებენ საკომუნიკაციო ქსელებში. დღეს მხატვარი ამიტომ კარგავს მხოლოდ შემოქმედისთვის შესაფერის, ნაწარმოებზე ავტორისეული წარწერის უფლებას. მსჯელობა "ავტორის სიკვდილზე" - ყოველ შემთხვევაში, ფუკოთი და როლან ბარტით დაწყებული - უკვე საყოველთაოდ მიღებულია. აქედან მომდინარეობს თანამედროვე ხელოვნების ფენომენიც, რომელიც სულ უფრო საეჭვო ხასიათს იღებს, მითუმეტეს, რომ "ავტორის სიკვდილი", როგორც ბარტთან, ასევე ფუკოსთან აღწერს არა მხოლოდ რაღაც კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას, არამედ ბევრად მეტი ხარისხით ხსნის ნებისმიერი ადამიანური პრაქტიკის ამოსავალ რეპროდუქციულ ბუნებას.

მიუხედავად ამისა, ორივე თეორეტიკოსი თავის ანალიზში ერთგულებას ინარჩუნებს ზემოთხსენებული ავტორისა და შემოქმედებითი პროვნების გაიგივებასთან. მხოლოდ მას, ვინც ახალ ფორმას ან მნიშვნელობას ქმნის, ამის საფუძველზე შეუძლია დასვას მათზე საკუთარი ავტორისეული წარწერა. თუმცა, შესაძლებელია არა მარტო დაწყების, დაბადების, შექმნის, არამედ დასასრულისაც - თუ გნებავთ, სიკვდილის თარიღის მიწერა. წარწერის გაკეთება შეიძლება არა მხოლოდ ახლად შექმნილ ფორმაზე, არამედ განსაზღვრულად მოხმარება უკვე დიდი ხნის არსებულ ფორმებსა და საგნებზეც, რისი დემონსტრირებაც მოახდინა დიუშანმა თავის რედი-მეიდებში. დღეს ავტორი უკვე აღარ არის შემოქმედი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის აღარ არის ავტორი. მხატვარი დგას არა საგნების დასაწყისთან, არამედ მათ - თუნდაც დროებით - დასასრულთან. ის არ ქმნის საგნებს, მაგრამ მათი შესაძლო მოხმარების (ეს კი ნიშნავს, ინდივიდუალური, ახალი, ორიგინალური მოხმარების) დემონსტრირებას ახდენს. ის საგნებს მოიხმარს რაღაც თავისებური სახით, რასაც წარმოგვიდგენს როგორც ამ სამყაროს საგნებთან მოპყრობის შესაძლო ხერხს.

ფორმები, რომლებთანაც საქმე გვაქვს, არსებითად ანონიმური წარმოშობისაა. მათი შექმნა სათითაოდ - დაუძლეველი ამოცანაა. ჩვენს სამყაროში საგნები ჩნდება უსუბიექტო და უკონტროლო პროცესის შედეგად, ამ ანონიმურ, სერიულ, ტექნიკურ მასობრივ პროდუქციას არ შეუძლია დაემორჩილოს ცალკეული პიროვნების შემოქმედებითი ნებას. თუმცა, ამგვარი ანონიმურად წარმოებული საგნების და ფორმების გამოყენება შეიძლება ინდივიდუალური იყოს. ასე მაგალითად, ყველა ერთსა და იმავე ავტომობილს ატარებს, მაგრამ, ამასთანავე, თითოეულს ინდივიდუალური მართვის სტილი აქვს. ყველა იყენებს თანამედროვე ცივილიზაციის ერთსა და იმავე დისკურსს, მაგრამ ყოველ მათგანს საკუთარი აზრი აქვს. ყველა იყენებს ყველასთვის მისაწვდომ საგნებს, მაგრამ სარგებლობს ინდივიდუალური სახით და ხერხით. მხატვრული ინსტიტუციების სფეროში შეგვიძლია დავაკვირდეთ ანალოგიურ ურთი-

ერთობებს საქონლის ანონიმურ, განსაზოგადოებულ წარმოებასა და მათ კერძო მისაკუთრებას შორის, რაც მარქსმა ოდესღაც საფუძვლად დაუდო ინდუსტრიული ცივილიზაციის კანონის განსაზღვრებას.

ასეთი სახით დღეს საუბარია არა მწარმოებლის, არამედ მომხმარებლის ავტორისეულ წარწერაზე. ხელოვნების ნაწარმოები აღარ არის პროდუქტი, რომელიც ღირებულია მხოლოდ მხატვრული ნაწარმოების ფაქტით, მისი ღირებულება წინასწარ განისაზღვრება იმით, რომ ის აჩვენებს, როგორ შეიძლება იქნეს მოხმარებული რაღაც ანონიმური პროდუქტი - ინდივიდუალური ესთეტიკური პრაქტიკის ჩარჩოებში, რაც მოცემული მხატვრის ცხოვრებისეული პრაქტიკის შესატყვისია (ყოველ შემთხვევაში, ტენდენციაში). ხელოვნების სისტემა - ეს არის დემონსტრაციული მოხმარების სისტემა, რომელსაც, უდავოდ, ბევრი საერთო აქვს მოხმარების სხვა სისტემებთან - მოდასთან, ტურიზმთან და სპორტთან. თუმცა, რა თქმა უნდა, ხელოვნების სისტემა შეუდარებლად უფრო ინდივიდუალიზებულია: თუკი სხვა სისტემებში პრაქტიკაში ხორციელდება ჯგუფური მოხმარება, ხელოვნების სისტემებში პრაქტიკაში ხორციელდება პერსონალური, ორიგინალური, ინდივიდუალური მოხმარება. ხელოვნების სისტემა მაყურებელს სთავაზობს არა იმდენად პროდუქტს, რამდენადაც მისი მოხმარების ინდივიდუალური ხერხის ვარიანტებს. ან უფრო მოკლედ: ხელოვნების სისტემაში მოიხმარება თავად მოხმარება.

დიდი ხანი თითქმის წარმოუდგენელი იყო, რომ კრიტიკა, მიმართული კრეატიულობის რიტორიკის წინააღმდეგ, საფუძველს აცლის მხატვრულ ინსტიტუციასაც. თუმცა, არის თუ არა კრეატიულობის ტრადიციული ისტორიულ-მხატვრული რიტორიკა ასე უდავო გამართლება ინსტიტუციონალურად უზრუნველყოფილი ხელოვნების ავტონომიის, რომ ამ რიტორიკის კრიტიკა იგივეობრივი აღმოჩნდება ინსტიტუციის კრიტიკისა? მართლაც, თუ ვიფიქრებთ, რომ მხატვრული ნაწარმოები აუცილებლად გამოირჩევა ყველა დანარჩენი საგნისგან თავისი განსაკუთრებული გამომსახველობისა და ხარისხის ძალით, ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ - ნაწარმოები არის არსი შემოქმედებითი გენიის გამოვლენის, მაშინ ქრება ყოველგვარი საჭიროება ნებისმიერი მხატვრული ინსტიტუციის. რადგან თუკი ხელოვნების ნაწარმოებები ისედაც უშუალოდ გამოიყურებიან და როგორც ასეთი, თავს იმკვიდრებენ, მაშინ იმისთვის, რომ მოიპოვონ ვიზუალური მნიშვნელობა, მათ არ სჭირდებათ სპეციალური, პრივილეგირებული, მუზეუმის კონტექსტის შექმნა. გენიალური სურათი, თუკი ასეთი საერთოდ არსებობს, შეგვიძლია გამოვიცნოთ და შევაფასოთ სრულიად პროფანულ სივრცეშიც.

მხატვრული ინსტიტუციების და უპირველესად თანამედროვე ხელოვნების მუზეუმების დინამიური განვითარება, რისი მოწმეც გავხდით ბოლო ათწლეულებში, ხელოვნების ნაწარმოებსა და პროფანულ საგნებს შორის აშკარა სხვაობის წაშლის პროცესის პარალელურად მიმდინარეობს, ასევე ხელით შექმნილ და ტექნიკურად წარმოებულ საგნებს შორის, რასაც ასე თანმიმდევრულად აღწევდნენ ჩვენი საუკუნის ავანგარდული მიმდინარეობები. ხელოვნების ნაწარმოები რაც უფრო ნაკლებად თვალსაჩინოდ განსხვავდება პროფანული საგნისგან ან ტექნიკურად წარმოებული ობიექტისგან, მით უფრო აუცილებელი ხდება თვალსაჩინო განსხვავება საგნის მყოფობის მხატვრულ კონტექსტსა და პროფანულ, ყოველდღიურ კონტექსტს შორის. ხელოვნების

ნაწარმოებს, რომელიც ასე დაემსგავსა "ნორმალურ საგანს" თუ მედიასახეს, ამიტომაც უჩნდება მოთხოვნილება მუზეუმის კონტექსტუალიზაციისა და მუზეუმის დაცვის. ჩვენს დროში მუზეუმი არის უკანასკნელი საშუალება ხელოვნების არახელოვნებისგან გასარჩევად.

ამგვარად, კრეატიულობის ცნების კრიტიკა აღმოჩნდება არა მარტო დაშორებული მუზეუმის როგორც ინსტიტუციის ლეგიტიმურობის შერყევის ან წართმევის ამოცანისგან, არამედ, უფრო მეტიც, ის ამატებს საკუთარ თეორიულ საფუძვლებს თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუციონალიზაციის და მუზეუმიფიკაციისთვის. დიუშანის მიერ რედი-მეიდის მეთოდის შემოტანით, მუზეუმის კოლექცია, მუზეუმის სივრცე, მუზეუმის ინსტიტუცია - ეს არის ის, რის გარეშეც ხელოვნების პრაქტიკა აბსოლუტურად შეუძლებელი ხდება. სწორედ იმიტომ, რომ ფოტოგრაფია ან ვიდეო- და კინოპროდუქცია თანამედროვე კულტურის კონტექსტში წარმოადგენს ფართოდ გავრცელებულ, უპიროვნო და მრავალმხრივ პრაქტიკას, რომელშიც იხსნება ნებისმიერი ინდივიდუალური შემოქმედებითი მოღვაწეობა, აიმტომ მუზეუმის კონტექსტის აუცილებლობა ძალას ინარჩუნებს როგორც ფოტოგრაფიისთვის, ასევე მედიის ხელოვნებისთვის. აღბეჭდვის ტექნიკური საშუალებების გამოყენების ინდივიდუალური სტრატეგიები მხოლოდ მუზეუმის კონტექსტში შეიძლება იქნეს მკაფიოდ ფორმულირებული, დაპირისპირებული სხვა სტრატეგიებთან, გამოვლენილი და დემონსტრირებული.

ამასთანავე, ზემოთქმული ნიშნავს, რომ პრინციპული სახით შეიცვალა მუზეუმის დამოკიდებულება ე.წ. ხელოვნების ისტორიასთან. ნორმატიულმა ისტორიულ-მხატვრულმა ნარატივმა, რასაც ტრადიციულად ეფუძნებოდა თანამედროვე მხატვრული მუზეუმი, დაკარგა თავისი წინანდელი უტყუარობა. ჩართულობისა და გამოკლების კრიტერიუმები, რითაც, არსებითად იგება ხელოვნების ისტორია, კარგა ხანია საფუძვლიანადაა კითხვის ქვეშ დასმული. დისკრედიტებულია თავად ისტორიის იდეალი: ის შეიცვალა ცალკეული, კონკურირებადი, წინააღმდეგობრივი, არარედუცირებადი, სხვადასხვაგვარი ისტორიების მრავალფეროვნებით. ამიტომ, როდესაც გვესმის, რომ თანამედროვე ხელოვნებაში არ შეიძლება რაიმე სიახლის დანახვა, რადგან ჩვენ განვიცდით ხელოვნების ისტორიის დასასრულს, მაშინ ეს დიაგნოზი მხოლოდ ნაწილობრივაა სამართლიანი. საუბარია არა სიახლის კრიზისზე, არამედ ძველის კრიზისზე. ისტორია, როგორც მოთხრობა ძველის შესახებ, მუზეუმში მის რეპრეზენტაციასთან ერთად, გახდა არაზუსტი. ამიტომ დღეს ჩვენ მზად არ ვართ განსაზღვროთ, რითი განსხვავდება ერთმანეთისგან აქტუალური ხელოვნება და ისტორიული ხელოვნება. ჩვენ აღარ შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ, საკუთრივ რა მიეკუთვნება ძველი ხელოვნების ისტორიას, რადგან არ შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ იმაში, რაც დღეს, ისტორიული თვალსაზრისით, წარმოადგენს სიახლეს.

ამ ამოცანას ემსახურება მუზეუმის თუ საგამოფენო დარბაზის სივრცე: სწორედ აქ შეგვიძლია გავაცნობიეროთ, რით განსხვავდება ერთმანეთისგან ეს ორი კონტექსტი, რომლებშიც ჩვეულებრივ ხვდებიან თანამედროვე ცივილიზაციისთვის დამახასიათებელ სახეებს. ერთი მხრივ, სახეებთან ჩვენ შეხება გვაქვს ინფორმაციის ან სოციალური კომუნიკაციის კონტექსტში. ძირითადად ასეთი რამ ხდება მედიის ქსელში, სადაც ეს სახეები ფასდება მათი უშუალო ზემოქმედების, საზოგადოებაში მათი წარმატებულობის და უპირველესად კომერციული ეფექტურობის მიხედვით. მეორე მხრივ, ჩვენ შეხება გვაქვს სახეებთან მუზეუმის კონტექსტში: აქ, მხატვრის მიერ გაშუალებული სახეები შეიძლება უკიდურესად ინდივიდუალურად შევადაროთ ერთმანეთს, ისევე როგორც სხვა ეპოქებში შექმნილ სახეებს. ერთსა და იმავე სახეს, მიუხედავად იმისა, ტრადიციული ფერწერული იქნება თუ ტექნიკურად წარმოებული, შეუძლია ფუნქციონირება როგორც მასმედიის კონტექსტში, ასევე მუზეუმის კონტექსტში. თუმცა, აქედან არ გამომდინარეობს, რომ ამით სხვაობა ამ კონტექსტებს შორის მოიხსნება, რადგან სახეების გამოყენება განსხვავებული რჩება.

ასეთი სახით მუზეუმი იმ ადგილიდან, სადაც წარსულის ხელოვნება გამოიფინება, გადაიქცა მანქანად, რომელიც აწარმოებს ახალ ხელოვნებას, უკვე დიდი ხნის არსებულ საგნებს და სახეებს ათავსებს სხვა, ყოველდღიური და მედიალური სინამდვილის ალტერნატიულ კონტექსტში. როგორც წესი, ჩვეულებრივი საგანი ან ტექნიკურად აღბეჭდილი გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახულება მხოლოდ მუზეუმში შეიძლება იქნეს როგორღაც სხვაგვარად გამოყენებული და ინტერპრეტირებული.

თანამედროვე მუზეუმი თავის დარბაზებში იღებს არა განსაკუთრებულს, გენიალურსა და აურატიულს, რომელმაც ისედაც მოიპოვა აღიარება დიდ სამყაროში, არამედ უფერულს, ტრივიალურს, ანონიმურსა და ყოველდღიურს, რომელიც იკარგება მუზეუმის გარეთა სინამდვილეში. თუკი ოდესმე გაქრობა ელის მუზეუმს, ხელოვნებისთვის დაკარგული აღმოჩნდება ნორმალურის, ყოველდღიურის, ტრივიალურის ჩვენების შესაძლებლობა და მაშინ იმისთვის, რომ განამტკიცოს თავისი წარმატებულობა და სიცოცხლისუნარიანობა, ხელოვნებას მოუწევს გახდეს უჩვეულო, გამაოგნებელი, განსაკუთრებული. ისტორია კი მოწმობს, რომ ხელოვნებას ეს გამოსდის მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ეზიარება კლასიკურ, მითოლოგიურ ტრადიციას და უარს ამბობს რეალობის აღბეჭდვის ამოცანებზე. თანამედროვე მასობრივი კულტურა, რომელსაც ამჟამად სავსებით დამსახურებული წარმატება აქვს, თავს უძღვნის უცხოპლანეტელთა თავდასხმებს, დაღუპვისა და გადარჩენის მითებს, ზებუნებრივი ძალებით დაჯილდოებულ გმირებს და ა.შ. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, საინტერესო და საგულისხმოა, მაგრამ ზოგჯერ ხომ გინდა ნახო რაღაც ნორმალური, ჩვეულებრივი, ყოველდღიური და გინდა იფიქრო ამაზე. ჩვენს კულტურაში ეს სურვილი შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ მუზეუმში, სადაც ჯერ კიდევ გვაქვს შანსი ვნახოთ რაიმე არათვალშისაცემი და ჩვეულებრივი. ცხოვრებაში პირიქით, ჩვენ განწირულნი ვართ იმისთვის, რომ უჩვეულო გვაოცებდეს.

ფუნქცია, რომელსაც დღეს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ასრულებს - იყოს ერთადერთი კულტურულად დაცული ადგილი, სადაც ყოველდღიურობასთან, მოწყენილობასთან და უსახურობასთან გვექნება ინდივიდუალური კავშირი - გულისხმობს ასევე იმასაც, რომ აქ ხელოვნება გარკვეულ დისტანციას ინარჩუნებს სამხატვრო ბაზართან. ამჟამად უკვე ჩვეულებრივი გახდა მსჯელობები, რომ აქტუალური ხელოვნება სრულად დამორჩილა მხატვრულ ბაზარს. გარკვეული თვალსაზრისით, ეს, უდავოდ, მართალია, მაგრამ მართალია მხოლოდ ნაწილობრივ - რადგან ჯერ კიდევ ფუნქციონირებს მუზეუმის სისტემა. ამგვარად, ეკონომიკური პრინციპი, რაზეც იგება მუზეუმი, ძალზე მარტივია და ეკლესიის ეკონომიკის პრინციპს წააგავს. მუზეუმი ხელოვნების ნაწარმოებებს ყიდულობს ბაზარზე, მაგრამ შემდგომ მათ არ ყიდის. აქ საქმე გვაქვს - იდეალში მაინც - შეუქცევ ეკონომიკურ ოპერაციასთან. და ეს ხდება იმ სამყაროში, სადაც ყველა ეკონომიკური ოპერაცია შექცევადია! როგორც წესი, ყველაფერი, რასაც ყიდულობენ, თუკი ის არ იხარჯება, შემდგომში შესაძლებელია გაიყიდოს. მუზეუმის ეკონომიკური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის არ ყიდის საგნებს და ამასთანავე, არ ხარჯავს მათ. ასეთი სახით თანამედროვე ეკონომიკაში მუზეუმი ფუნქციონირებს, როგორც შავი ხვრელი: სწორედ ასე ამ ეკონომიკის შიგნით ის ხსნის სიმბოლური გაცვლის, ანუ გაუფასურების სივრცეს, რომელიც ბადებს ღირებულებას.

ამ თავისებური ეკონომიკური ოპერაციის გათვალისწინების გარეშე თანამედროვეობის მხატვრული სტრატეგიები ვერ იქნება გაგებული, რადგან სწორედ ეს სტრატეგიები ცდილობენ წესად დაადგინონ ის, რომ არაღიარებული, მარცხი, ჩავარდნა ტრივიალურსა და უმნიშვნელოში წარმოგვიდგნენ როგორც ღირებულება, როგორც გამარჯვება, როგორც რაღაც უჩვეულო. ამიტომ მუზეუმის გაუქმება, არსებითად, ძალიან იოლია: საკმარისია დაირღვეს ეს ეკონომიკური შეუქცევადობა და გავიტანოთ მუზეუმების კოლექციები უკან, ბაზარზე. მაშინ ყველაფერი, რაც ამ ბაზარზე არ მიიღებს მოთხოვნას - ეს კი, უდავოდ, იქნება თითქმის მთელი თანამედროვე ხელოვნება, - უბრალოდ დაიკარგება. თუმცა, მე არ გამოვრიცხავ, რომ შემდგომში კულტურა გაჰყვეს ამ გზას. მაშინ საკუთარი ბანალურობა აღარ იქნება ჩვენთვის ასეთი ცხადი და მასთან ჩვენი კონტაქტის შესაძლებლობა დაიკარგება.

და ბოლოს, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი - ეს არის ერთადერთი ადგილი, სადაც სხვადასხვა მედიები ურთიერთშედარებისთვის მისაწვდომი ხდება. მხოლოდ მუზეუმის კონტექსტში მედია ხდება შეტყობინება, ანუ ის, რასაც მისგან ოდესღაც ითხოვდა მაკლუენი. თანამედროვე მედია-ხელოვნება ისევეა დამოკიდებული დისკურსზე, როგორც თავის დროზე ტრადიციული ხელოვნება. თუმცა ამჯერად საუბარია არა ისტორიულ-მხატვრულ

ნარატივზე, რომელიც განსაზღვრავს ცალკეული მხატვრული ნაწარმოების ღირებულებას, მიუთითებს იმ ადგილზე, რომელიც უჭირავს საყოველთაო ნორმატიულ ხელოვნების ისტორიაში, არამედ მედიას დისკურსზე, რომელიც ახდენს ნებისმიერი სახის ფარული, მედიალური მხარის თემატიზაციას, რაც საკუთრივ, საინტერესოს ხდის მას მხატვრული თვალსაზრისით.

მედია-ხელოვნების მხატვრულ სისტემაში შესვლამ ბევრ რამეში კითხვის ქვეშ დასვა ტრადიციული საგამოფენო სივრცე. პირველ რიგში იმიტომ, რომ დაკარგული აღმოჩნდა ცალკეულ ნაწარმოებსა და საგამოფენო სივრცეს შორის საზღვრის გარკვეულობა - აუცილებელია მის შესახებ ხელახლა მოლაპარაკება. ამგვარად, მედია-ხელოვნებამ - ვიდეოს ან კინოინსტალაციის ფორმით - საგამოფენო სივრცე, სადაც, ადრე მუდმივი დღე სუფევდა, ჩაძირა ბნელ ღამეში თუ ბინდში. თანამედროვე მუზეუმის თანაბრად განაწილებული, თვალისთვის საამო განათება ჩაქრა. მუზეუმის შუქი აღარ ანათებს ხელოვნების ნაწარმოებებს. ახლა თავად სახეები ასხივებენ შუქს - ვიდეო, ტელე ან კომპიუტერული სახეები. ჩნდება კითხვა: ეკუთვნის თუ არა ეს შუქი ნაწარმოებებს? წინათ მუზეუმის შუქი იყო მაყურებლის სიმბოლური საკუთრება: ამ შუქში ხედავდა ის ნაწარმოებს. ახლა შუქი გახდა ნაწარმოების ნაწილი - და ასეთი სახით მხატვრის მიერ კონტროლირდება. საუბარია მაყურებლიდან მხატვარზე განათების პირობების გადაცემაზე, შესაბამისად კი, იმის კონტროლზე, როგორ აღიქმება ნაწარმოები თვალით. ეს ძვრა ძალზე არსებითია და ის ჯერ კიდევ საკმარისად რეფლექსირებული არ არის.

გარდა ამისა, მედია-ხელოვნებაში მაყურებლიდან მხატვარზე გადადის ჭვრეტის დროის კონტროლი. კლასიკურ საგამოფენო სივრცეში მაყურებელი სრულად აკონტროლებდა ჭვრეტის დროს: მას შეეძლო ნებისმიერ მომენტში შეეწყვიტა ეს პროცესი, მოგვიანებით კი დაბრუნებოდა სურათს. მისი არყოფნის პერიოდში ტრადიციული სურათი არ იცვლებოდა. მოძრაობაში მყოფი სახეების შემთხვევაში კი ეს წესი არ არის დაცული: კინოფილმი, ვიდეოფილმი, ასევე ინტერაქტიული, კომპიუტერით მართული ნაწარმოები მაყურებელს თავს ახვევენ მათი აღქმის დროსა და რიტმს. მასშტაბური ინსტალაციებიც კი, მართალია ტრადიციული მასალისგანაა შესრულებული, ასევე უფრო მეტად, ვიდრე ეს ტრადიციულ ხელოვნებაში იყო მიღებული, მაყურებელს კარნახობენ მათი აღქმის პირობებს.

ასეთი სახით, თუკი მხატვარმა დღეს დაკარგა შემოქმედის სტატუსი, მან ამავდროულად მიიღო მანამდე არნახული შესაძლებლობები აღქმის კონტროლის, გამოსახულების გამოყენების და კონტექსტუალიზაციის. იმის ნაცვლად, რომ თანამედროვე მაყურებელი დატკბეს მხატვრის მიერ შექმნილი სახეებით, მას სთავაზობენ უკვე კარგად ნაცნობ გამოსახულებებს შეხედოს მხატვრის თვალით. შესაძლოა მხატვარი აღარ არის შემქმნელი, მაგრამ ამის წყალობით ის გახდა სანიმუშო მაყურებელი. მხატვარი აღარ არის მწარმოებელი, საზოგადოება კი მომხმარებელი მასა. უფრო მეტიც, დღეს სწორედ მასა ბადებს ანონიმურად ჩვენი ცივილიზაციის პროდუქტებს, მხატვარი კი - ამ პროდუქტების ინდივიდუალური მჭვრეტელია მხოლოდ და მათი მოხმარების ავტორი. თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუცია დღეს ასრულებს ფუნქციას, რაც ადრე, არსებითად, მხოლოდ ღვთისთვის იყო მისაწვდომი - გვიყურეს ჩვენ. ჩვენ კი, როგორც ჩანს, გვინდა, რომ გვიყურონ. ასე რომ, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მივდივართ არა იმისთვის, რომ იქ რამე ვნახოთ: იქ ხომ არაფერია ისეთი, რის ნახვასაც ყოველდღიურ რეალობაში ვერ შევძლებდით. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მივდივართ იმისთვის, რომ დავრწუნდეთ, ხელოვნება ჯერ კიდევ გვიმზერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუზეუმი და ხელოვნების აღქმა პოსტმოდერნის ეპოქაში

ჯანი ვატიმო დაიბადა 1936 წელს ტურინში. ცნობილი იტალიელი მოაზროვნე, ჰ.გ.გადამერის მოწაფე, "სუსტი აზროვნების" ორიგინალური კონცეფციის ავტორი. ცხოვრობს და ასწავლის ტურინში.

ჯანი ვატიმო



ცნება "პოსტმოდერნი" ამჟამად ნაკლებად პოპულარულია, ვიდრე რამდენიმე წლის წინ. მაშინ ის ზედმეტად პოპულარულიც კი იყო (სხვათა შორის, სწორედ ამგვარი გადამეტებით აიხსნება მისი პოპულარობის კლება დღეს). თუმცა, პოსტმოდერნს, როგორც ფილოსოფიურ ცნებას, თავისი დანიშნულება სულაც არ დაუკარგავს - იგი შეუცვლელი რჩება აქტუალური ხელოვნების, მისი არსებობისა და აღქმის თავისებურებათა გაგებისთვის. ფილოსოფიური ნიშნით პოსტმოდერნიზმი გულისხმობს მოდერნულობის განსაზღვრული, მაკონსტრუირებელი ნიშნების დესტრუქციის პროცედურას. თანაც, ერთ-ერთი ასეთი ნიშანი და, როგორც წარმომიდგენია ყველაზე ზოგადი და სახასიათო, არის პროგრესის რწმენა. "მოდერნულობის" ცნებას ეს რწმენა ანიჭებს მისთვის დღემდე დამახასიათებელ ნორმატიულობას, რომლის თანახმად, ყველაფერი უფრო თანამედროვე უფრო ღირებულიც ხდება, რადგანაც ყველაფერი ის, რაც დროის შკალაზე გვიან თავსდება, იმავდროულად ახლო აღმოჩნდება ხოლმე სრულყოფილების telos-თან (დასასრულთან), რომლისკენაც მიმართულია თავად დროის დინებაც. აქედან გამომდინარე, შეიძლება მოდერნულობა განვსაზღვროთ როგორც ეპოქა, რომლის საყრდენი ღირებულებაც თანამედროვედ ყოფნაა.

თუმცა ისტორიული პროგრესის, მოდერნულობის ამ მთავარი ღერძის, რწმენა ჩვენს დროში დაკარგულია. ფილოსოფოსებისა და ისტორიკოსების თეორიული მსჯელობების მსგავსად, თანამედროვე მსოფლიოს ფაქტობრივი სოციალურ-პოლიტიკური წყობა ამ რწმენას ყოველგვარ საფუძველს აცლის. საუბარია არა იმდენად მოდერნულობის კონცეპტის თეორიულ დისკრედიტაციაზე, იდეოლოგიისა და "მეტანარატიის" დასასრულზე, არა იმაზე, რომ ფილოსოფიამ უარი თქვა ისეთ დიდ სისტემებზე, როგორიცაა ჰეგელიანობა, მარქსიზმი, პოზიტივიზმი და ა.შ. არამედ პირველ რიგში, საუბარია ისტორიულ-პოლიტიკური ცვლილებების ერთობლიობაზე: დასავლური იმპერიალიზმის დამხობით, ისტორია, რომელიც თავისთავად, შესაძლოა არის დასავლური "გამოგონება", უკვე წარმოუდგენელია როგორც ერთიანი პროცესი, მაშასადამე, სოლიდარული, საყოველთაო მოძრაობა პროგრესის გზაზე. სიტუაციაში, როდესაც აღარ არსებობს არანაირი "ცენტრალური" ხელისუფლება (იქნება ეს ლუთერამდელი კათოლიკური ეკლესია. წმინდა რომის იმპერია თუ, როგორც ახლო წარსულში, ე.წ. "ცივილიზებული მსოფლიო", თავს რომ თვლიდა კაცობრიობის უმაღლეს მიღწევად და პრეტენზიას აცხადებდა "ცივილიზებული" გაეხადა დანარჩენი მსოფლიო) საუბარი ისტორიის შესახებ, როგორც ერთიან პროგრესულ პროცესზე და, შესაბამისად, ნორ

მუზეუმი

მატიული ღირებულებითი კრიტერიუმების მომცემზე, უკვე შეუძლებელია.

გაიგო პოსტმოდერნი, ნიშნავს გააანალიზო ამ ეპოქალური ძვრის შედეგები, ძვრისა, რომელმაც ისტორიის სხვაგვარ გაგებას ჩაუყარა საფუძველი. მისი არსი შესაძლებელია განისაზღვროს - თუმცა არაა აუცილებელი ყველაფერში დავეთანხმოთ ფუკუიამას - როგორც "ისტორიის დასასრული". ერთ-ერთი ასეთი შედეგია - პლურალიზმის აფეთქება. ამ სრულიად უწყინარი სიტყვის - პლურალიზმის - მიღმა დგას უკიდურესად შემაშფოთებელი მოვლენა. სინამდვილეში, პროგრესის რწმენა, ის, რომ ისტორიის მსვლელობა არის ემანსიპაციის პროცესი, იყო - ყოველ შემთხვევაში, ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე - მოდერნული მენტალობის ერთადერთი გამაერთიანებელი ღირებულება, მისი, ასე ვთქვათ, "რეალურობის პრინციპი". თუკი ეს რწმენა დისკრედიტებულია, თავად რეალობა, როგორც ასეთი, კარგავს აზრს: პოსტმოდერნული აღქმით რეალობა არ არის რაღაც ობიექტური და გარდაუვალი. და ეს მხოლოდ პროგრესის რწმენის დაკარგვასთან არ არის დაკავშირებული. არანაკლებ როლს ასრულებს ჩვენი სოციალური ცხოვრების "მედიატიზაცია". მასმედიას, რომელიც ასე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რეალობის ჩვენეულ აღქმას, სულაც არ გამოუწვევია ჩვენი მსოფლმხედველობის ტოტალიტარული ჰომოლოგიზაცია, პირიქით - მასმედიამ შეხედულებების პლურალიზმის აფეთქების პროვოცირება მოახდინა. არა მხოლოდ განათლებულ ელიტას ესმის, რომ მედია განიცდის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ ზეწოლას. ყველამ იცის, რომ "ტელევიზია ცრუობს". ეს კი, ჩემი აზრით, ნიშნავს, რომ თავად ეს სისტემა თავს მიიჩნევს არა სამყაროს ობიექტურ ასახვად, არამედ მრავალი შეხედულებისა და აზრის ერთობლიობად. ყველაფერს ამას, ისტორიის რწმენის დაკარგვასთან შეხვედრისას, შედეგად მოაქვს რეალობის გრძნობის დაკარგვა.

აქედან გამომდინარეობს ის, რასაც ზოგი ავტორი უწოდებს ცხოვრების ესთეტიზაციის ფენომენს პოსტმოდერნულ ეპოქაში; "რეალობის შესუსტების" საფუძველში - შეხედულებების გულახდილი პლურალიზმია: "ადამიანი პოეტურად ცხოვრობს ამ მიწაზე" - ამბობს ჰოლდერლინი ლექსში, რომელსაც ხშირად იმოწმებდა ხოლმე ჰაიდეგერი. მაგრამ კორექტული იქნება ესთეტიკური კატეგორიის გამოყენება ამ ურთულესი ფენომენის - პოსტმოდერნული არსებობის აღწერისას? მე ვფიქრობ, რომ დიახ, ყოველ შემთხვევაში, იმ ხარისხით, როგორც ჩვენ ვიზიარებთ კანტიდან მომავალ და შემდეგ კირკეგორის მიერ გამყარებულ გააზრებას ესთეტიკური გამოცდილებისა, ესთეტიკური აღქმისა, როგორც "ნეიტრალური" გამოცდილებისა ჭეშმარიტებასთან, სამყაროს ობიექტურ რეალობასთან შეფარდებით. ამ კავშირში მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს იმ ფაქტს, რომ "ესთეტიზაციის" ცნების გამოყენება მოდერნული "რეალობის ხარისხის" დაშლის დასახასიათებლად, გულისხმობს ესთეტიკური აღქმისა და პლურალიზმის კავშირს. ესთეტიკური მომენტი, რაც საშუალებას იძლევა ცხოვრების პოსტმოდერნულ ტრანსფორმირებას ეწოდოს "ესთეტიზაცია", ავლენს თავს სწორედ სტილთა პლურალიზაციასა და გამრავლებაში: როგორც მხატვრული სტილების, ასევე ცხოვრების სტილებისა: ჯერჯერობით არსებობს რეალობის ერთი უმთავრესი გაგება - ესთეტიკური აღქმის საყოველთაოდ მიღებული უნივერსალური "მეტაფორების სისტემა" (როგორც ნიცშე იტყოდა). ანუ ალტერნატიული მეტაფორმების პლურალიზმი შეზღუდულია პოეზიის სფეროთი. მაგრამ დღეს, ამ ნორმის დაშლასთან ერთად, თავად სხვაობა "რეალობასა" და "ესთეტიკურ წარმოსახვას" შორის ქრება.

ამგვარად გაგებულ ესთეტიზაციას რა კავშირი აქვს საკუთრივ ესთეტიკურ გამოცდილებასთან - ხელოვნებასთან, ხელოვნების მოხმარებასთან, მხატვრულ კრიტიკასთან და ა.შ.? მე ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ამჟამად, აქტუალური ხელოვნების სამყაროსთვის დამახასიათებელი საერთო დისკომფორტის მდგომარეობა, კრიზისის განცდა, მნიშვნელოვანწილად სწორედ ესთეტიზაციის ამ ფენომენთან არის დაკავშირებული. ხელოვნებამ და ესთეტიკურმა აღქმამ, საზღვრების დაკარგვით - არადა, ეს საზღვრები მათ სუფთა წარმოსახვის ფარგლებში აკავებდა - დაკარგეს თავიანთი "განსაზღვრებაც". ამ განსაზღვრულობის დაკარგვის ნიშნები ნათლად ჩანს უკვე საუკუნის დასაწყისის ისტორიულ ავანგარდში, რადგანაც მან უარი თქვა შეასრულოს ხელოვნების ტრადიციული "ფუნქციები" და იარსებოს მისი ინსტიტუტების ჩარჩოებში. ამგვარად შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიაზროთ ექსპრესიონისტების პოლიტიკური ანგაჟირებულობაც და "დე სტილისა" და "ბაუჰაუზის" სოციალური მოღვაწეობა. ავანგარდის საფუძველში - მეტ-ნაკლებად გულახდილად დეკლარირებული გაცნობიერებაა იმისა, რომ მოსაზრებებისა და პლურალიზმის გამოთავისუფლების შედეგად საზღვრები "ესთეტიკურსა" და "რეალურს" შორის იშლება. ავანგარდის წარმომადგენლების ინტერესი აფრიკული ხელოვნებისა და "სხვა" კულტურებისადმი გამოწვეული იყო არა საკუთარი ენის ფორმალური განახლების მოთხოვნით; ამგვარი ინტერესი ასევე აფუძნებდა განსხვავებულისა და პლურალურის თავისუფლებას, რაც თავისთავად, ესთეტიკური გამოცდილების არსს წარმოადგენდა.

მგონია, რომ ამაშივე მდგომარეობს ცხოვრების პოსტმოდერნული ესთეტიზაციის საზრისი: პლურალიზმი (მხატვრული სტილებისა და ცხოვრების სტილების) აღარ არის შევიწროებული რეალობისა და წარმოსახვის მკაცრი გამიჯვნით. ამგვარად, ერთი მხრივ, ისტორია სულ უფრო მეტად გარდაისახება ესთეტიკად; სამყაროები და პიროვნებები, რომელთაც ისტორიკოსები შეისწავლიან, სულ უფრო ნაკლებად განსხვავდებიან რომანების სამყაროებისა და პერსონაჟებისგან. მეორე მხრივ, თავად ესთეტიკური აღქმა ხდება სულ უფრო "ისტორიული", თუნდაც იმ აზრით, რომ მსჯელობა ხელოვნების ნაწარმოებზე აღარ მომდინარეობს რაღაც წინასწარდადგენილი ფორმალური კანონიდან (რომელიც გულისხმობს მეტაფორების დომინირებული სისტემის არსებობას), პირიქით, მხატვრულ ნაწარმოებს უყურებენ როგორც Darstellung-ს, რაღაც სამყაროს რეპრეზენტაციის, შესაძლო "ცხოვრების ფორმას". ნუ დავივიწყებთ, რომ დილთაი ესთეტიკურ გამოცდილებას (ისტორიული გამოცდილების ანალოგიურად) განიხილავდა როგორც სხვა ცხოვრების წარმოსახვაში ბინადრობის ხერხს, რომელზეც უარის თქმას გვაიძულებს ყოველდღიურობის რუტინა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, საუბარია იმაზე, რომ პოსტმოდერნულობა - რომელიც ბევრ რამეში წინასწარ განიჭვრიტა საუკუნის დასაწყისის ხელოვნებისა და კულტურის მთელი რიგი ნიშნებით - ფორმალური სრულყოფილების ტრადიციულ წარმოდგენაზე უარის თქმით, ესთეტიკური აღქმის არსს ცვლის და ხელახლა



განსაზღვრავს მას პლურალიზმის ცნებებში. სიამოვნება, რომელსაც განვიცდით ხელოვნების ნაწარმოების ჭვრეტისას, აღარ უკავშირდება რაღაც დაუსრულებლობის განცდას. სიამოვნების ამგვარ ტიპს ბრეხტმა უწოდა "გასტრონომიული" და დაუპირისპირა მას ეპიკური თეატრის მისეული იდეა. ყველაფერი ეს, თუნდაც სხვაგვარი ფორმულირებით (ბრეხტისეული პოლიტიზირების გარეშე), ახასიათებს მთელ ავანგარდს, ისევე როგორც აქტუალურ მხატვრულ პრაქტიკას. ხელოვნება მაინც ვერ შეუერიგდა რეალობას, მათ შორის დასრულებული და სრულყოფილი ფორმის მხატვრული ნაწარმოების რეალობასაც, პირიქით - ის მიუსაფრობის, უსახლკარობის, unheimlichkeit მდგომარეობის პროდუცირებას ახდენს. დისკომფორტი, რასაც განიცდიდნენ ჯოისის "ულისესა" და "ფინეგანის ქელეხის" პირველი მკითხველები და დიუშანის "შადრევნის" პირველი მნახველები და ა.შ., სულაც არ იყო განპირობებული ამ ნაწარმოებთა მხოლოდ დროთა განმავლობაში შესუსტებული "სიახლით". სინამდვილეში ეს დისკომფორტი ესთეტიკური აღქმის იმ ცვლილებების პირველი გამოვლინე-

მუზეუმი ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა იყო, რომლებმაც შემდეგი ათწლეულების მანძილზე მიიღეს ტოტალური ხასიათი. მართლაც, ადვილად შეიძლებოდა ჩვენება, რომ მხატვრული ნაწარმოების ხარისხის შეფასების ჩვეულ კრიტერიუმებს უკვე არანაირი კავშირი არა აქვს მისი ფორმის სრულყოფილებასთან და რომ პირიქით, ის დაკავშირებულია ხელოვნების ნაწარმოების უნართან - რომელიც თანაბრად გახსნილია როგორც ხელოვნების, ასევე რეალური სამყაროსადმი - გამოიწვიოს ჩვენში მრავალი მოგონება, ალუზია, ასოციაცია, მინიშნება, კავშირი. საკმარისია გავიხსენოთ ელიოტის და პაუნდის პოეზია, კეიჯის მუსიკა ან ფელინის ფილმები. არც ერთ ამ პარადიგმატულ შემხთვევას არ მიესადაგება არისტოტელეს "პოეტიკის" ან ჰეგელის "ესთეტიკის" კრიტერიუმები.

მაგრამ, როგორ აისახება ეს ყველაფერი ყოველდღიურ ცხოვრებასა და ხელოვნების აღქმას შორის ურთიერთობაზე? დიფუზიური ესთეტიზაციის სამყაროში აქვს თუ არა ჯერ კიდევ რაიმე აზრი "ხელოვნების ნაწარმოების" ფენომენს? ხომ არ უნდა ვიყოთ მზად იმისთვის, რომ დღევანდელობის ჭეშმარიტი ესთეტიკური გამოცდილება საბოლოო ჯამში შებოჭილი აღმოჩნდება საზოგადოებრივი ცხოვრების სანახაობითი ფორმებით, შოუბიზნესით, მასმედიით, როკ-მუსიკით, რეკლამითაც კი და რომ ხელოვნების ტრადიციულ ფორმებს ელის სულ უფრო მეტი მარგინალიზაცია თითქმის სრულ გაქრობამდე?

არ ვფიქრობ, რომ "ხელოვნების სიკვდილი" მართლაც გარდაუვალია. პირიქით, კოდებისა და სტილების პლურალიზაციის მიუხედაად, სწორედ მასმედიური პროდუქციის ესთეტიკა წარმოადგენს უფრო მეტად "კლასიკურ" ესთეტიკას. ამგვარად, თუკი დღეს სადმე შეიძლება შეგვხვდეს ბერძნული ქანდაკების სრულყოფილების ნიმუშები - ჰეგელიანური ესთეტიკის ეს უმაღლესი ორიენტირი - მხოლოდ ფოტო და ტელერეკლამაში. თუკი სიტყვაში კიტჩი ჯერ კიდევ არის რაიმე აზრი, მაშინ დღეს ამ სიტყვით განისაზღვრება ნაწარმოები, რომელსაც პრეტენზია აქვს კლასიკურობის, სრულყოფილების იდეალის შესატყვისობაზე. ამიტომაც, მომავალში რაც არ უნდა მოიტანოს ყოველდღიური ცხოვრების ესთეტიზაციამ, უნდა ვაღიაროთ, რომ "ტრადიციული" ხელოვნებები ჯერ კიდევ ასრულებენ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას: სწორედ მათ შეუძლიათ ლოგიკურ ზღვრამდე მიიყვანონ პოსტმოდერნული პლურალიზმი, ასეთი სახით რევანში აიღონ მასობრივ ხელოვნებაზე, რომელიც ჯერ კიდევ მისტირის სრულყოფილების კლასიკურ იდეალს... ტრადიციული ხელოვნების ნიმუშები მედიის პროდუქციისგან განსხვავდებიან არა იმით, რომ მათში მეტია ფორმა, მეტია სტრუქტურულობა, პირიქით, ისინი ნაკლებად სრულყოფილია, მათში ნაკლებია დასრულებულობა, ნაკლებია კლასიკური ნიშნები, ისინი ნაკლებად დამაკმაყოფილებელია "გასტრონომიული" აზრით. სწორედ იმის გამო, რომ ისინი არ არიან შებოჭილი საქონლის რეკლამირების აუცილებლობით, მათში შეიძლება უფრო მეტად განხორციელდეს რეალობის საზრისის დაშლის პროცესი, რომელიც, თავის მხრივ მოდერნული ეპოქის დასასრულის მანიშნებელია.

ამ ტექსტის ამოცანას არ შეადგენს პოსტმოდერნული ესთეტიკის ყველა ასპექტის აღწერა, მისი მიზანია - გამოავლინოს ამ ესთეტიკის გარკვეული შედეგები ისეთი სპეციფიკური სფეროსთვის, როგორიცაა მუზეუმი. გარკვეული აზრით, ჩემს მიერ ზემოთ შემოთავაზებული პოსტმოდერნული ესთეტიკის ჩანახატი, ამავდროულად, შეიძლება განვიხილოთ როგორც მუზეუმმცოდნეობითი თეორია. თუკი, მხატვრული ნაწარმოების "გასტრონომიული" კონცეფცია - როგორც ობიექტი, რომლის ღირებულება განისაზღვრება მისი ფორმის სრულყოფილებით - არსებითად ორიენტირებული იყო ხელოვნების პრივატულ მოხმარებაზე, მაშინ, პოსტმოდერნულობისთვის დამახასიათებელი ესთეტიკური აღქმის პლურალისტულობა და "ისტორიულობა", მოითხოვს, როგორც ჩანს, ხელოვნების განსაზღვრას "საჯაროობის" ტერმინებში... თუკი დღეს ესთეტიკური აღქმა თავისი არსით არის მრავალრიცხოვანი შესაძლო სამყაროსა და ცხოვრების ფორმის აღქმა, ესთეტიკური აღქმის იდეალური სუბიექტი სხვა არავინ იქნება, თუ არა მუზეუმის დამთვალიერებელი.

შესაძლოა, ბევრი პრობლემა, რაც დაკავშირებულია საჯარო ინსტიტუტების პრობლემასთან (მათ შორის მათიც, რომელთა დაფინანსების წყაროც კერძო კაპიტალია), განპირობებულია იმით, რომ მათ მიმართ განაგრძობენ "ტრადიციული" ესთეტიკის ლოგიკის, პრივატული მოხმარების (ან, ბრეხტის სიტყვებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ვთქვათ, გასტრონომიული) ლოგიკის გამოყენებას. თუმცა, ჩვენ ჯერ არ ვიცნობთ, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, პოსტმოდერნული ესთეტიკური აღქმის "ლოგიკებს". მაგრამ შეიძლება შევეცადოთ შევიმუშაოთ ის რომელიმე ერთ მაგალითზე, თუნდაც მუზეუმებისა და საჯარო ინსტიტუტების მაგალითზე.

დასაწყისისთვის მივმართოთ სიტუაციას, რომელიც შეიძლება განისაზღვროს როგორც "საზოგადოებრივი ესთეტიკური არჩევანი". ვისი გადასაწყვეტია, ხელოვნების რომელ დარგს უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი დაფინანსება? ვინ ირჩევს თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებებს საჯარო მუზეუმებისთვის შესყიდვის დროს? სინამდვილეში, თანამედროვე საზოგადოებრივი ინსტიტუტები, თავიანთ მოღვაწეობაში დღემდე, მეტ-ნაკლებად გულახდილად ხელმძღვანელობენ ტრადიციული "პრივატული" ლოგიკით: ქალაქის მერი, ხელისუფლებაში მისი მომყვანი პარტია ირჩევს ნდობით აღჭურვილ კურატორს საკუთარი მეგობრების (პოლიტიკური ან უბრალოდ, პირადი) წრიდან და მას ავალებს კოლექციის შერჩევას, გამოფენის მოწყობას და ა.შ., რაც, თავის მხრივ, ასახავს გარკვეულ პირად გემოვნებას (ან, თუკი საუბარია კურატორთა ჯგუფზე - გემოვნებათა ერთობლიობას). მსგავსმა პრაქტიკამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს მრავალი წინააღმდეგობა: მხოლოდ იმიტომ არა, რომ ეს პრინციპში არ შეშვენის საზოგადოებრივ ინსტიტუტს (ეს არასდროს ყოფილა დაკანონებული და არც საზოგადოება ეთანხმებოდა ასეთ პრაქტიკას), არამედ იმიტომ, რომ საჯარო მუზეუმის ან საჯარო გალერეის ამგვარად განხორციელებული "ესთეტიკური" შერჩევა დამოკიდებული ხდება პოლიტიკური კლიმატის ცვლილებაზე, იმაზე, თუ ვინ შეადგენს პოლიტიკურ უმრავლესობას, და საერთოდ, მოექცევა ნებისმიერი "გარეშე" გავლენის ქვეშ... მოცემული მაგალითიდან ნათელია, რომ საჯარო მხატვრული ინსტიტუტები (განსაკუთრებით ისინი, რომელთაც საქმე აქვთ თანამედროვე ხელოვნებასთან) სულ უფრო ხშირად დგებიან თავისებური "კოლექტიური" ესთეტიკური სუბიექტის ჩამოყალიბების ამოცანის წინაშე. ინდივიდუალური გემოვნების ტრადიციულ ლოგიკაზე ორიენტაცია (ნდობით აჭურვილი კრიტიკოსებისთვის უფლებამოსილების დელეგირება) არ შეიძლება ჩაითვალოს პრობლემის გადაწყვეტად. ვფიქრობ, რომ მისი გადაჭრისთვის აუცილებელია იმის გათვალისწინება, რაც ზემოთ აღვწერე როგორც ესთეტიკური აღქმის პოსტმოდერნული ტრანსფორმაცია. შევეცდები ზოგადად მოვნიშნო ამგვარი მიდგომის რამდენიმე არსებითი მომენტი:

ა) მუზეუმი აღარ წარმოადგენს ესთეტიკურ "სუბიექტს" ტრადიციული გაგებით; პირიქით, ის არის ინფორმაციის, დოკუმენტაციის და ა.შ. აკუმულირების ცენტრი. სწორედ ეს ხდის მას პოსტმოდერნული ტიპის ესთეტიკურ სუბიექტად. აქედან გამოდინარეობს, რომ მუზეუმს აღარ აქვს პრეტენზია მსაჯულის როლზე, რაც ნაწარმოების "ესთეტიკური" (ან გასტრონომიული) ხარისხის შეფასებას გულისხმობდა. ეს არ ნიშნავს, რომ მუზეუმი ყველაფერს ერთად აგროვებს, უარს ამბობს შეფასებაზე, თუმცა, მისი არჩევანი უნდა ეყრდნობოდეს პლურალისტულ და "ისტორიულ" კრიტერიუმებს (რაზეც ზემოთ ვსაუბრობდი), და არა მხატვრული ნაწარმოების ხარისხს და ფორმალურ სრულყოფილებას. ცხადია, რომ "დოკუმენტის" და არა ნაწარმოების აქცენტირება, გარკვეული ხარისხით, შეიძლება გამოვავლინოთ მუზეუმის ტრადიციულ კონცეფციაშიც. მაგრამ პოსტმოდერნულ სიტუაციაში ეს აქცენტი სულ უფრო აშკარა ხდება და განმსაზღვრელი როლის შესრულებას იწყებს. დღეს ხომ ხელოვნების ცალკეული მომხმარებელიც იღებს "მეორე ხარისხის" ესთეტიურ კმაყოფილებას, პრაქტიკულად ყოველთვის აღიქვამს ობიექტს არა უშუალოდ, არამედ გაშუალებულად - სხვების ესთეტიკური აღქმის მეშვეობით (თუმცა, შესაძლოა, სწორედ ეს ფენომენი გასაზღვრავს კანტის "განსჯის უნარის კრიტიკის" არსს).

ბ) იმისთვის, რომ უფრო ზუსტად განვსაზღვროთ მსგავსი კრიტერიუმები და გამოვიყენოთ ისინი უფრო ეფექტურად, მუზეუმი უნდა გადაიქცეს კოლექტიურ სუბიექტად. ისე, რომ ის აღარ იქნეს კონცენტრირებული ცალკეული ნაწარმოების გაფეტიშებაზე, არამედ ცხოვრების სტილზე და "შესაძლო სამყაროებზე", მუზეუმი უნდა იქცეს ხელოვნებასთან დაკავშირებული ყველაზე მრავალფეროვანი მოღვაწეობის ცენტრად, იმად, რაც იტალიურად ჟღერს როგორც "კულტურული ანიმაციის" ცენტრი (თუმცა, ეს ცნება დიდად არ მხიბლავს). ეს სავსებით ეთანხმება ხელოვნების პოსტმოდერნულ

აღქმაზე გადასვლის მეორე სახასიათო ნიშანს - რაც ობიექტიდან მოღვაწეობაზე აქცენტის გადატანით გამოიხატება. მაგალითისთვის შეიძლება გამოდგეს ბევრი რამ იქედან, რაც კეთდება პომპიდუს ცენტრში, მაგრამ აქვე მოხვდება რაიონული ან კომუნალური ბიბლიოთეკების არანაკლებ ხმამაღალი მოღვაწეობა, რომლებიც აღარ შემოიფარგლებიან წიგნების გაცემით, თუმცა სხვადასხვა კულტურული მოვლენების ინიციატორები არიან. მუზეუმზე ამგვარი შეხედულება შეიძლება გამარტივებული მოგეჩვენოთ, მაგრამ იმასაც შეგახსენებთ, რომ ობიექტიდან მოღვაწეობაზე აქცენტის გადატანა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირეულ ნიშანს თუ არა, თავად არსს მე-20 საუკუნის ავანგარდისტული გამოცდილების, მთელი გარდაუვალობით რომ აღნიშნავს ესთეტიკური აღქმის შეცვლას თანამედროვე ეპოქაში. და თუკი მუზეუმი ვერ შეძლებს ამ ცვლილებებს გამოეხმაუროს, საბოლოო ჯამში მას სხვა აღარაფერი დარჩება, გარდა ერთისა, რომ პასიურად მიჰყვეს მხატვრული ბაზრის მერყეობას, ანუ მონაწილეობა მიიღოს გარბენში, სადაც ის ფატალურად განწირულია დამარცხებისთვის.

გ) მანამ, სანამ მხატვრული ბაზარი იარსებებს (სულაც არ ვთვლი, რომ ის არ უნდა არსებობდეს, თუმცა მისი ახლანდელი ფორმა, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს არც "ტრადიციულ", არც პოსტმოდერნულ ესთეტიკურ აღქმასთან, გამოირჩევა სერიოზული პათოლოგიის ნიშნებით), საჯარო მუზეუმს, როგორც მგონია, მუდამ ერთგვარი pharmakon-ის ფუნქცია ექნება, ფუნქცია კორექტივისა, რომელიც ბაზრის მიერ გაჩენილ სიმახინჯეებზე იქნება მიმართული. მუზეუმის მუშაობის იმ მიმართულებებს შორის, რომელთა შესახებ ვსაუბრობდი ბ) პუნქტში, პირველ ადგილზე უნდა იყოს მხატვრული ინოვაციებისადმი ყურადება, ინოვაციებისა, რომლებიც ბაზარმა არ მიიღო სწორედ მათი ნოვატორული ხასიათის გამო... ამის მიხედვით, მუზეუმი თვითონ აღმოჩნდება ტრადიციული ინდივიდუალური ესთეტიკური სუბიექტის როლში, რომელიც ფსონს დებს ამა თუ იმ მხატვრულ მოვლენაზე, რომელსაც ჯერ არ მოუპოვებია საყოველთაო აღიარება. ჩვენი აზრით, სწორედ ამაში მდგომარეობს პრობლემა, წინააღმდეგობა, რომელიც შესაძლოა, კვლავაც მუდმივად იარსებებს, რადგანაც "ესთეტიკური ხარისხის" ტრადიციული ლოგიკა შეუძლებელია სრულად შეიცვალოს პოსტმოდერნის პლურალისტული ლოგიკით. თუმცა, ნაწარმოები-ფეტიშის "გასტრონომიული" შეფასების სრული დაბრუნების გზაზე უნდა აღმოჩნდნენ "კორექტივები", რომლებიც, როგორც მგონია, შემდეგში მდგომარეობს: პირველ რიგში, ეს არის ერთგვარი ნეგატიური კრიტერიუმის შემოტანა კანტისეული ეთიკის ყაიდაზე - აკეთე იმის საპირისპირო, რასაც ბაზარი აკეთებს, და, შესაძლოა, მართალი აღმოჩნდე; მეორე, ეს არის მოღვაწეობის ინტენსიფიკაცია ანიმაციის მიხედვით (ბ) პუნქტში აღწერილი, იმისთვის, რომ მუზეუმის "ესთეტიკური" არჩევანი არ იყოს დამოკიდებული ცალკეული კრიტიკოსის ან ექსპერტის გემოვნებაზე, მათი დემიურგიული პრეტენზიებით, არამედ მრავალი მონაწილის უაღრესად ფართო მსჯელობისა და კონსენსუსის შედეგი იყოს...

თარგმნა ირინ მახარაძემ



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲠᲘᲚᲘ

http://www.opentext.ge/arili

ᲬᲐᲕᲔ HERE

1-50.
№15/5

"არეჯე"

- ჯრაღიცია
- სიახლე
- გეპოვნება








ანთოლოგია
თანამედროვე
ევროპული
პიესა
ტომ სტოპარდი
პაროლდ პინტერი
სლავომირ მროჟეკი
პა